F75ს839

წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დაწესებულებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

- გამწვავდა დამოკიდებულება პოლონეთის სეიმსა და მთავრობის შორის.
- მიუხედავათ სოციალისტების მოთხოვნისა, ერიომ უარი განაცხადა ლიონის ქალაქის თაობაზე
- ბულგარეთის მთავრობა აპირებს სტამბოლინსკის ყოფ. მთავრობის წევრების გასამართლებას.
- ამერიკის მუშები აპირებენ დელეგაციის გამოგზავნას საბჭოთა კავშირში
- თბილისში ჩამოვიდა ემიგრანტთა ახალი ჯგუფი.
- მე-15 საკავშირო პარტკონფერენცია გადაიდო 25 ოქტ-სათვის

პარასკევი, 1 ოქტომბერი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 223 (1768)

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა
ოქტომბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

ჩემბერლენისა და მუსოლინის შეხვედრა

როგორც რომის რადიო იუწყება, გუშინ იტალიის ტერიტორიაზე მეგობრული თათბირისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ჩემბერლენი და მუსოლინი. ინგლისის პრესის ცნობით, ამ მეგობრულ პაემანს პოლიტიკური მიზნები როდი აქვს: ინგლისის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელს სურს მიულოცოს იტალიის დიქტატორს ანარქისტის თავდასხმისგან გადარჩენაო. თავის თავად ცხადია, რომ მეგობრულ გრძნობებს გარდა ჩემბერლენი ფაშისტურ იტალიაში, მუსოლინთან შესახვედრათ, სხვა მოტივებმაც მიიყვანა. ფაშისტური პრესა, რომელიც ისეთ თავდაჭერილი არ არის, როგორც ინგლისის მთავრობის გაზეთები, შეხვედრის მიზნათ ასახელებს პოლიტიკური თანამშრომლობის მომზადებას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე.

მაგრამ ეს ცნობაც მხოლოდ ნახევარ ჭეშმარიტებას ამჟღავნებს. ინგლისი და იტალია საერთო პოლიტიკას აწარმოებენ არა მარტო ბალკანეთში, არამედ მთელ ევროპიულ კონტინენტზე და ახალშენებშიც, განსაკუთრებით საფრანგეთის წინააღმდეგ.

ფაშიზმის იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკა ყოველგან საფრანგეთს ეჯახება. ამ პოლიტიკის უახლოეს საგანს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების დაპყრობა წარმოადგენს, სადაც საფრანგეთს უძლიერესი პოზიცია უჭირავს. მუსოლინიმ ამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ ხმელთა შუა ზღვა რომაულ ზღვად უნდა გადაიქცესო. ეს კი შეუძლებელია, სანამ საფრანგეთს ჩრდილო აფრიკის სანაპირო, მაროკო, ალჟირი, ტუნისი უჭირავს; ამ ქვეყნებს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს. იტალიის იმპერიალიზმის მისწრაფებას გაფართოებისადმი ჩემბერლენიც უჭერს მხარს, მიტომ რომ იტალიის მეზობლობა ინგლისის ბატონობისათვის გიბრალტარში ნაკლებ სახიფათოა, ვიდრე საფრანგეთისა. იტალიის იმპერიალისტური მისწრაფება მცირე აზიაშიც ეწინააღმდეგება საფრანგეთის ინტერესებს. ფაშისტურ დიპლომატიას სურს ერთა ლიგის მანდატი მიიღოს სირიაზე. მაგრამ ეს მანდატი უკვე საფრანგეთს აქვს მიღებული ექვსი წლის წინათ. ამას გარდა იტალიასა და საფრანგეთს შორის შეჯიბრება სწარმოებს ბალკანეთში გავლენის მოპოებისთვის. ამ სფეროში საფრანგეთს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს. იტალიის მისწრაფებამ, რომ იუგო-სლავიის მეგობრობა მოეპოებინა, ჯერ-ჯერობით მხოლოდ საკმაოდ ცივი კომპრომისები გამოიწვია. ეს ადვილი გასაგებია. იტალიისა და იუგო-სლავიის წინააღმდეგობათა დაცხრობა შეუძლებელია განსაკუთრებით ალბანეთისა, და დალმაციის საკითხში. საბერძნეთში იტალიამ დასაყრდნობი წერტილი დაჰკარგა პანგალოსის დაცემასთან ერთად. მართალია ფაშისტურმა დიქტატურამ მესამე ბალკანურ სახელმწიფოსთან, რუმინიასთან, ხელშეკრულება დასდო, მაგრამ ივნისიდან ბრიანსაც ამგვარივე ხელშეკრულობა უძევს ჯიბეში.

ფაშისტური დიპლომატიის ანგარიშები შეშალა აგრეთვე საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვებამაც.

საფრანგეთ-იტალიის უთანხმოებას ზედ ერთვის შეჯიბრება ფლოტისა და საჰაერო შეიარაღების სფეროში. ფაშისტური იტალია მთელი ძალღონით სცდილობს თავისი მილიტარული ძალა გააძლიეროს. მაგრამ საფრანგეთი ამ მხრივ მაინც შეუდარებლად სჭარბობს იტალიას. ამიტომ მუსოლინი იძულებულია ინგლისის დახმარებას მიმართოს, მით უმეტეს, რომ თვით ინგლისის დიპლომატია სცდილობს საფრანგეთის გავლენა შეამციროს ევროპის კონტინენტზე. და აი, ახლა ჩემბერლენისა და მუსოლინის შეხვედრის დროს ინგლის-იტალიის საერთო ფრონტი უნდა შეიქმნეს. ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა დიდათ ხელს უწყობს ასეთი საერთო ფრონტის შექმნას. ერთა ლიგის უკანასკნელ სესიის დროს საბჭოს არჩევნებმა გააძლიერეს საფრანგეთის გავლენა, ცხრა ახალი წევრიდან ექვსი საფრანგეთის მომხრეა: ეს გარემოება ინგლისში ერთგვარ შეშფოთებას იწვევს. მეორე მხრით საფრანგეთიდან დაბრუნებული ანარქისტი ლუჩელის თავდასხმამ მუსოლინზე ფაშისტურად განწყობილ წრეებში საფრანგეთის წინააღმდეგ მტრული განწყობილება გამოიწვია.

ამ ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო, გუშინ ჩემბერლენმა თავის იახტაზე მიიღო ფაშისტი-დიქტატორი, ხოლო დღეს ინგლისის „უდიდესი დიპლომატი“ მუსოლინს ესტუმრება მის ვილლაში ნეაპოლის მახლობლად. ეს მართლაც რომ მეგობრული საუბარი იქნება.

ოზურგეთის ფაბრიკა

დღეს გაიხსნება ქ. ოზურგეთში, გურიის ცენტრში. **აბრეშუმის ამოსახვევდასართავი ფაბრიკა.** ფაბრიკის შენება დაიწყო გასული 1925 წლის 22 დეკემბერს, შენება სწარმოებდა მეტად აჩქარებული ტემპით. პარტიის და ხელისუფლების ორგანოები გაფაციცებით ადევნებდენ თვალს ამ საქმეს. მიღებული იყო ყოველივე ზომა, რათა ფაბრიკის შენება არ შეფერხებულიყო, და აი, 9 თვის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ ოზურგეთის ფაბრიკა ამუშავდება.

ფაბრიკა აგებულია მეცნიერების და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად. მისი სამანქანო ნაწილები მოტანილია საზღვარ-გარეთიდან, იტალიიდან, სადაც წარმოების ეს დარგი ყველაზე წინ დგას თავის განვითარებით. **ოზურგეთის ფაბრიკა დაჯდა დაახლოვებით 300 ათასი (300.000 მ.) მანეთი.** ყოველდღიურად მის ასაგებად მუშაობდა 50-დან 200 კაცამდე. წინასწარი ვარაუდით ქარხანამ წლიურად უნდა დაამზადოს 800 ფუთი ძაფი, მაგრამ თუ ის იმუშავებს ორი წყებით, მაშინ ეს რაოდენობა ორჯერ გადიდდება. ამისდამიხედვით, პირველ შემთხვევაში ქარხანაში იმუშავებს 300 მუშა-ქალი, ხოლო მეორე შემთხვევაში 600 მუშა-ქალი. ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე ფაბრიკები აიგო ამ ხნის განმავლობაში აგრეთვე თელავში, ხონში და სამტრედიაშიაც, მაგრამ ოზურგეთის ფაბრიკას თავისი სიდიდით ამ შემთხვევაში პირველი ადგილი უჭირავს.

ამგვარად, გურიის მშრომელი ხალხისათვის გაკეთდა კიდევ ერთი დიდი საქმე. მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ოზურგეთის ფაბრიკას მთელი გურიის გლეხკაცობის ეკონომიური აღორძინებისათვის. ეს ფაბრიკა, რა თქმა უნდა, წინ წასწევს მეაბრეშუმეობის საქმეს მთელ გურიაში. და თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში მეაბრეშუმეობის საქმეში დაშვებული იყო ხელისუფლების აგენტების მხრით ზოგიერთი შეცდომები, და ამ ნიადაგზე ბევრ გაუგებრობასაც ქონდა ადგილი, დღეს ყოველივე ეს სრულიად გამოსწორებული და გადალახულია. ახლა უკვე გამონახულია ის გზა, რომლის საშუალებით მეაბრეშუმეობის ზრდა-განვითარება ჩვენში სავსებით უზრუნველყოფილია. აქ სიტყვები საჭირო აღარაა, საქმენი ლაღადებენ. გურული ხალხი მეტად დიდი მკვირცხლი გონებითაა დაჯილდოებული, რომ მან თითონ ვერ გაიგოს ის სარგებლობა რაც უნდა მოყვეს მისთვის ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკას.

ჯერ იყო **ოზურგეთის რკინის-გზა,** რაც არავის სჯეროდა, მაგრამ ის უკვე **სინამდვილეა, და მისი გაგრძელება ჩოხატაურამდე** წინ გვიდგას, როგორც შესაძლებელი და სრულიად რეალური ამოცანა. შემდეგ ჩვენ უკვე გვაქვს გურიაში ჩაის რამდენიმე **ფაბრიკა,** რომელთაგან ორი წელს გაიხსნა, რაც უთუოდ წინ წასწევს გურიაში ჩაის **კულტურას** და რასაც ჩვენში ისეთი დიდი მომავალი აქვს, რომ ამის სავსებით გათვალისწინება დღეს ჩვენთვის თითქმის შეუძლებელიცაა. აშკარაა მხოლოდ ის, რომ სასოფლო მეურნეობის განვითარება როგორც გურიაში, ისე საერთოდ მთელ საქართველოში უმეტეს ნაწილად **ძვირფასი და ტეხნიკური მცენარეების კულტურის გზით უნდა წავიდეს წინ.** პარტიაც და ხელისუფლებაც სწორედ აქეთკენ იღებს თავის გეზს. გურიის ეკონომიური განვითარების შესაძლებლობა მარტო ამ დარგებით არ იფარგლება. გურიაში **ტყის მეურნეობას** და მის დამუშავება - ექსპლოატაციას დიდი ადგილი დაეთმობა.

გურიაში არის **მინერალური ე. ი. მადნეული სიმდიდრეც.** დიდი ხანია ლაპარაკი იყო **გურიის ნავთზე,** რამდენიმეჯერ ყოფილა გამოკვლევითი ცდა, არის თუ არა გურიაში ნავთი და ღირს თუ არა მისი დამუშავება. მაგრამ სულ უკანასკნელ დრომდე ამ მხრით პრაქტიკულად თითქმის არაფერი გაკეთებულა. მხოლოდ ახლა, სწორედ ამ დღეებში, როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო გაზეთებში, პარტიის და ხელისუფლების საქმიანი მეცადინეობის შემდეგ **ნავთის სინდიკატმა უკვე გადასდო ორას სამოცდა ხუთი ათასი მანეთი (265.000 მან.)** გურიის ნავთის გამოსაკვლევად. ფული უკვე განაღდებულია და ამა წლის ოქტომბრის თვიდან ამ მიზნით მუშაობა უნდა გაჩაღდეს გურიაში. თუ მართლა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ გურიაში არის ნავთი ისეთი რაოდენობით, რომ მისი დამუშავება ხელსაყრელი იქნება, ამ საქმის წარმოებას დაჩქარებით შეუდგებიან.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ გურიის ეკონომიურ აღორძინებას მკვიდრი საფუძველი ეყრება ან უკვე ჩაეყარა. ამაზე არ შეიძლებოდა არ მიგვეთითებინა სწორედ დღეს, როცა ქ. ოზურგეთში აბრეშუმის სახვევ-სართავი ფაბრიკა იხსნება. ეს დღე გურულ გლეხობისათვის მართლაც საზეიმო დღედ უნდა ჩაითვალოს. არ იქნება იოტის ოდენა გაზვიადება თუ ვიტყვით, რომ ეს ფაბრიკა დიდი **შენაძენია** გურიის მშრომელი ხალხისათვის, და ეს ხალხი ამას შესაფერისად დააფასებს. გულწრფელად ვულოცავ გურიის გლეხობას ამ ახალ შენაძენს და ვუსურვებ მას წარმატებას და გამარჯვებას ამ გზაზე.

ფ. მახარაძე.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა დაიწყო

ყველგან დასრულდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აღრიცხვისა და გამოანგარიშებისათვის წარმოებული რთული მუშაობა, საგადასახადო ფურცლების შევსება და გლეხებზე გადაცემა; ზოგ მაზრებში დაიწყო კიდეც გადასახადის აკრეფა.

თელავისა, თბილისისა, ბორჩალოსი და სხვა მაზრებიდან ფინსახკომში უკვე შემოსულია ცნობები იმის შესახებ, რომ გადასახადის აკრეფა დაიწყო უმტკივნეულოდ და გლეხებს ხალისით შემოაქვთ არა მარტო ვადისთვის დანიშნული ნაწილი, არამედ მთელი თანხა მთლიანად. რესპუბლიკის ოთხ თემში, საიდანაც მიღებულია ცნობები, უკვე შეგროვილია დაახლოვებით 3.000 მანეთი. უსამართლო დაბეგვრაზე ან გადასახადის სიმძიმეზე გლეხისაგან საჩივარი ჯერ არ ყოფილა, თუმცა მათ კანონმა სრული უფლება მისცა, ორი კვირის განმავლობაში საგადასახადო ფურცლის ჩაბარების დღიდან, სათანადო საჩივარი შეეტანათ განსახილველად სათემო კომისიაში, რომელსაც ეს საჩივრები უნდა განეხილა გადასახადის შეტანის პირველ ვადამდე, ე. ი. 1-ლ ნოემბრამდე. ჯერ კიდევ ბევრი დროა და საჩივრები, ალბად, იქნება შემოტანილი, რადგან შეცდომების დაშვება მუდამ შესაძლებელია ასეთ რთულ საქმეში. სამწუხარო იქნება, თუ ზოგიერთი გლეხები, შარშანდელივით, ისარგებლებენ ამ უფლებით ტყუილუბრალოდ, ან და მხოლოდ იმისთვის, რომ დრო გაიყვანონ.

საეჭვოა, რომ გლეხობის ღარიბესი ნაწილი, ან და საშუალო შეძლების მქონე გლეხი ისე იყოს შეწუხებული გადასახადით, რომ საბაბი ჰქონდეს საჩივრისათვის. დეკრეტით, გლეხურ მეურნეობათა ნახევარზე მეტი სრულიად განთავისუფლებულია გადასახადისაგან, როგორც ნაკლები შემოსავლის მქონე, ე. ი. როცა შემოსავალი სულზე არ აღემატება 25 მან.

ნაკლებ შეძლე მეურნეობები, ე. ი. ისეთები, რომელთაც მცირე გადასახადი აქვთ შეწერილი, წელს უფრო ნაკლებ არიან დაბეგრილი, ვიდრე შარშან. დაბოლოს, მთელ რიგ კოლექტიურ, კოოპერატიულ, წითელარმიელთ და სხვა გადამხდელებს დიდი შეღავათები ეძლევათ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა ზომები იხმარა გლეხობისათვის საგადასა- მიუხედავათ იმისა, რომ გლეხური მეურნეობა ამ წელს გაძლიერდა და გაიზარდა მისი შემოსავლიანობა. ზედმეტია სასოფლო მეურნეობის გადასახადის ფინანსიური და პოლიტიკური მნიშვნელობაზე შეჩერება; ამაზე ბევრი დაიწერა. ჩვენ გვინდა მხოლოდ მოვაგონოთ ჩვენს ამხანაგებს. რომ გადასახადის აკრეფის მომენტი წარმოადგენს მთელი კამპანიის ბედის გადამწყვეტ მომენტს და ამიტომ ადგილობრივ მომუშავე ყველა ამხანაგს მართებს მთელი ძალ-ღონისა და გამოცდილების დაძაბვით დაუყოვნებლივ შეუდგეს გადასახადის აკრეფას დანიშნულ ვადამდე ადრე. საჭიროა ფართეთ განუმარტოს გლეხობას, რომ გაცილებით მიზანშეწონილია საგადასახადო თანხის მთლიანად გადახდა და ისიც ეხლავე, რადგან ამას ადვილებს პროდუქტების რეალიზაცია.

და, მართლაც, რა აზრი აქვს გადამხდელთათვის გადასახადის სამ ნაწილად გადახდა, ვთქვათ 10 ან 12 მანეთი სამ ნაწილად დაყოფილი (35 პროც., 50 პროც. 15 პროც.) 3 მან. და 50 კაპ., 5 მან. და 1 მან. 50 კაპ. და აი ის ამ თანხის გადახდას უნდება 3—4 თვე: სამჯერ დადის თავის სოფლიდან, შესაძლებელია რამდენიმე ათი ვერსით, რომ შეიტანოს გადასახადის ნაწილი. სალაროში მას სამჯერ აძლევენ ქვითარს და თუ კიდევ დააგვიანა შემოტანას, დაერიცხება საურავი, რაც უფრო ართულებს გადახდას და აბნევს მის ანგარიშს.

ყოველ გადამხდელს არ შეუძლია დაიხსომოს და თვალყური ადევნოს საგადასახადო ვადას და შეიძლება კიდეც ძალაუნებურად მოხვდეს დავალიანებულთა რიცხვში.

გროვდება საურავი, გლეხი დავალიანდება, რაც იწვევს სათანადო ზომებს, რომელიც ემძიმება როგორც გლეხს, ისე მთავრობას.

უმჯობესია ფული შეიტანო ვადამდე ადრე და სწორედ მაშინ, როცა ფული გაქვს, რადგან ეს უზრუნველჰყოფს აკრეფის კამპანიის უმტკივნეულოდ ჩატარებას, ვიდრე საქმე თვეობით აჭიანურო და ამით გაართულო აკრეფის ტეხნიკა.

საჭიროა სამაზრო ცენტრების მუშაკებმა თემებსა, სოფლებსა და გლეხურ მასასთან დამოკიდებულების დროს აუხსნან და ჩააგონონ გლეხობას სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დისციპლინის დროულად და საჩქაროდ შესრულების აუცილებლობის იდეა, მით უმეტეს, რომ აკრეფილი თანხის ორი მესამედი რჩება ადგილობრივ საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

შეიძლება სთქვან, რომ ფულის მიმღებ-შემნახველ აპარატის ტეხნიკურად მოუწყობლობის გამო, შეუძლებელია გადასახადის აკრეფის სწრაფი ჩატარება. ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ გლეხებს შეუძლიათ ყოველ დროს გადასახადი შეიტანონ ფოსტა-ტელეგრაფის რომელიმე განყოფილებაში ან და, უფრო უკეთესი,—შრომის შემნახველ სალაროებში.

სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროები ყველგან არსებობენ. დაგროვილი ხურდა ფული და საფოსტო მარკები სასარგებლო დამატება იქნება არა მარტო ოჯახურ მოწყობილობათა შესაძენ თანხისათვის, არამედ ის დიდ სამსახურს გაუწევს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდაში. ხელზე აქვს რა განსაზღვრული ანგარიში, მას შეუძლია უბრალოდ ჩამოსწეროს ამ ანგარიშიდან გადასახადის გასასტუმრებლათ მისთვის საჭირო თანხა.

ამნაირათ მასაც ეძლევა სარგებლობა და სახელმწიფოსაც.

საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად გაუძღვებიან სათემო ორგანოები მათზე დაკისრებულ ამოცანებს — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს.

ამხანაგების დახმარება სამაზრო ცენტრიდან ჩამოყალიბდება იმაში, რომ ისინი თემებში გაგზავნიან საფინანსო და პარტიულ ორგანოებიდან უფრო მცოდნე და უფრო გამოცდილ მუშაკებს.

ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი უკეთესია, ვიდრე შარშანდელი, მაგრამ ყოველი კარგი გადასახადი, ყოველი კარგი კანონი შეიძლება წახდენილ იქნას, გადამახინჯდეს როგორც ადგილობრივი ხელისუფლების (ცალკე წარმომადგენელთა უკანონო მოქმედებითა და პასიურობით, ისევე თვით ზოგიერთ გლეხების უკანონო მოქმედებითა და გულგრილობით.

გ. მ.

მუშათა კრედიტი

(„პრავდა“-ს მოწინავე)

ზამთრის მოახლოვების გამო, მუშათა მასაში ძლიერდება ინტერესი კრედიტის საკითხის მიმართ.

ამ საკითხმა უკვე განვლო რამდენიმე ეტაპი. იყო დრო, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში, როცა მუშათა კრედიტმა ფართე ხასიათი მიიღო. წარმოებებში მუშაობა ნორმალურ კალაპოტში დგებოდა, მუშას ესაჭიროებოდა პირველ, გადაუდებელ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ცხოვრება მოითხოვდა სასწრაფო ზომების მიღებას ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მუშებისათვის კრედიტის გაცემის მთელი სიმძიმე დააწვა მუშათა კოოპერაციას, თუმცა ეს მის ძალას აღემატებოდა. ამას შედეგად მოჰყვა მუშათა და კოოპერატიულ ორგანიზაციების სამეურნეო განვითარების შეჩერება; და კოოპერატიულ მოღვაწეთ მუშათა კრედიტზე შეუმუშავდათ აზრი, რომ ის არ ეგუება სამეურნეო ანგარიშიანობას, რომ მან მოჭამა თავისი დრო და სხვ.

ეს აზრი გამოთქმულ იქნა მიმდინარე წლის თებერვალს მუშათა კოოპერაციების თათბირზე. ითვალისწინებს რა იმას, რომ კრედიტის შემოღების დღიდან გაიზარდა სამუშაო ხელფასი, ფასებმა დაიკლეს და მუშის ოჯახის შინაინვენტარი აღდგენილ იქნა, თათბირმა გადასწყვიტა როგორც გრძელვადიან, ისე საწვრილმანო კრედიტის გაუქმება და დაუშვას ის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

მარტო ამ დადგენილებას თავის-თავად უნდა გამოეწვია კრედიტის პრაქტიკის შესუსტება შემდეგში. რომ არ ყოფილიყო გამწვავებული საქონლის ნაკლებობა და საცალო ფასების ზრდა აუცილებელ საჭირო საქონელზე, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ნაღდ ანგარიშზე თანდათანი გადასვლა, რომელსაც გულისხმობდა თათბირი. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა გამოვიდა.

საკავშირო პროფსაბჭოს ცნობებით, კრედიტის შესუსტება, განსაკუთრებით საქონლის ნაკლებობასთან დაკავშირებით, გამოიხატა შემდეგ ციფრებში: მუშათა კრედიტი კოოპერაციის ბრუნვაში 1925—26 სამეურნეო წლის პირველ კვარტალში შეადგენდა მთელი კოოპერატიული ბრუნვის 10 პროცენტს, ხოლო მეორე კვარტალში—6,5 პროცენტს. სწორედ ასევე შემცირდა კრედიტის საშუალო ჯამი თვითეულ კოოპერატივზე, სახელდობრ: 39.020 მანეთიდან 1924—25 წლის პირველ კვარტალში 28.139 მანეთამდე 1925—26 წლის მეორე კვარტალში, თუმცა კოოპერატივის საშუალო ბრუნვა ამავე დროისთვის თითქმის ერთი ორად გაიზარდა.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ კრედიტის შემცირებამ ძალიან შეუწყო ხელი მუშათა კოოპერაციას ბალანსის გამოჯანსაღების საქმეში. მაგრამ ამ შემცირებამ დიდი ზიანი მიაყენა მუშათა მასას, განსაკუთრებით დაბალი სამუშაო ხელფასის მქონე მუშა-მოსამსახურეთ.

სავსებით ცხადია, რომ ნაადრევია მუშათა კრედიტის ლიკვიდაციაზე ფიქრი. აი რატომ იცავდა მუშათა კოოპერაციის სავაჭრო თათბირი კრედიტის შენარჩუნებას და მოითხოვა ამ მიზნისთვის, პირიქით, სპეციალური სალსარის გადადებას.

საკითხის ამა თუ იმ დაწვრილებითი მხარეების განხილვის და დამოუკიდებლათ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კოოპერატიული კრედიტის შენარჩუნება. ზედმეტია საწვრილმანო კრედიტის შემცირებაზე ლაპარაკი იმ ადგილებში, სადაც მუშათა მასას კრიჭაში უდგას კერძო მოვაჭრე.

საწვრილმანო კრედიტის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება შეიძლება პირველ საჭიროების საგნების ასორტიმენტის შემოფარგვლით და პროცენტულ შემოსატან თანხის დასაბრუნებელ მტკიცე ვადის დაწესებით. კრედიტიდან უნდა გამოკლებულ იქნას არყის გაცემა.

რაც შეეხება გრძელვადიან სესხს, როგორც მუშათა კოოპერაციის კრედიტის უმძიმეს ფორმას, ამ შემთხვევაში შეიძლება კრედიტის გაცემის დროს ავანსის შემოღება და საქონლის ასორტიმენტის განსაზღვრა ტანსაცმელით, ფეხსაცმელით და საწვავი მასალით. შეიძლება შემცირებულ იქნას კრედიტის ვადა და რაოდენობა კრედიტის მიმღებთა სამუშაო ხელფასთან შეფარდებით (ამ შემთხვევაში განსაკუთრებით დაცული უნდა იქნას დაბალი სამუშაო ხელფასის მქონე კატეგორიების ინტერესები). დაბოლოს, პაების შეგროვების გაძლიერების მიზნით, მომხმარებელ საზოგადოებებს შეუძლიათ სპეციალური წამახალისებელი პირობების შექმნა პაების იმ მეპატრონეთათვის, რომელთაც სრულად გადაიხადეს თავისი პაი.

ამ პირობებში, სათანადო მატერიალური დახმარების პირობებში, მუშათა კოოპერაცია, ეჭვს გარეშე, შესძლებს მუშათა კრედიტის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

დღევანდელ მომენტში, როდესაც სწარმოებს ბრძოლა სამუშაო ხელფასის რეალური დონის ასაწევად, მუშათა კრედიტის საკითხი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ღებულობს. მუშათა კრედიტის გაუქმება აუცილებლივ გამოიწვევდა საქონლის ნაკლებობას, მუშათა მასის ჩავარდნას კერძო ვაჭრების ხელში და ფასების აწევას. ეს კი ცუდათ იმოქმედებდა სამუშაო ხელფასზე.

პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა და მუშათა კოოპერაციამ მთელი ძალღონე უნდა მიმართონ იქითკენ, რომ კრედიტის გაცემა ჩატარდეს მაქსიმალური ყურადღებით მუშათა სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებებისადმი. ამასთან ერთად საჭიროა მუშათა კოოპერაციისათვის სათანადო მატერიალური დახმარების აღმოჩენა.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 30 სექტემბერი.

საბჭოთა კავშირის და ლიტვის შეთანხმება

ნოტების გაცვლა-გამოცვლა ჩიჩერინსა და სლიაჟევიჩს შორის

ყველა საკითხებში მიღწეულია სრული თანხმობა

შეთანხმების ტექსტი

მოსკოვი, 30 სექტემბ. **მუხლი პირველი.** სამშვიდობო ხელშეკრულება, დადებული რუსეთსა და ლიტვას შორის, მოსკოვში 1920 წლის 12 ივლისს, რომლის ყველა დადგენილებები ინარჩუნებენ მთელს თავის ძალასა და ხელშეუხებლობას, რჩებიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირისა და ლიტვის რესპუბლიკის ურთიერთ დამოკიდებულების საფუძვლად.

მუხლი მეორე. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ლიტვის რესპუბლიკა პირობას სდებენ, რომ ყოველგვარ გარემოებებში პატივს სცემენ ერთი - მეორის სუვერენიტეტს, ტერიტორიალურ მთლიანობას და ხელშეუხებლობას.

მუხლი მესამე. ხელშეკრულების დამდები თითეული მხარე ვალდებულად ხდის თავის თავს არ დაიწყოს რაიმე აგრესიული მოქმედება მეორე მხარის წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ ხელშეკრულების დამდებ მხარეს, მიუხედავათ მისი მშვიდობიანი ყოფაქცევისა, თავს დაესხმის ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო, მაშინ მეორე მხარე ვალდებულია არ გაუწიოს დახმარება თავდამსხმელ სახელმწიფოს ხელშეკრულების დამდებ იმ მხარის საწინააღმდეგოთ.

მუხლი მეოთხე. თუ სხვა სახელმწიფოებს შორის მოხდება პოლიტიკური შეთანხმება, რომელიც მიმართული იქნება ხელშეკრულების დამდებ ერთი რომელიმე მხარის წინააღმდეგ ან და, თუ მოხდება მესამე მუხლში მოხსენებული ხასიათის კონფლიქტი ან კიდევ, როცა ხელშეკრულების დამდები არც ერთი მხარე არ იქნება ჩათრეული სამხედრო მოქმედებაში, მაგრამ სხვა სახელმწიფოებს შორის შექმნილ იქნება კოალიცია მიზნით, რომ ხელშეკრულების დამდებ რომელიმე მხარეს გამოუცხადოს ეკონომიური ან ფინანსიური ბოიკოტი —მაშინ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე ვალდებულია ასეთ შეთანხმებას ან კოალიციას არ მიემხროს.

მუხლი მეხუთე. იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის კონფლიქტმა იჩინა თავი, ხელშეკრულების დამდები მხარეები თანახმა არიან დანიშნონ შემთანხმებელი კომისია, თუ კონფლიქტის მოგვარება დიპლომატიური გზით შეუძლებელი იქნება. დასახელებული კომისიის შემადგენლობა და პროცედურის უფლება, რომლითაც კომისია იხელმძღვანელებს, გამორკვეული იქნება განსაკუთრებული შეთანხმებით, რომელიც შემდეგში ჩამოყალიბდება.

მუხლი მეექვსე. ეს ხელშეკრულება დამტკიცებული უნდა იქნეს ექვსი კვირის განმავლობაში დღიდან მისი ხელისმოწერისა. სარატიფიკაციო სიგელის გაცვლა მოხდება ქალაქ კაუნასში. ხელშეკრულება შედგენილია რუსულ და ლიტვურ ენებზე. ორივე ტექსტს აქვს დედნის ძალა.

მუხლი მეშვიდე. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომენტიდან და ძალაში იქნება 5 წლის განმავლობაში პირველ და მეორე მუხლს გარდა, რომელთა მოქმედების ვადა განუსაზღვრელია.

ამ ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელებული იქნება ავტომატიურად ერთი წლით, თუ ხელშეკრულების დამდები ერთი მხარე, ყოველ შემთხვევაში, ექვსი თვით ადრე ხელშეკრულების ვადის გათავებამდე არ გამოსთქვამს სურვილს მოლაპარაკების დაწყების შესახებ ორივე სახელმწიფოს ურთიერთ შორის პოლიტიკური დამოკიდებულების შემდეგი ფორმის გამოსამუშავებლად. დასამოწმებლად ამისა, რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას და დაასვეს თავ-თავისი ბეჭედი. დედანი შედგენილი და ხელმოწერილია მოსკოვში ორ ეგზემპლიარად 1926 წლის 28 სექტემბერს.

გ. ვ. ჩიჩერინი, სერგეი ალექსანდროვსკი, მიკოლა სლიაჟევიჩი, იურგის ბალტრუშაიტის.

ნოტების გაცვლა

საბჭოთა კავშირისა და ლიტვის ხელშეკრულების ხელის მოწერის დღეს ჩიჩერინმა და სლიაჟევიჩმა გასცვალეს ნოტები.

ამხ. ჩიჩერინის ნოტა სლიაჟევიჩს

„ბატონო მინისტრო. საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის დადებულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი: ვხელმძღვანელობთ რა გულწრფელი სურვილით, დაგვენახა ლიტვის ისევე, როგორც ყოველი სხვა ხალხის დამოუკიდებლობა, რის შესახებაც საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას არა ერთხელ განუცხადებია თავის გამოსვლებში და აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1923 წლის 5 აპრილის თარიღით პოლონეთის მთავრობის სახელზე გაგზავნილ ნოტაში და იმ სიმპატიებით, რომელსაც აღძრავს ლიტვის ხალხის ბედი საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასაში, საკავშირო მთავრობა აცხადებს, რომ ლიტვის საზღვრების ფაქტიურ შელახვას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ლიტვის ხალხის სურვილის წინააღმდეგ, არ დაურღვევია მისი დამოკიდებულება ტერიტორიალური სუვერენიტეტისადმი, რომელიც განსაზღვრულია 1920 წლის 12 ივლისს რუსეთსა და ლიტვას შორის დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულების მეორე მუხლში და მის შენიშვნაში.

მიიღეთ, ბ-ნო მინისტრო, ჩემი ღრმა პატივისცემა.

გიორგი ჩიჩერინი.

ლიტვის რესპუბლიკის მინისტრ-პრეზიდენტს, იუსტიციის მინისტრს, და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელს მიკოლა სლიაჟევიჩს

მოსკოვი, 1926 წ. 28 სექტემბერი.

ამხ. ჩიჩერინის ნოტა მიღებულია ცნობად

მოსკოვი, 30 სექტემბ. **ამხ. ჩიჩერინის ნოტაზე სლიაჟევიჩისმა 28 სექტემბერის თარიღით გამოგზავნილი ნოტით უპასუხა, რომ ლიტვის მთავრობა ცნობად იღებს ჩიჩერინის ნოტას.**

სლიაჟევიჩის ნოტა

მოსკოვი, 28 სექტემბერს, 1926 წელს.

ბატონო, სახალხო კომისარო!

ლიტვისა და სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შორის ხელშეკრულების დადების გამო პატივი მაქვს ლიტვის მთავრობის სახელით აღვნიშნო შემდეგი:

ორთავე მთავრობამ განიხილა ის პრინციპიალური საკითხები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ლიტვის ერთა ლიგისადმი დამოკიდებულებასთან. ამასთანავე ლიტვის მთავრობა მოლაპარაკებისა და ხელშეკრულების დადების დროს გამოდიოდა იმ რწმენიდან, რომ ხელშეკრულების მე-4 მუხლით დაწესებული პრინციპი, რომლის მიხედვით მონაწილეობა არ უნდა იქნას მიღებული მესამე სახელმწიფოთა შორის დადებულ პოლიტიკურ შეთანხმებაში, რომელიც ერთ-ერთ ხელშეკრულების დამდებ მხარის წინააღმდეგ იქნება მიმართული, ვერ მიაყენებს ზიანს ერთა ლიგის სტატუტიდან ლიტვისათვის გამომდინარე ვალდებულებებს. ლიტვის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ერთა ლიგაში ყოფნა ლიტვისა ხელს არ შეუშლის მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებას ლიტვისა და სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირ შორის. ამასთან ერთად, ლიტვის მთავრობა იმ აზრის ადგია, რომ ლიტვის გეოგრაფიულ მდგომარეობის გამო და რადგან ერთა ლიგა, რომელშიც ლიტვა შედის, თავისი ძირითადი იდეით მოწოდებულია მშვიდობიანობისა და სამართლიანობის მიხედვით მოაგვაროს საერთაშორისო წინააღმდეგობანი, ერთა ლიგაში ყოფნის ფაქტიდან გამომდინარე ვალდებულებანი ზიანს ვერ მიაყენებენ ლიტოველი ხალხის მისწრაფებას ნეიტრალიტეტისკენ, რომელიც ყველაზე უფრო ეგუება მის სასიცოცხლო ინტერესებს.

მიიღეთ ბატონო სახალხო კომისარო, ჩემი უღრმესი პატივისცემა.

მიკოლას სლიაჟევიჩი.

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ბატონ გიორგი ჩიჩერინს.

სლიაჟევიჩის ნოტა მიღებულია ცნობათ

მოსკოვი, 30 სექტემბერი. **ბატონ სლიაჟევიჩის ნოტის საპასუხოდ ამხ. ჩიჩერინმა 28 სექტემბრის თარიღის ნოტით აცნობა, რომ საკავშირო მთავრობა ცნობად იღებს მის ნოტას.**

სლიაჟევიჩის განცხადება

მოსკოვი, 30 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში, ლიტვის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ შემდეგნაირად დაახასიათა ურთიერთ თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ მოსკოვში დადებული ხელშეკრულება:

„მე ვფიქრობ. — განაცხადა სლიაჟევიჩმა,—რომ 28 სექტემბერს მოსკოვში დადებული **ხელშეკრულება საგრძნობლად შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირისა და ლიტვის ურთიერთ მეგობრულ დამოკიდებულებას.** მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ ხელშეკრულების დამდებმა ორივე მხარემ, 1920 წელში დადებული ხელშეკრულებით, აღუთქვა ერთი მეორეს ყველა შემთხვევებში დაიცვას თვითეული მათგანის სუვერენიტეტი და ტერიტორიალური ხელშეუხებლობა, მათ შორის კონფლიქტის აღმოცენების შემთხვევაში და ამ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრა, უნდა შეუწყოს ხელი ურთიერთ ნდობის განმტკიცებას. ამ ხელშეკრულებამ ურთიერთ თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ, რომელიც ორივე მხარეს საშუალებას აძლევს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, ხელი უნდა შეუწყოს ევროპაში მშვიდობიანობის განმტკიცებას. ამავე დროს მეგობრული დამოკიდებულების განმტკიცებამ მეზობლებთან, დადებითად უნდა იმოქმედოს ლიტვის რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობაზე“.

კითხვაზე, როგორია, მისი აზრით, საბჭოთა კავშირისა და ლიტვის ეკონომიური ურთიერთობის პერსპექტივები, სლიაჟევიჩმა განაცხადა:

„საბჭოთა კავშირსა და ლიტვას აქვს მრავალი საქონელი, რომლებიც წარმოადგენენ მეორე ქვეყნის ექსპორტის საგანს. **ამიტომ მე ვფიქრობ, რომ სულ ადვილი მოსალოდნელია ამ ორ ქვეყნის შორის ეკონომიური დაახლოვება და საქონლის გაცვლა-გამოცვლა,** რომლის განვითარების იმედიც შეგვიძლია ვიქონიოთ. გამოდიან რა აქედან, ორივე მხარის ძალიან აინტერესებს სავაჭრო ხელშეკრულებების დადება. მე ვფიქრობ, რომ ამ ხაზით დაწყებული მოლაპარაკება მომავალში დამაკმაყოფილებელ შედეგს გამოიღებს“.

შემდეგ, შეეხო რა ლიტვის რესპუბლიკის დამოკიდებულებას ბალტიის სანაპირო სახელმწიფოებთან, სლიაჟევიჩმა აღნიშნა, რომ ლიტვის დამოკიდებულება ბალტიის სანაპირო სახელმწიფოებთან, კეთილმეზობლურ ხასიათს ატარებს.

საბჭოთა კავშირისა და ლიტვის კულტურული დაახლოების შესახებ სლიაჟევიჩმა განაცხადა:

„ჩემს მიერ თქვენს ქვეყანაში ცოტა ხნით ყოფნის დროს, მე შევნიშნე დიდი კულტურული მუშაობა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწევა. ხალხთა კულტურული თანამშრომლობა წარმოადგენს სადღეისო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ლოზუნგს. **ამიტომ, მე დარწმუნებული ვარ, რომ პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულების განვითარება საბჭოთა კავშირისა და ლიტვას შორის პოხიერ ნიადაგს შეუქმნის ამ ორი ხალხის კულტურულ დაახლოვებას“.**

თავის შთაბეჭდილებების შესახებ სლიაჟევიჩმა განაცხადა:

„1918 წლის დასასრულთან შედარებით, როცა მე საბჭოთა კავშირიდან გავემგზავრე ლიტვაში, **დღეს საბჭოთა კავშირში ცხოვრება სდუღს.** ის დიდი მუშაობა, რომელიც აქ წარმოებულა რევოლიუციიდან 8 წლის გასვლის შემდეგ, ყველაფერში მოსჩანს“.

შემდეგ შეეხო რა ლიტვას საზოგადო წრეების აზრს ხელშეკრულების შესახებ, სლიაჟევიჩმა აღნიშნა, რომ ლიტვის საზოგადო აზრი, ყოველ ეჭვს გარეშე, დადებითად მოეკიდება ხელშეკრულების დადებას.

„წინააღმდეგ შემთხვევაში, ამბობს ის, მე გამიძნელდებოდა ხელშეკრულების გარშემო მოლაპარაკების წარმოება. ხელისუფლების სათავეში წინედ მყოფი ქრისტიანული დემოკრატები, რომლებმაც დაიწყეს მოლაპარაკება ხელშეკრულების გარშემო, სეიმის ხელახალი არჩევნების შემდეგ, გადავიდნენ ოპოზიციაში; ამიტომ შესაძლებელია, რომ საზოგადოებრივი აზრის ის ნაწილი, რომელსაც ისინი ხელმძღვანელობენ, ამ ხელშეკრულების წინააღმდეგი წავიდეს. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის დიდი უმრავლესობა, ყოველ პირობის გარეშე, მიესალმება ამ ხელშეკრულებას“.

ლიტვის წარმომადგენელთა გამგზავრება

მოსკოვი, 30 სექტემბერი. 30 სექტემბერს ლიტვაში გაემგზავრა ლიტვის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **სლიაჟევიჩი.** ლიტვის მთავრობის წარმომადგენლები გააცილეს გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა ამხ. **ჩიჩერინმა,** გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრებმა **არალოვმა და სტომონიაკოვმა,** ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა **განეცკიმ** და მოსკოვში მყოფმა ლიტვის დიპლომატიური მისიის მთელმა შემადგენლობამ საგანგებო ელჩის **ბალტრუშაიტისის** მეთაურობით.

უცხოეთის პრესის აზრი

ბერლინი, 30 სექტემბერი. „ბერლინერ ტაგებლატი“ ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულებაში ხედავს „საბჭოთა კავშირის გონიერი პოლიტიკის მნიშვნელოვან წარმატებას“.

„ხელშეკრულებას, სწერს გაზეთი, მივყევართ თავზე არ დასხმის საერთო ხელშეკრულობის დადებისაკენ ერთის მხრით ყველა დანარჩენ სახელმწიფოთა და მეორეს მხრით საბჭოთა კავშირს შორის. საბჭოთა კავშირზე დასავლეთიდან თავზე არ დასხმის ხელშეკრულობა მშვიდობიანობის მტკიცე გარანტიას წარმოადგენს ევროპის აღმოსავლეთში“.

გერმანული სააგენტო „ტელ უნიონი“ ვარშავიდან იუწყება, რომ ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულობის დადების ცნობამ შეაფიქრიანა პოლონეთის მთავრობის წრეები. პოლონეთის მთავრობას, სააგენტოს სიტყვით, განზრახვა აქვს მკაცრი ნოტით მიმართოს საბჭოთა კავშირს. ვარშავაში მოელიან პოლონეთ-საბჭოთა მოლაპარაკების შეწყვეტას, რომელიც საგარანტიო ხელშეკრულობის დასადებად სწარმოებს.

კოვნო, 30 სექტემბერი. საბჭოთა-დივიზი უსათუოდ ლიტვის ხელშეკრულების შესახებ ლიტვის ოფიციოზი **„ლიეტუვა“** სწერს:

„ლიტვისა და საბჭოთა კავშირის დაახლოვება არაა ხელსაყრელი მხოლოდ იმათთვის, ვინც სცდილობს იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოებას ბალტიის მხარეში. პოლონეთის დიპლომატები დარწმუნდებიან ეხლა იმაში, რომ ლიტვამ საბოლოოდ უარყო განმარტოების პოლიტიკა და რომ მის მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკის ხაზი ეთანხმება ქვეყნის საღ ინტერესებს“.

ერიო და სოციალისტები

პარიზი, 29 სექტემბერი. **კონფლიქტი ერიოსა და ლიონის სოციალისტებს შორის სოციალისტების კაპიტულიაციით დამთავრდა.** მიუხედავათ იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა სოციალისტური ხმების უმრავლესობით წინადადება მისცა ერიოს, რომ იგი პუანკარეს მთავრობაში შესვლის გამო გადამდგარიყო ლიონის მერის თანამდებობიდან, ერიომ უარი სთქვა.

სოციალისტებმა განაცხადეს, რომ მათ არ სურთ დაბრკოლებანი შექმნან ქალაქის მეურნეობის მმართველობაში და ამიტომ ცნობად იღებენ, რომ ერიო „დემოკრატიის პრინციპის წინააღმდეგ“ რჩება მუნიციპალიტეტის სათავეში მუნიციპალიტეტის უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

წერილი კულიჯისადმი

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. საბჭოთა კავშირიდან ეხლახან დაბრუნებულ პედაგოგებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენელთა არაოფიციალური დელეგაციის წევრებმა პრესაში **გამოაქვეყნეს წერილი კულიჯისადმი, რომელშიც მოითხოვენ საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას შეერთებული შტატების მიერ.**

წერილში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობამ ცხრა წლის არსებობის ფაქტით დაამტკიცა თავისი სიმტკიცე და რომ არცნობის პოლიტიკა არ ეგუება შეერთებული შტატების ეკონომიურ ინტერესებს.

ურთიერთობა არგენტინასთან

ბუენოს-აირესი, 29 სექტემბერი. **არგენტინის მთავრობამ განკარგულება მისცა სატელეგრაფო კომპანიებს, რომ არგენტინისა და საბჭოთა კავშირის შორის კვლავ დაიწყონ დაკლებული კაბლოგრამის ტარიფების გამოყენება.**

დაკლებული ტარიფების გადახდევინება შეწყვეტილი იყო იმპერიალისტური ომის დროიდან. არგენტინის მთავრობის განკარგულება შედეგია იმ მოლაპარაკებისა, რომელსაც აწარმოებდა საბჭოთა კავშირის კომერციული აგენტი ბუენოს-აირესში.

სეიმი მთავრობის წინააღმდეგ

დამოკიდებულება გამწვავდა

ვარშავა, 29 სექტემბერი. **მთავრობასა და სეიმს შორის ბრძოლა გრძელდება და ჯერ-ჯერობით არც ერთ მხარეს არ გამოუთქვამს სურვილი კაპიტულიაციის მოსახდენათ.**

მთავრობის წრეებში დაბადებულ გეგმის განხორციელება, რომლის მიხედვით სეიმის სხდომა უნდა გადადებულიყო ნოემბრამდე, რითაც აცილებული იქნებოდა სეიმზე „ახალი“ მთავრობის წარდგენის აუცილებლობა, არ მოხერხდა.

უკანასკნელ ცნობებით, 30 სექტემბერს დანიშნული სეიმის სხდომა შესდგება, სადაც ბარტელი გამოვა მოკლე განცხადებით. **შემდეგი ამბების განვითარება დამოკიდებულია სეიმის არჩევნების შედეგებზე.** თუ გაზეთების განცხადებებს დაუჯერებთ, კენჭის ყრის შედეგი წინდაწინვე გამორკვეულია, ის წინააღმდეგი იქნება მთავრობისა. **მემარჯვენე გაზეთები აფრთხილებენ მთავრობას, სრულებით არ გამოცხადდენ სეიმზე.** მთავრობის წრეებში იმარჯვებს მეორე თვალსაზრისი. ამ წრეებში სთვლიან, რომ სეიმში გამოუსვლელობა სამარცხვინო იქნებოდა მთავრობისათვის და უკანასკნელის ავტორიტეტს დასცემსო.

სენატის წინააღმდეგია

ვარშავა, 29 სექტემბერი. სენატმა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალისათვის წინასწარ ბიუჯეტის პროექტში **შეიტანა მთელი რიგი დემონსტრატიული შესწორებანი** იმ მიზნით, რომ მთავრობა იძულებული გეხადა, რათა 30 სექტემბერს მოიწვიოს სეიმის სხდომა.

ცხადია მთავრობის და სეიმის მორიგების ცდების უშედეგოთ დამთავრდა.

კუკის განცხადება

ლონდონი, 30 სექტემბერი. ერთ-ერთ კრებაზე ლონდონში **კუკმა** განაცხადა:

„მემაღაროების წინააღმდეგ შემოკრებენ კაპიტალიზმის ყველა ძალები. **მაგრამ მე არ მოვაწერ ხელს იმ შეთანხმებას, რომელიც გააგრძელებდა სამუშაო დღეს.** შიმშილით გამოწვეულ მძიმე მდგომარეობის გამო მუშები უკან იხევენ. მაგრამ უკან დახევის დროსაც ჩვენ ისეთივე ვაჟკაცები ვიქნებით, როგორიც ვიყავით თავის დროზე მაღაროებში. ჩვენ იძულებული ვართ უკან დავიხიოთ იმის გამო, რომ არ გაგვიწიეს საკმაო დახმარება, იმიტომ, რომ გენერალურმა საბჭომ არ მოისურვა ქვანახშირის შემოტანის აკრძალვა და პროფკავშირების წევრების ანარიცხების შემოღება მემაღაროეთა სასარგებლოდ. მაგრამ უკან დახევის დღიდანვე, ჩვენ კვლავ დავრაზმავთ ჩვენ რიგებს. ჩვენ ვიმუშავებთ დღე და ღამ და შემდეგ აჯანყების დროს ჩვენ მტრებს საქმე ექნებათ არა ერთ კუკთან, არამედ ათას კუკთან“.

რემედასი ამერიკაში

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. ამ დღეებში ჩიკაგოში დამთავრდა რემედასის ამერიკული სექციის მეორე წლიური კონფერენცია.

ალმასკომის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რემედასის ამერიკულ სექციაში ამჟამად ირიცხება 20.000 წევრი. გარდა ამისა, სექციის წევრებად არიან მთელი რიგი ორგანიზაციებისა, რომელნიც აერთიანებენ 100.000 წევრს.

უკანასკნელი ცნობები

ევროპის ფოლადის ტრესტი

პარიზი, 30 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ შესდგა ინგლისის, ბელგიის, გერმანიის და საფრანგეთის წარმომადგენლების სხდომა, რომელიც დასრულდა ევროპის ფოლადის ტრესტის დაარსებით.

ჰამბურგის კონფლიქტი

ბერლინი, 30 სექტემბერი. ნავთსადგურის მუშებსა და მწარმოებლებს შორის ჰამბურგის კონფლიქტის შესახებ მოლაპარაკება კვლავ უშედეგოთ დასრულდა. სამედიატორო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება მხოლოდ რამდენათმე აკმაყოფილებს მუშათა მოთხოვნილებებს.

საბჭოთა კავშირის რწმუნებული ჩინეთში

მოსკოვი, 30 სექტემბერი. დღეს პეკინში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში **ჩერნიხი**, რომელიც დაინიშნა საბჭოთა კავშირის საქმეების დროებით რწმუნებულად ჩინეთში, სანამ კარახანი დაბრუნდებოდეს.

მუსოლინის და ჩემბერლენის შეხვედრა

ლონდონი, 29 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი ჩემბერლენისა და მუსოლინის ლივორნოში შეხვედრის შესახებ სწერს, რომ ეს არის „თავაზიანობის ვიზიტი“. კორესპონდენტი აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ ბევრ პოლიტიკურ წრეებში ამ შეხვედრას მისცემენ გადაჭარბებულ მნიშვნელობას, განმარტავს, რომ „ჩემბერლენს არ ახლავს ტეხნიკური მრჩევლები და მდივნები, ამავე დროს კი საზღვარ-გარეთ არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ მას არ შეუძლია რაიმე სერიოზული პრობლემის გადაჭრა თუ წინასწარი თათბირი არ იქონია კაბინეტთან“.

პუანკარეს რეფორმები

პარიზი, 30 სექტემბერი. პუანკარემ მიიღო ზოგიერთ ადმინისტრატიულ-სასამართლო რეფორმების მოწინააღმდეგე პარლამენტარიების დეპუტაცია და განუცხადა, რომ მთავრობამ სრული შემადგენლობით მტკიცედ გადასწყვიტა გაატაროს დეკრეტი. პუანკარე დასვამს ნდობის საკითხს და უარყოფს ყოველგვარ შესწორებას.

დანცინგის მთავრობის გადადგომა

ბერლინი, 30 სექტემბერი. დანცინგის სტორტინგის მიერ საფინანსო პროექტის უარყოფის გამო მთავრობა გადადგა.

ბრიტანეთის ახალი ელჩი ბერლინში

ლონდონი, 30 სექტემბერი. ლორდ დ,აბერნონის ნაცვლად ბრიტანეთის ელჩად ბერლინში ინიშნება ეხლანდელი ელჩი კონსტანტინეპოლში რონალდ ლინდსეი.

რუმინეთის მეფის ტახტიდან გადადგომა

ბერლინი, 30 სექტემბერი. „ნიუ-იორკ ჰერალდის“ ცნობით, რუმინეთის მეფეს ფერდინანდს, რუმინეთის დედოფლის ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ განზრახული აქვს გადადგეს ტახტიდან.

საფრანგეთის რადიკალების ბელადები

ლონდონი, 30 სექტემბერი. „ერ ნუველი“ იუწყება, რომ ერიომ გადასწყვიტა უარი სთქვას რადიკალური პარტიის თავმჯდომარეობაზე. მის ადგილზე კანდიდატურას აყენებენ მალვი, რენუ, დალადიე და შოტანი.

კონდილისის კაბინეტის კრიზისი

პარიზი, 29 სექტემბერი. ათინიდან იუწყებიან, რომ კაბინეტმა აცნობა ადმირალ კონდურიოტისს, რომ იგი გადადგა. კონდურიოტისმა სთხოვა კონდილისს დარჩენილიყო პრემიერად არჩევნებამდე.

შეხვედრა ლივერნოში

ბერლინი, 29 სექტემბერი. ლივერნოში მოვიდა საკუთარი იახტით ჩემბერლენი. ხვალ მოხდება მისი შეხვედრა მუსოლინთან.

მემაღაროეთა კონფერენცია

ლონდონი, 29 სექტემბერი. მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციამ დაადგინა მთავრობის წინადადებანი გადასცეს რაიონებს განსახილველად. კონფერენციის გაგრძელება გადაიდო 7 ოქტომბრამდე, როცა გაკეთებულ იქნება მოხსენება ადგილების მიერ მთავრობის წინადადებათა განხილვის შედეგების შესახებ. ამ საკითხის შესახებ რეფერენდუმი არ მოხდება.

გაზეთის დახურვა

პეკინი, 29 სექტემბერი. როგორც შანხაიდან იუწყებიან, გაზეთი „შანხაისკაი ჟიზნ“ დახურულია შერეული სასამართლოს ბრძანებით.

სლიაუჟევიჩი დიდ თეატრში

მოსკოვი, 30 სექტემბერი. საღამოს, 29 სექტემბერს, ლიტვის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სლიაუჟევიჩი, მისი მეუღლე და აგრეთვე ლიტვის მისია, ლუნაჩარსკის მიპატიჟებით, დაესწრენ წარმოდგენას დიდ თეატრში.

მემაღაროეთა გაფიცვის გარშემო

ლონდონი, 39 სექტემბერი. ჰერბერტ სმიტი, რიჩარდსონი და კუკი არ დაესწრებიან სადელეგატო კონფერენციის დღევანდელ სხდომას, ვინაიდან დილით ადრე გადაფრინდენ ჰაეროპლანით ოსტენდეში მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციის იმ სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად, რომელმაც უნდა განიხილოს ინგლისელ მემაღაროეთათვის დახმარების აღმოჩენის საკითხი.

სადელეგატო კონფერენციის გარდაწყვეტილება, რომ მთავრობის წინადადება რაიონებს გადასცეს განსახილველად, შემდგომი ნაბიჯების ერთი კვირით გადადებას ნიშნავს. რაიონებს შეუძლიათ გამოვიდენ თავიანთი წინადადებებით, გარდა იმ წინადადებებითა, რომელნიც მემაღაროეთა აღმასკომმა და მთავრობამ წარადგინეს.

სანახშირო მრეწველობის გაფიცვამ გავლენა იქონია ხაზინის ბრუნვაზე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში: შემოსავალი უდრის 322 მილ. გირ. სტერ., გასავალი კი 322,25 მილიონს, **დეფიციტი შეადგენს 61,75 მილ. გირვ. სტერლინგს.**

ამერიკის მუშათა დელეგაცია

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. რკინის გზის კონდუქტორების კავშირის თავმჯდომარემ ლიუციუს შეპარდმა განაცხადა, რომ **1927 წლის ივლისში საბჭოთა კავშირში გაიგზავნება მუშათა დელეგაცია.**

ყოფილ მინისტრების გასამართლება

ვენა, 29 სექტემბერი. **ბულგარეთის პარლამენტმა დაადასტურა პროკურატურის წინადადება, სახელმწიფო ფულების გაფლანგვისათვის სტამბოლისკის მთავრობის ყოფილი მინისტრების პასუხისგებაში მიცემის შესახებ.** სტამბოლისკის მთავრობის წევრთაგან ბულგარეთში იმყოფებიან: **ტომოვი, ომარჩევსკი, კურლაკოვი და მურავიოვი.** ათანაზოვი და სტოიანოვი უცხოეთში არიან. თვითონ სტამბოლისკი, იანოვი და საკალოვი მოკლულ იქნენ.

რუმინეთი

გაღვიძებული მადა

ვენა, 29 სექტემბერი. ბუქარესტში დაბრუნებულმა რუმინეთის პრემიერმა **ავერესკუმ ჟურნალისტებთან საუბარში** განაცხადა, რომ იტალია-რუმინეთის ხელშეკრულება არსებითად წარმოადგენს რუმინეთის დღევანდელ საზღვრების ცნობას, ბესარაბიის ჩათვლით.

ტახტზე უარს ამბობენ

პარიზი, 30 სექტემბერი. „პარი მიდის“ ბუქარესტელ კორესპონდენტის ცნობით, რუმინეთის მემკვიდრემ ნიკოლოზმა უარი სთქვა თავის უფლებებზე ტახტის მიმართ. ამჟამად მყოფ მეფესაც განზრახვა აქვს გადადგეს ტახტიდან.

ოპოზიცია განაგრძობს მოქმედებას ავერესკუს წინააღმდეგ, რომელიც პასუხისმგებელია იტალიასთან ხელშეკრულების დადებაში. ოპოზიციონური გაზეთები მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ იტალიის მთავრობამ არ სცნო რუმინეთის უფლებები ბესარაბიაზე.

მთავრობის კრიზისი საბერძნეთში

ათინა, 30 სექტემბერი. ათინის ტელეგრაფის სააგენტო იუწყება, რომ პრეზიდენტმა კონდურიოტისმა დღეს მოიწვია პრემიერი კონდილისი და დაავალა გამოაცხადოს, რომ მთავრობის გადადგომა მან არ მიიღო. შეიცვლება მხოლოდ მთავრობის შემადგენლობა ახალი მინისტრების მოწვევით იმათ ნაცვლად, რომლებიც მოისურვებენ გადადგომას.

პარიზი, 30 სექტემბერი. კონდილისმა გადასწყვიტა დატოვოს მინისტრების უმრავლესობა და არჩევნების ვადა გადასდოს 7 ნოემბრამდე. მონარქისტები აშკარად ლაპარაკობენ გიორგი მე-3 დაბრუნების შესახებ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

შრომის დაცვა

მოსკოვი, 30 სექტემბერი. **29 სექტემბერს გაიხსნა სრულიად საკავშირო თათბირი შრომის დაცვის შესახებ.**

შესავალ სიტყვაში საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარმა შმიდტმა აღნიშნა, ის ძირითადი საკითხები, რომელნიც უნდა განიხილოს თათბირმა.

სათბობი მასალა

მოსკოვი, 30 სექტემბერი. **საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გამოსცა ბრძანება სათბობი მასალის რაციონალურად გამოყენების შესახებ.**

„სულ მცირეა ის დაწესებულებები, —ნათქვამია ბრძანებაში, — რომლებიც ერთგვარ ყურადღებას აქცევენ მეურნეობაში სათბობი მასალის გამოყენების საკითხს. ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობა ამ საქმეს არ ჰკიდებს ხელს და ხშირად ინტერესსაც არ იჩენს.

საჭიროა მრეწველობის ახალ საოპერაციო წელში გაჩაღდეს სათბობ მასალაზე მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია“.

ბრძანების მიხედვით წინადადება ეძლევა სამთო-საწვავ მასალის მთავარ სამმართველოს, შექმნას განსაკუთრებული თათბირი ჩუბაროვის თავმჯდომარეობით მეურნეობაში საწვავი და სათბობი მასალის რაციონალურად გამოყენების საკითხების განსახილველად.

არჩევნები საბჭოებში

მოსკოვი, 30 სექტემბერი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ინსტრუქცია საბჭოებში არჩევნების შესახებ. საკავშირო ცაკმა წინადადებით მიმართა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მიაქციონ სერიოზული ყურადღება საარჩევნო კომისიების შედგენის წესს და უფლებებს იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც მათ აქვთ მშრომელთა უფლებების უზრუნველყოფის მხრივ და აგრეთვე იმას, რომ არჩევნებში არ მიიღონ მონაწილეობა მოსახლეობის ექსპლოატატორულმა ელემენტებმა.

მომგებიანი სესხი

მოსკოვი, 30 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფონდო სამმართველოში მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ახალი სესხის ობლიგაციების გაყიდვა წარმატებით მიმდინარეობს. ლენინგრადში ობლიგაციების გაყიდვის პირველ დღეს სახელმწიფო ბანკთან და საკრედიტო დაწესებულებებთან იდგა რიგი. სიმფეროპოლსა, სარატოვსა და სტალინგრადში ობლიგაციების გაყიდვამ მოლოდინს გადააჭარბა.

ხელფასის მიცემის ვადები

მოსკოვი, 30 სექტემბერი. საკავშირო ფინსახკომმა და შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინეს, რომ ხელფასი მუშა-მოსამსახურეებს უნდა მიეცეს პირველი ნახევარი თვის—ამავე თვის 16 რიცხვში, მეორე ნახევრის—შემდეგი თვის 1-ლ რიცხვში.

მომხმარებელი კოოპერაცია

მოსკოვი, 30 სექტემბერი. მომხმარებელ კოოპერაციის წევრთა რიცხვი 1925-26 წ. უდრის 9.345.303 კაცს, რაც 1924-25 წ. შედარებით იძლევა 31,2%-ით ზრდას.

მომხმარებელი კოოპერაციის საერთო ბრუნვა 1925-26 წ. უდრის 6.305.681.000 მან.; 1924-25 წ. შედარებით ბრუნვა გადიდებულია 67%-ით.

მასიური მკვლელობანი ბულგარეთში

მოსკოვი, 30 სექტემბერი. რემედასის აღმასკომმა მიიღო ცნობები ბულგარეთში მასიური მკვლელობის შესახებ. ამას წინად ტროიანსკის რაიონში გაიგზავნა ექსპედიცია, რომელმაც მიწასთან გაასწორა 15 სოფელი და გაუსამართლებლად დახვრიტა მშვიდობიანი გლეხები.

ახალგ. მუშათა დელეგაცია

ლენინგრადი, 30 სექტემბერი. ჩამოვიდა ინგლისის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაცია 13 კაცის შემადგენლობით. 4 დელეგატი—კომკავშირელია, დანარჩენი მუშათა პარტიის ახალგაზრდათა სექციების წევრებია. მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ ედვარდმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდობის დელეგატების გამომგზავრების წინ გადაეღობა დიდი დაბრკოლებები. ინგლისში დაბრუნების შემდეგ შესაძლოა, რომ ბევრი დაითხოვონ სამსახურიდან.

პარტკონფერენციის გადადება

მოსკოვი, 30 სექტემბერი. საკავშირო კომპარტიის ყველა ორგანიზაციებს:

საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებით მე-15 საკავშირო პარტიული კონფერენცია გადატანილია 15-დან 25 ოქტომბრამდე.

საკავშირო კომპარტიის ცეკას მდივანი **მოლოტოვი.**

ბრძოლა ხულიგნობასთან

მოსკოვი, 30 სექტემბერი. განათლების სახალხო კომისარიატში ლუნაჩარსკის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი პოლიტგანათლების მთავარსამმართველოს, პროფგანათლების მთავარ სამმართველოს და სოციალური აღზრდის მთავარსამმართველოს წარმომადგენლებისა ხულიგანობასთან ბრძოლის საკითხების განსახილველად.

ლუნაჩარსკიმ აღნიშნა, რომ ხულიგნობა ფეხს იკიდებს მოსწავლე ახალგაზრდობას შორის.

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარსამმართველოების წარმომადგენლებმა თათბირზე აღნიშნეს, რომ ხულიგნობას ადგილი აქვს კლუბებშიაც.

თათბირმა საჭიროდ სცნო მოსწავლეთა ორგანიზაციებში მუშაობის გაძლიერება, კერძოთ, ლოთ და მოხულიგანო პირებზე ამხანაგური კონტროლის ორგანიზაცია.

თათბირმა დასახა ხულიგნობასთან კულტურული ბრძოლის წარმოების შემდეგი გეგმა: გაძლიერდეს ახალგაზრდობის მორალურ - უფლებრივი აღზრდა, სასწავლებლებში გაძლიერდეს სპორტი, მოეწყოს ახალგაზრდათა სამეცნიერო - საგამოკვლევო ექსკურსიები და სხვ. თეატრებისა, კინოებისა და ცირკის ბილეთებზე დაკლებულ იქნას ფასები, რომ ისინი მათთვის უფრო მისაწვდომი გახდეს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკლუბო მუშაობის გამოცოცხლებას.

სათბობი მასალა

მოსკოვი, 30 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სამრეწველო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა 1926—27 წლისათვის სათბობი მასალის მომარაგების გეგმა.

1926—27 წლისათვის დასახულ პროგრამით, დამზადებულ უნდა იქნას 3.353 მილიონი ფუთი პირობითი საწვავი მასალა, აქედან 7.350.000 ფ. შეშა, 2.012 მილ. ფუთი ნახშირი, 410 მილ. ფუთი ნავთი და 360 მილ. ფუთი წანახში. მიმდინარე წელთან შედარებით, გადიდებული იქნება ნავთის საწვავი მასალა—6 პროც., მაგარი მინერალური საწვავი მასალა—28 პროც., წანახში—38 პროც., შეშა—35 პროც., საერთოდ კი მთელი საწვავი მასალა—25 პროცენტით.

დამზადებელთა და მწარმოებელთათვის საჭირო საწვავი მასალის გამოკლებით, აგრეთვე საექსპორტო საწვავი მასალისა და დანაკარგის გამოკლებით, დამზადებული იქნება 2.742 მილ. ფ. პირობითი საწვავი მასალა, ხოლო შორეულ აღმოსავლეთის ნახშირის გამოკლებით, 2.720 მილ.

ამნაირად საწვავი მასალის დეფიციტი გამოიხატება 118 მილ. ფ. თუ გავითვალისწინებთ დასახული პროგრამის შეუსრულებლობის შესაძლებლობას ზოგიერთ ტრესტების მიერ და საწვავ მასალის ბალანსში დაბალ ხარისხოვან ნახშირის და ახლად მოჭრილ შეშის მარაგის შეტანას, მაშინ ეს დეფიციტი გაიზრდება 160—165 მილ. ფუთამდე.

სამრეწველო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა წარდგენილი გეგმა და მიიღო მთელი რიგი დადგენილებებისა საწვავი მასალის დამზადებისა და მისი რაციონალურად გამოყენების შესახებ. კერძოთ გადაწყვეტილია შეშის საგადასაზიდო ტარიფების გადასინჯვა, რათა ამით უზრუნველყოფილ იქნას შორიდან მოსაზიდ შეშის კონკურენციის უნარიანობა და წახალისებული იქნას ზაფხულობით შეშის გადმოზიდვა.

ბრძოლა უმუშევრობასთან

მოსკოვი, 30 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრმა **მელნიჩანსკიმ** განაცხადა:

„საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ და გამოარკვია, რომ პროფესიონალური კავშირები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ უმუშევრების დახმარების საქმის ორგანიზაციას. კოლექტიური ხელშეკრულებების პუნქტი, კავშირის უმუშევარ წევრების სამუშაოზე გაგზავნის უპირატესობის შესახებ, ქაღალდზე დარჩა.

კავშირებმა აუცილებლათ სასამართლოს პასუხისგებაში უნდა მისცენ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დამრღვევნი. კავშირიდან უნდა გამორიცხულ იქნან ისინი, ვინც მუშა-მოსამსახურეებს პროტექციით იღებენ. პროტექციონიზმის მოყვარულთ ჩვენ ბოიკოტს გამოუცხადებთ.

მუშების შემცირების მაგივრათ სამეურნეო მუშაკთ შეუძლიათ, წარმოებათა სამუშაოებებისთვის წარმატებით გამოიყენონ მუშათა ძალის ბუნებრივი დაკლება.

წარმოების ცალკე დარგებში დრობით კრიზისებისა და შეჩერებების დროს, სადაც მოსახერხებელი იქნება, მუშების შემცირების სამაგიეროთ უნდა გატარებულ იქნეს მუშათა შემოკლებული კვირეული. ჩვენს დაწესებულებებში განსაკუთრებულ ბოროტებას წარმოადგენს ზედმეტი სამუშაოები. თუ დაწესებულებათა ხელმძღვანელები გვერდს უვლიან შრომის კანონმდებლობის კოდექსს, პროფკავშირებმა უნდა მოახდინონ ზეგავლენა და თავიანთ რიგებიდან გამორიცხონ ისინი.

უმუშევართა დამხმარე ფონდი უნდა გაძლიერებულ იქნას იმ კავშირებში, სადაც დიდი უმუშევრობა არის შემჩნეული.

მომჭირნეობის რეჟიმი მრეწველობაში

მოსკოვი, 30 სექტემბერი. რუს. სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გამოარკვია მრეწველობაში მომჭირნეობის გატარების პირველი შედეგები. სულ 29 ტრესტს და 1 სინდიკატს წინადადება ჰქონდათ მიცემული არანაყოფიერი ხარჯები შემცირებიათ. 4.654.000 მან. რაოდენობით, აქედან საორგანიზაციო და საწარმოო ხარჯები 3.109.000 მან., მმართველობის—1.080.000 მან. და სავაჭრო ხარჯები—550.000 მან. რეალური მომჭირნეობა უდრის 1.259.000 მან. ანუ არანაყოფიერი ხარჯების გამორკვეულ რაოდენობის 27%-ს, ამასთანავე საორგანიზაციო და საწარმოო ხარჯები შემცირებული იქნა 670.000 მან., მმართველობის ხარჯები—313.000 მანეთით, და სავაჭრო—186.000 მან. მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით ყველაზე მეტი რეალურ მომჭირნეობას ადგილი აქვს ტყავეულის დარგში — 395.000 მ.: შემდეგ მიდის: სატყეო მრეწველობა—250.000 მან., მეთევზეობა—206.000 მან., ქიმიური—18.000 მან., სხვადასხვა კომბინატები—75.000 მან., ლითონის მრეწველობა—79.000 მან. და სხვა.

უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში რეალური მომჭირნეობის ეს ციფრები თანდათან გაიზრდება. წარსულ ნახევარი წლის პერიოდში უმაღლეს სამეურნეო საბჭოს კომისია თავის მუშაობაში უმთავრეს ყურადღებას აქცევდა მმართველობის და საორგანიზაციო-ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირებას, ახალი 1926-27 წ. დაწყებიდან კომისიას განზრახული აქვს ჩაატაროს დიდი მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში წარმოების რაციონალიზაციის მიზნით.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

აბრეშუმის თესლი

ბაქო, 30 სექტემბერი. მიწათმოქმედების საგრენაჟო სადგურებმა განზრახულ 60.000 კოლოფის მაგიერ მიმდინარე კამპანიაში დაამზადა 45.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი. მიმდინარე წელს საგრენაჟო საქმეზე დღემდე დაიხარჯა 86.000 მანეთი და კიდევ მოსალოდნელია 40.000 მანეთის ხარჯი. აბრეშუმის თესლის რეალიზაცია მოგვცემს მოგებას 25.000 მან. რაოდენობით, რაც მოხმარდება აბრეშუმის თესლის დამამზადებელ სადგურების ქსელის გაფართოებას.

მომავალ წლის კამპანიაში განზრახულია 75.000 კოლოფი აბრეშუმის თესლის დამზადება, რაც იწვევს ახალი საგრენაჟო სადგურის აშენებას ან აგდაშსა და ან კარიაგინოში. თვითეულმა ქარხანამ წელიწადში უნდა დაამზადოს 12.500 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

რკინის-გზის ვიწრო ლიანდაგის შეცვლა განჯა—სადგურს შორის

ბაქო, 29 სექტემბერი. აზერბეიჯანის ცაკმა შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა რკინის-გზის ვიწრო ლიანდაგი, რომელიც სადგურ განჯას ქალაქთან აერთიანებს შეცვლილ იქნეს ფართო ლიანდაგით.

ბრძოლა უმუშევრობასთან

ბაქო, 29 სექტემბერი. შრომის სახალხო კომისარიატმა 1926—27 წელს აზერბეიჯანში უმუშევრობასთან საბრძოლველ ღონისძიებათა ფინანსიურად უზრუნველსაყოფათ გამოითხოვა 500 ათასი მან.

აზერბეიჯანის ცაკის სესია

ბაქო, 30 სექტემბერი. დღეს აზერბეიჯანის ცაკის სესიის სხდომაზე გათავდა კამათი სას.-სამ. გადასახადის მოხსენების გარშემო და მოისმინეს ამხ. ალიევის სიტყვა. მოხსენებით აზერბეიჯანის მრეწველობაზე გამოვიდა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ილდრიმი.** საღამოთი შესდგა სესიის უკანასკნელი სხდომა. დამტკიცებულია აზ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ სესიებს შორის მიღებული დადგენილებანი.

ყველა მოხსენებებზე მიღებულია რეზოლიუციები.

სომხურ ემიგრაციაში

საუბარი ა. ისაკიანთან

გუშინ იტალიიდან თბილისში ჩამოვიდა ყოფილი დაშნაკელი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე **ავეტიკ ისაკიანი.** ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში სომხური ემიგრაციის მდგომარეობის შესახებ მან განაცხადა შემდეგი:

ამ რამოდენიმე ხნის წინედ იტალიაში არსებობდა სომხური ემიგრანტების მცირე ჯგუფი. მათი მდგომარეობა იქ აუტანელი იყო, რადგან დიდათ უძნელდებოდათ სამუშაოს შოვნა. ამ გარემოებამ აიძულა ისინი დაეტოვებიათ იტალია და დაფანტულიყვენ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. სომხური ემიგრაცია უმთავრესად მოკალათებულია საფრანგეთსა და ამერიკაში.

ამ ბოლო ხანებში სომხურ ემიგრაციაში **დიდი გარდატეხა მოხდა. მრავალმა გამოჩენილმა დაშნაკელმა უარჰყო ძველი გზები და ჩამოშორდა ხატისოვს და მის დამქაშებს.** ეხლა იქ განმტკიცებულია ის აზრი, რომ საბჭოთა სომხეთში აღმშენებლობითი მუშაობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ამ მხრივ დიდ როლს თამაშობს აქედან მიღებული ჟურნალ - გაზეთები. საერთოდ სომხური ემიგრაცია საზღვარ-გარედ **გახრწნის გზაზეა დამდგარი.**

ყოფილ დაშნაკელებს სურთ სომხეთში დაბრუნება, მაგრამ ხატისოვის ბანდა, ჟორდანია-რამიშვილის აგენტებთან ერთად, თავს ესხმის იმ პირებს, რომლებიც დააპირებენ სამშობლოში დაბრუნებას. მიუხედავათ ამისა, ემიგრანტები მტკიცეთ სდგანან თავიანთ გადაწყვეტილებაზე სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

საუბრის დასასრულ ამხ. ისაკიანმა განაცხადა, რომ ის აქ ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელიხელჩაკიდებული იმუშაოს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა სომხეთის მშრომელი ხალხის კულტურულ აღორძინების საქმეში.

ემიგრანტების ჩამოსვლა

ემიგრანტები მოეშურებიან საქართველოსკენ.—უჯარო გენერლები. — რა აკავებს ქართველ ემიგრანტებს უცხოეთში.—პირველი შთაბეჭდილებები საქართველოში.

გუშინ საქართველოში ჩამოვიდენ ემიგრანტები: **ნიკო ელიავა** (ყოფ. თბილისის ქალაქის თავი), **დათა ფავლენიშვილი, ბერეჟიანი, შალვა გედევანიშვილი და აპოლონ კაკაბაძე.**

ჩამოსულების გადმოცემით უცხოეთში არ არის ამჟამად არც ერთი ისეთი ემიგრანტი, თუ ის რამიშვილების ტერორისტულ ჯგუფს არ ეკუთვნის, რომ სამშობლოში დაბრუნებას არ სცდილობდეს. ყველანი დარწმუნდენ, რომ მენშევიკური პოლიტიკა იგივე ავანტიურიზმის პოლიტიკა არის, რომელმაც განიცადა უმაგალითო პოლიტიკური და მორალური მარცხი. სხვათა შორის ამ პოლიტიკის წყალობით ბევრი ქართველი ემიგრანტი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ უბრალო მუშებათ მუშაობენ საშინელ, ჯოჯოხეთურ პირობებში.

ისეთები, რომლებიც იზიარებენ ჟორდანია - რამიშვილის პოზიციას, შეიძლება ითქვას, ძალიან ცოტანი არიან და ვინც არის, ის ან ტერორის ქვეშ ვერ მოშორებია მათ, ან თვითონაა დაქირავებული „მკლავაძე“.

წამოსვლის მსურველების წინააღმდეგ ღებულობენ რეპრესიულ ზომებს. მათ სდევნიან ყველგან, სცემენ, ლანძღავენ და უქმნიან საშინელ პირობებს. მენშევიკების ასეთ საქციელს ზურგს უმაგრებენ კერძოთ პარიზში, [illegible]

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ძნელი დასაძლევია ემიგრანტისთვის: მარტო გზის ფულად საფრანგეთიდან საქართველოში წამოსასვლელად საჭიროა სამი ათას ფრანკამდე, რის შოვნაც ჩვენებური ემიგრანტისათვის ძლიერ ძნელია.

ჩვენ გვარწმუნებდენ პარიზში,—სთქვეს ჩამოსულებმა, რომ საქართველოში ჩეკა მძვინვარებს; გადახვალთ თუ არა ბათომში, იმ წუთშივე თვალყურის დევნებას დაგიწყებენ, დაგიჭერენ, ან სამსახურს არ მოგცემენ და ბედს დაიწყევლითო. ჩვენ კი სულ წინააღმდეგი ვნახეთ.

ჩვენი პირველი შთაბეჭდილებაა, რომ საქართველო სრულებით გამოცვლილა, ყველგან აღმშენებლობა სწარმოებს; მარტო ზაჰესის ფასი რამ საქართველოში არ გაკეთებულა საუკუნეებში. თბილისიც ძლიერ გაუმშვენიერებიათ: ქუჩები გაუფართოებიათ, გაუყვანიათ ახალი ქუჩები და ქალაქს მიუღია ევროპიული სახე. ეს რომ გაიგონ ევროპაში დარჩენილმა ჩვენმა ამხანაგებმა, ერთი დღეც არ დარჩებიან იქ, თუ ამის საშუალება ექნათ.

ნიკო ელიავა ქუთაისში

ევროპიდან გუშინწინ ჩამოსული, ყოფილი თბილისის ქალაქის თავი—ნიკო ელიავა ჩავიდა ქუთაისში, საიდანაც იგი ამ დღეებში ჩამოვა თბილისში.

საკ.ვ. კომპარტიის ა.-კ. საკონტ. კომ. მე-3 პლენუმი

გუშინ გაიხსნა საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის მესამე პლენუმი.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გეგმა; 2) მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შედეგები; 3) სომხეთის ცენტრ. საკონტროლო კომისიის მოხსენება; 4) დაბალი საფეხურის სამოსამართლო აპარატი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის საკალენდარო გეგმის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარის მოადგილე ამხ. **ხუმარიანი.**

ამხ. ხუმარიანის მოხსენება

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის თავისებურება,—აღნიშნავს მომხსენებელი,—უპირველეს ყოვლისა არის საკალენდარო გეგმიანობა.

შეეხო რა მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინა წლების მუშაობის გეგმას, ამხ. ხუმარიანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ გეგმაში რესპუბლიკებს ხშირად შეჰქონდათ ისეთი საკითხები, რომელნიც აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენდენ, რაიც აბრკოლებდა ძირითად პრობლემათა გადაწყვეტას. თუ მივუმატებთ ამას, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გეგმა შესდგება არა მარტო ცენტრის, არამედ რესპუბლიკანურ საკონტროლო კომისიების მიერ წარდგენილ საკითხებისაგან, მაშინ ცხადი გახდება დასახული გეგმის შესრულების შეუძლებლობა დაწესებული ვადის ფარგლებში.

მომავალ წელში რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის გეგმა ითვალისწინებს 42 დავალებას, ოთხი ძირითადი ციკლით: **1) სასოფლო მეურნეობისა და სოფლის კულტურის აწევა, 2) მრეწველობის საწარმოო ძალების განვითარება, 3) მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება და 4) სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია.**

საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი თავის მხრივ იძლევა 11 დავალებას; რაციონალიზაციისა, სამეურნეო და კულტურული პრობლემების შესწავლისა და კონტროლის დარგში. ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის გეგმა მომავალ წლისათვის სულ შეიცავს 53 დავალებას.

მომავალ 1926—27 საბიუჯეტო წელში ამა თუ იმ დავალების ასრულების ვადის განსაზღვრის დროს მხედველობაში იქნება მიღებული ცალკე რესპუბლიკების სიშორე და ეროვნული თავისებურებანი.

კამათი

ამხ. ხუმარიანის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ამხ. **კარასიოვი** აღნიშნავს, რომ აუცილებელია მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გააძლიეროს მუშაობა არანორმალურ მოვლენათა და ნაკლთა აცილებისათვის სახელმწიფოს აპარატში.

ამხ. **ლეჟავა** შეეხო იმ გარემოებას, რომ სახალხო კომისარიატების მიერ წამოყენებული საკითხები სუსტათ არის განსაზღვრული.

ამხ. **რუსტამ-ქერიმოვი** შეჩერდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასიური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობაზე.

ამხ. **ოსეპიანმა** ხაზი გაუსვა იმას, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა გამოკვლევის დარგში გაცილებით გაუმჯობესდებოდა, რომ თვით საკონტროლო კომისიის წევრებს მიეღოთ უშუალო მონაწილეობა.

ამხ. **დოლიძემ** აღნიშნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გეგმის დადებითი მხარენი—დავალებათა შესრულების ვადის საკითხის მოგვარება და საკითხების რაოდენობის შემცირება.ამასთანავე მან ხაზი გაუსვა იმას,რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა საკმაოდ არ იდგა ახლო ადგილობრივ საჭიროებებთან და მოგვარებული არ იყო მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანამშრომელთა ხელფასის საკითხი.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. **ხუმარიანმა** ამომწურავი პასუხი გასცა კამათში აღძრულ კითხვებზე და წამოაყენა წინადადება, რომ შედგენილ იქნას საგანგებო კომისია ადგილებიდან წამოყენებული საკითხების განსახილველად.

პლენუმმა მიიღო ამხ. **ნაზარეტიანის** წინადადება, რომ ეს საკითხები შეტანილ იქნას წინედ დამტკიცებული კომისიის მუშაობის გეგმაში.

ამხ. მელიქის მოხსენება

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. მელიქის მოხსენება მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის შედეგების შესახებ, ორატორმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მუშაობა მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად დაიწყო პირველი მაისიდან; იმ თავითვე ინსპექცია გეგმიან მუშაობას შეუდგა და ამ ოთხი თვის განმავლობაში საკმაო მიღწევები არის. ამ ხნის განმავლობაში მოხდენილია 394 გამოკვლევა. ინსპექციამ მოახდინა მთელი რიგი დაწესებულებათა მდგომარეობის ყოველმხრივი გამოკვლევა, როგორც აპარატისა, შტატის და ორგანიზაციულ სტრუქტურის, ისე ყოველდღიურ საქმიანობის მხრივ.

გარდა ამისა, ინსპექციამ 44 დაწესებულებაში მოახდინა მივლინებების გამოკვლევა, 26 დაწესებულებაში მსუბუქი ავტო-ტრანსპორტის გამოკვლევა, 52 სახელმწიფო დაწესებულებაში გამოიკვლია ამ დაწესებულებათა ოპერაციები კერძო პირთა (მოიჯარადრეთა და სხვა) საშუალებით, 52 დაწესებულებაში დამატებითი ხელფასის გამოკვლევა, 22 დაწესებულებაში საუწყებო ყრილობებისა და კონფერენციების მოწვევის გამოკვლევა და 44 ტრესტების და სინდიკატების ამიერ-კავკასიის განყოფილებათა გამოკვლევა. ყველა ამ გამოკვლევებმა გამოააშკარავა მთელი რიგი დეფექტები, როგორიც არის მივლინებებისათვის თანხების უკანონოთ გამოწერა, თანამშრომლებისათვის მსხვილი ავანსების მიცემა და სხვა. აღსანიშნავია აგრეთვე, ისიც, რომ უწყებები და დაწესებულებები ხშირად იწვევენ ყრილობებს და კონფერენციებს, მიუხედავათ იმისა, რომ ბიუჯეტით ამ საქმისათვის საჭირო ხარჯები გათვალისწინებული არ არის, ეს გარემოება, რასაკვირველია, ცუდ გავლენას ახდენს დაწესებულებების ბიუჯეტის წონასწორობაზე.

ყველა ამ ნაკლის გამოსასწორებლად ინსპექციამ და საკონტროლო კომისიამ სათანადო ზომები მიიღო.

შეეხო რა შემდეგ ჩვენი დაწესებულებების მიერ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას, ორატორმა აღნიშნა, რომ 20 დაწესებულების გამოკვლევამ ამ მხრივ დაამტკიცა, ის გარემოება, რომ მომჭირნეობის რეჟიმი სუსტათ ტარდება. დაწესებულებები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ შტატების შემოკლებას, მივლინებათა შემცირებას, საკანცელარიო და საფოსტო ხარჯების შეკვეცას და სხვა, ხოლო აპარატის და საწარმოო პროცესების რაციონალიზაციის საქმეზე ისინი ნაკლებათ ზრუნავენ.

შეეხო რა მუშკორების მუშაობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ინსპექციის მუშკორების შენიშვნების გამოსაკვლევად გამოყოფილი ყავდა საგანგებო პირი. ასეთივე პირი იყო რკინის გზებზეც. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია რკინის გზებზე კომისიის დაარსება, პროფორგანიზაციისა და პრესის წარმომადგენლების მონაწილეობით, მუშკორთა შენიშვნების გამოსაკვლევათ და კანონიერ მსვლელობის მისაცემათ. დასასრულ ორატორი შეჩერდა საწარმო საქონელზე ფასების დაკლების საკითხზე და გააშუქა რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციების მუშაობა მომჭირნეობის რეჟიმის გატარების საქმეში.

მომხსენებელს მისცეს შეკითხვები. შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიხსნა კამათი.

სახელმწიფო გამომცემლობა 1925--26 წ.

რა გავაკეთეთ

დღეს დამთავრდა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის საოპერაციო წელიწადი. სახელგამის მუშაობას განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა არა მარტო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, არამედ მშრომელთა ფართო მასებიც და საერთოდ მთელი ქართული საზოგადოება. ეს ინტერესი განსაკუთრებით გაცხოველდა უკანასკნელი წლის განმავლობაში. ეს გარემოება უადვილებს სახელმწიფო გამომცემლობას შემოქმედებითი მუშაობას, პროლეტარიატის დიქტატურის კულტურულ ფრონტზე.

მრავალ უმნიშვნელო დეფექტების გარდა, რომელიც ქონია წარსულში სახელგამს და რომელზედაც მიუთითებდენ გამომცემლობის კრიტიკოსები, სრულიად სამართლიანად ესმებოდა ხაზი მაგალითად იმასაც, რომ ქართული წიგნის გარეგნობა მეტად უშნო და უკულტუროა, რომ ქართული წიგნი ძვირად ფასობდა,—განსაკუთრებით სახელმძღვანელოები,—რომ ეს სახელმძღვანელოები გამოდიოდა პედაგოგიურისა და ტეხნიკური ხასიათის მნიშვნელოვანი შეცდომებით, რომ სახელგამის გამოცემებში თითქმის სრულიად არ მოიპოვებოდა ქართული სამხატვრო ლიტერატურა, რომ ქართული წიგნის ბაზარი განისაზღვრებოდა მხოლოდ თბილისით და სხვ..

ყოველგვარი ნაკლის აღნიშვნის შემდეგ სახელგამის ამოცანები 1925—26 წლისათვის შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: 1) პროდუქციის გადიდება და გამოცემათა ღირსების გაუმჯობესება; 2) წიგნის გავრცელების საქმის მოგვარება და 3) სახელგამის სავაჭრო-ფინანსიური აპარატის საერთო გაჯანსაღება.

რასაკვირველია, ერთი წლის განმავლობაში შეუძლებელი იყო ყოველგვარი ნაკლის გამოსწორება და სახელგამის საქმიანობის სრული გადახალისება, მაგრამ მიუხედავათ ამისა, სახელგამის მიღწევანი ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში უთუოდ დიდი და მნიშვნელოვანია.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ქართველი მკითხველი მეტის სიყვარულითა და სურვილით დაიჭერს ხელში ჩვენს უკანასკნელ გამოცემებს. ქართული წიგნის გარეგნობა სავსებით შეიცვალა წარსულთან შედარებით. წიგნის კულტურა სწრაფის ნაბიჯით მიდის წინ და მართლაც, მხატვრულ დონეზე დგება. სახელგამს განზრახვა აქვს მოკლე ხანში მოაწყოს გამოფენა—„ქართული წიგნის ევოლიუცია“, სადაც შესაძლებელი გახდება ქართული წიგნის კულტურის წინსვლა უფრო თვალსაჩინოდ იქნას ნახული სპეციალური ექსპონატების მაგალითზე. ეს გამოფენა დაუმტკიცებს ყველას, რომ ქართული წიგნის კულტურამ მართლაც შესდგა ფეხი თავის აყვავების ხანაში. მანამდის კი ამ გამოფენის მაგიერობა უნდა შეასრულოს სახელგამის „ვიტრინებმა“.

შარშან აღნიშნავდენ სახელმძღვანელოების დეფექტებს. შესაძლებელია, რომ ეს დეფექტები 1925—26 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოებშიაც მოინახოს, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი წიგნების ბიბლიოგრაფს ასეთი შეცდომების ძებნაში წელს მეტი დრო და შრომა დაეკარგება, ვინემ ეს იყო შარშან.

რაიცა შეეხება კერძოთ, სახელმძღვანელოების სიძვირეს, წელს სახელმძღვანელოების ფასი დაწეულია შესაძლებელ მინიმუმამდე. და თუ, მიუხედავათ ამისა, სახელგამმა მაინც ვერ მოახერხა სასკოლო წიგნის მაქსიმალურად გაიაფება, ეს აიხსნება მხოლოდ იმ განსაკუთრებით მძიმე ობიექტიური პირობებით, რომელნიც დაკავშირებულია, როგორც საქართველოს, ისე საბჭოთა კავშირის საერთო სამეურნეო მდგომარეობასთან და არა ამა თუ იმ წარმოების, თუ გამომცემლობის მოქმედებასთან. ყოველ შემთხვევაში, გასულ საოპერაციო წელს სახელგამის უდიდესი ამოცანა წიგნის შედარებითი გაიაფება იყო და ეს ამოცანა უთუოდ მიღწეულად უნდა ჩაითვალოს: ერთის მხრივ წიგნის ნომინალური ფასის მართლაც ფაქტიურად შემცირებით და მეორეს მხრივ, წიგნის შინაარსის და საერთოდ მისი ღირსების გაუმჯობესებით.

მიუხედავათ იმისა, რომ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სამეცნიერო საბჭო ეხლა მეტის სიფრთხილით ეპყრობა სკოლებში, სახმარებლად მიღებულ წიგნების განხილვას, სახელგამი, თავის მხრივაც, რედაქციის უკეთებს მათ ენისა და სტილის მხრივ და ამ საქმეზე ამუშავებს საუკეთესო სტილისტებს, ქართული ენისა და ლიტერატურის მცოდნე პირებს.

სახელგამის მოქმედების დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ წრევანდელ გამოცემებში თითქმის არ მოიპოვება უმაღლეს სასწავლებლებისათვის საჭირო წიგნები. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალ სეზონში სახელგამი გამოსცემს იმ თორმეტ წიგნს, რომელიც შეუკვეთა განათლების კომისარიატმა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს სპეციალურად უმაღლესი სკოლის საჭიროებისათვის.

ქართული მხატვრული ლიტერატურის გამოცემა საზოგადოდ მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის უკანასკნელმა ყრილობამაც განსაკუთრებით მწვავეთ დასვა ეს საკითხი.

ჩვენის ფიქრით, ქვემოდ მოყვანილი ციფრები უნდა იქნას მიჩნეული სრულიად დამაკმაყოფილებლად: 1924 წელს გამოიცა მხატვრული ლიტერატურიდან მხოლოდ ერთი წიგნი, ტირაჟით 2.000 ცალი, ხოლო 1925 წ. 1-ლი ოქტომბრიდან 1926 წლის 1-ლ ოქტომბრამდე გამოვიდა 52 წიგნი საერთო ტირაჟით 162.000 ცალი.

როდესაც სახელგამი გადადის ახალი საგამომცემლო წლის პერიოდში, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მუშაობის ამ დარგის ესოდენი გაძლიერება არ იყო შემთხვევითი. მას ქონდა თავისი სერიოზული მიზეზი: გასულ სეზონში სახელგამმა გამოსცა თანამედროვე მწერლების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები და ამით ლიკვიდაცია უყო ყველა იმ დაგროვილ მასალას, რომლის დაბეჭდვაში დაინტერესებული იყო თვითეული მწერალი პიროვნულად და მკითხველი მასაც. ეხლა იწყება ახალი პერიოდი, ახალ ნაწარმოებთა გამოჩენის, დრო ახალი შემოქმედებისა, რომელიც უნდა აღმოაცენოს ახალი ცხოვრების მიერ შექმნილმა ახალმა ყოფამ. ან ჩვენი მწერლები შესძლებენ ამ ახალი ყოფის ასახვას,ან და ფაქტიურად გავლენ ლიტერატურიდან, როგორც გადავიდა დღევანდელი ცხოვრებიდან მათ მიერ განსახიერებული ძველი ცხოვრების პერსონაჟები. სდგას საკითხი—შერჩა ქართველ მწერალს ძალა ახალი შემოქმედებისათვის, თუ მან გაიყოლა იგი თავის უკანასკნელ წიგნს და ამით საბოლოოდ დაუთმო ადგილი „უტრადიციო“ ახალ ძალას ლიტერატურაში. ქართულ ხელოვნებაში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის და ლიტერატურული სახელების კლასიფიკაციისათვის ამის განცხადება დღეს საჭიროა.

ეხლა—საკითხი პოლიტიკურ ლიტერატურის შესახებ. ყველამ ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის პოლიტიკურად აღზრდას. მაგრამ ამავე დროს ყველასათვის ცხადია ის სიძნელე, რომელიც გადალახულ უნდა იქნას პოლიტიკური ლიტერატურის ფართო მასებში გატანის დროს.

საჭიროა, რომ ქართველმა ხალხმა საბოლოოდ გაითვალისწინოს მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებათა შინაარსი და მნიშვნელობა. ოქტომბრის რევოლიუცია, თუნდაც თავის ზოგად ხაზებში, საბოლოოდ გაშუქებული და გარკვეული უნდა იქნას ქართველი მუშისა და გლეხისათვის. ეს დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანაა, დიდი მოვალეობაა და დღეს ასეთი მოვალეობა გვაწევს ყველა მოაზ[illegible], ყოველ ქართველ ინტელიგენტს, რომელიც პასუხისმგებლად სთვლის თავის თავს საკუთარი ქვეყნის წინაშე. ეს არაა მარტო პარტიისა და ხელისუფლების საქმე—ეს მთელი უპარტიო ინტელიგენციის საქმეცაა და ამ საქმისაკენ კიდევ ერთხელ საჭიროა მოწოდებულ იქნას ყოველი შეგნებული ქართველი მოქალაქე.

მაგრამ არსად ეს მუშაობა ისე ძნელი არაა, როგორც საქართველოში. იტყვიან—ჯოჯოხეთსაც თავისი ტრადიციები აქვსო. საქართველო კი ხომ სავსეა ასეთი ტრადიციებით. ხშირად ეს ტრადიციები ყოვლად გაუმართლებელი, ყოვლად მიუღებელი და გაუგებარია, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, დაკვრითი წესი ამ ტრადიციებს ვერ ამოაშრობს პოლიტიკური წიგნების მილიონიანი ტირაჟებითაც კი.

აქ საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, ზომიერება და ამავე დროს მტკიცე გეგმა .ეს მუშაობა ორნაირი ხაზით უნდა იქნას წარმართული—ერთია პოლიტიკური წიგნების გამოცემა კარდინალურ საკითხებზე (წიგნი, რომელიც არ ბერდება) მეორე—მომენტისათვის საჭირო ლიტერატურის თავის დროზე გამოცემა.

მართალი უნდა ითქვას, ამ გეგმიან ელასტიურობამდე სახელგამის საგამომცემლო აპარატმა ჯერ ვერ მიაღწია, რაც მარტო და მხოლოდ სახელგამის ნაკლად არ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ ორი-სამი თვის განმავლობაში ამ დარგის მუშაობასაც საგრძნობი გამოცოცხლება ეტყობა და თუ სახელგამი თავის დროზე მიიტანს მკითხველამდე პოლიტიკურ დარგის ლიტერატურას, რომელიც გამოიცა ამ უკანასკნელ ხანს, ეს საქმეც გამართლებული იქნება.

სახელგამის სურვილის გარდა, რომ პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემაში შეტანილ იქნას მეტი გეგმიანობა და დისციპლინა, საჭიროა აგრეთვე მთავრობის ორგანოებისა და პარტიის მხრივ სათანადო ხელმძღვანელობა და ყურადღება.

რა გაკეთდა წელს ქართული წიგნის ბაზრის შექმნისა და საზოგადოდ წიგნის გავრცელების საქმეში?

გასული წლის დასაწყისში სახელგამს ქონდა ხუთი საკუთარი წიგნის მაღაზია. —თბილისში და ერთი პროვინციაში. მიმდინარე წელს საკუთარი მაღაზიების რიცხვი უდრის თორმეტს (12), ხოლო სახელგამის გამოცემათა სარეალიზაციო პუნქტების რიცხვი 53. თბილისის 5 მაღაზიის გარდა მაღაზიები გახსნილია—გორში, ქუთაისში, ქრებალოში, სენაკში, ფოთში, ბათომში, სოხუმში. გახსნილია წიგნის განყოფილებანი „ცეკავშირის“ საშუალებით 29 კოოპერატივში. ა.-კ. რკინის გზის ხაზზე, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, ყველა წიგნის კიოსკები (12) ვაჭრობენ სახელგამის გამოცემებით.

ამხანაგობა „წიგნის გავრცელება“-ს საშუალებით (თბილისი, ჯორჯაძის ქუჩა № 1), სახელგამი კავშირს იჭერს წიგნის გავრცელების საქმეში საქართველოს მივარდნილ კუთხეებთანაც კი.

მთელი ეს ორგანიზაცია წიგნის გავრცელების დარგში შეიქმნა და ამუშავდა მხოლოდ უკანასკნელ წელს. ეს ორგანიზაცია, რასაკვირველია, ჯერ არაა ძლიერი, მაგრამ ეს ხომ საქმის დასაწყისია და თუ ამ დასაწყისით შეიძლება მომავალის ვარაუდი—ეს მომავალი უთუოდ ბრწყინვალედ გვეხატება: ქართული წიგნის გავრცელების საქმე ისეთი ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ, რომ სამი-ოთხი წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდება წიგნის ტირაჟი ათიათასამდე (10.000) ავიდეს. რამდენიმე წლის წინეთ ამაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ეხლა ეს ოცნება ფრთას ისხამს და რეალურ შესაძლებლობად ხდება.

სახელგამის სავაჭრო ოპერაციების შესახებ მიმდინარე წლის განმავლობაში უფრო ნათლად შეიძლება მსჯელობა იქონიოს მკითხველმა დაწესებულების ბალანსის გამოქვეყნების შემდეგ, რაც მოსახერხებელი იქნება მოკლე ხანში, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 1925 წლის დასაწყისს სახელგამის ძირითადი თანხის ნაშთი 54.000 მანეთს უდრიდა, ადვილი წარმოსადგენია ის ფინანსიური დაბრკოლებანი, რომელიც ხვდებოდა სახელგამის სავაჭრო აპარატს თავის საქმიანობაში.

მიუხედავათ ამისა, ამ წლის განმავლობაში სახელგამის სავაჭრო განყოფილებამ ისე შეაბრუნა 800.000 მანეთი, რომ სახელგამი არც ერთხელ არ გასულა პროტესტში, არც ერთხელ არ დაგვიანებია თავის ვალდებულებათა დროზე შესრულება. ამჟამად სახელგამის ძირითადი კაპიტალი უდრის 200.000 მანეთს, ხოლო მისი ქონება 500.000 მანეთად ფასობს.

სახელგამს არ ქონდა არც ერთი საკუთარი სტამბა. მოთავსებული იყო ისეთ ნესტიან ბინაში, სადაც დღისითაც კი მუშაობა ელექტრონის სინათლეზე სწარმოებს, განიცდიდა საზოგადოდ მრავალნაირ სივიწროეს და ასეთ პირობებში სახელგამმა შესძლო ერთი წლის განმავლობაში გამოეცა 150 წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი უდრის 1.500.000 ცალს.

არაა სადავო, რომ ეს ციფრი უთუოდ სერეკორდო და ისტორიული ციფრია ქართული მწიგნობრობის განვითარების საქმეში.

პირადათ მე, როგორც სახელმწიფო გამომცემლობის უკანასკნელი წლის მუშაობისათვის პასუხისმგებელი პირი, დიდის კმაყოფილებით დავამთავრებ ამ მოკლე მიმოხილვას საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სპეციალურ კომისიის დადგენილების მოყვანით, რომელიც თავის დროზე გამოქვეყნებული იყო ჩვენს პრესაში:

„კომისია ადასტურებს—ამბობს დადგენილება,—რომ ის ცალკე დეფექტები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ სახელგამის მუშაობაში, საქმიანობის პროცესში თანდათან ქრებიან და ამჟამად **სახელგამის მთელი მუშაობა სრულიად ჯანსაღ ნიადაგზე სდგას**“.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალ წელს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის მდგომარეობა სავსებით განმტკიცდება და იგი მართლაც გადაიქცევა მუშათა კლასის ხელში ჩვენი ქვეყნის კულტურული წინსვლის მძლავრ იარაღად.

ნიკოლოზ მიწიშვილი.

სახელგამი იზრდება

ქართული წიგნი წელში სწორდება და მტკიცე ნაბიჯით მიაბიჯებს. სახელგამს ცხადად ეტყობა გამოცოცხლება. დღეს თავდება მისი საანგარიშო წელიწადი. და ვინც ამ ანგარიშს—სამოქმედო და სავაჭრო ბალანსს—თვალს გადაავლებს, ხალისითა და რწმენით აღივსება. შარშანდელი წელიწადი გაცილებით სჯობდა შარშანწინდელს, ხოლო წლევანდელმა—შორს დასტოვა შარშანდელიც. მხატვრული ლიტერატურიდან შარშან გამოსულა მხოლოდ 1 წიგნი (2000 ცალი), წლეულს კი—52 (162.000 ცალი).

ჩვენთვის, ლიტერატორებისთვის, საყურადღებოა არაჩვეულებრივი წარმატება მხატვრული ლიტერატურის. წიგნის ეს დარგი, ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ, უცბად გაიფურჩქნა ღამის ყვავილივით. აქამდე მწერალი სწერდა და გამომცემელს ეძებდა, ეხლა ლამის სახელგამმა დაუწყოს ძებნა ლიტერატორს. თუ ასეთი ტემპით იმუშავა სახელგამმა შემდეგშიც, ან მას მოუხდება მალე ნაბიჯის დაკლება, ან კიდევ ლიტერატორები უნდა აჩქარდნენ. კეთილი და პატიოსანი! ორივენი ერთმანეთს წაახალისებენ და ქართული კულტურის ამ დარგს ლელოზე გაიტანენ.

მაგრამ... სათქმელია ორი „მაგრამ“. პირველი: სახელგამმა არ უნდა დაუკლოს მწერლის წამხალისებელ სტიმულს. მეორე: მას მხოლოდ ხუთიოდე წიგნი გამოუცია სამეცნიერო შინაარსის. ამ ფეხზე იგი უეჭველად კოჭლობს. ამას თვითონ სახელგამიც ჰგრძნობს და, უეჭველია, მომავალში ამ ფეხსაც გაისწორებს.

აქამდე წიგნის გავრცელების საქმე დაავადებული იყო. ეხლა კი სახელგამის ხელმძღვანელებს ეს მნიშვნელოვანი დარგიც გამოუსწორებიათ. ამოდენა წიგნი საწყობებში აღარა ლპება. იგი ადვილად მიდის კულტურული მილებით და თავის დიად საქმეს აკეთებს მშრომელი ხალხის სულსა და გონებაში.

უეჭველად უნდა აღინიშნოს ერთი რამეც: სახელგამი მტკიცე ფინანსიურ საძირკველზე შესდგა. მან კარგად ისწავლა ანგარიშიანობა. წიგნი აღარ ლპება, იგი არც მუქთად დასარიგებელი ნივთია. ერთიც და მეორეც—დასალპობიც და საჩუქარიც—მხოლოდ ნაჭარბევ თანხებიდან შეიძლება გაიმეტოს. ჯერჯერობით კი მან უფრო მძლავრად უნდა მოიმაგროს მუხლი და ხერხემალი, მისი გეზიც აქით უნდა მიდიოდეს.

მიხ. ჯავახიშვილი.

სახელმწიფო გამომცემლობა

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა წარმოადგენს ჩვენი კულტურის მეტად მნიშვნელოვან ორგანოს. სადაც ხდება ჩვენი გონებრივი შემოქმედების კრისტალიზაცია. შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ გასული წლის განმავლობაში, როცა სახელმწიფო გამომცემლობას დაეტყო მუშაობის უჩვეულო გამოცოცხლება, იქ იკრიბებიან ყოველ დღე ძველი და ახალი მწერლები, არის კამათი, დავა ლიტერატურულ საკითხებზე და პრობლემებზე. ერთი სიტყვით არის შექმნილი გამომცემლობის გარშემო ლიტერატურული აზროვნების ატმოსფერა.

აქ, რა თქმა უნდა, მატერიალური დაინტერესებაცაა. მაგრამ მიუტევებელი შეცდომა იქნება იმის თქმა, რომ ის ცხოველი ყურადღება, რომელიც მიიპყრო სახელმწიფო გამომცემლობამ ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში მხოლოდ პირად ინტერესებს ემყარებოდა. მწერლობა ძალიან კარგად ხედავს, რომ თანამედროვე პირობებში. როცა სახელმწიფო აპარატი შეიქმნა უძლიერეს და თითქმის ერთად-ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციათ, სახელმწიფო გამომცემლობას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ამჟამად და უფრო დიდი შესაძლებლობა მომავალში. ამიტომ ბუნებრივია მწერალთა წრეების დაინტერესება იმ დაწესებულებით, რომლის ნაყოფიერ მუშაობისაგან ბევრი რამ არის დამოკიდებული ქართულ შემოქმედების დარგში.

გასულ წელს სახელმწიფო გამომცემლობამ დააღწია თავი წინა წლების მერყევ მდგომარეობას და, როგორც ეტყობა, მოამაგრა ნიადაგი იმდენათ, რომ უზრუნველყოფილია მისი მომავალი წარმატება. ყველასათვის ნათელია ფაქტი სახელგამის მუშაობის გაცხოველებისა. გარდა იმ აუარებელ სახელმძღვანელოებისა, რომელიც დაიბეჭდა გასული წლის განმავლობაში, მხატვრული ლიტერატურული გამოცემის საქმესაც ისეთი მასშტაბი მიეცა. რომელიც უთუოდ მეტად საიმედო პერსპექტივას იძლევა და შეიძლება არც ისე შორს იყოს ის დღე, როცა სახელგამის მუშაობა მწერლების შემოქმედებას გაუსწორდება ყველა ხაზზე.

უპირველეს ყოვლისა სახელგამის წი-

დებულება ბინის ქირის შესახებ

(დამტკიცებულია საქ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1926 წ. 28 სექტემბერს)

მოგვყავს სრული ტექსტი დებულებისა, რომლის მოკლე შინარსი გუშინ გვქონდა მოყვანილი:

§ 1. ყველა ის პირი, რომელსაც უჭირავს საცხოვრებელი სადგომი, როგორც ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაცია ქმნილ ფლობელობაში დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის განკარგულებაშია გადაცემული უკანასკნელი), ისე კერძო ფლობელობის სახლებში, მოვალეა გადაუხადოს სახლის მმართველობას (სახლის მფლობელს, საბინაო ამხანაგობის გამგეობას, სახლისმართველ და სხ.) ბინის ქირა თანახმად ამა დებულებისა.

შენიშვნა: ეს დებულება ვრცელდება სასტუმროებზე, ახალ შენობებზე და აგრეთვე იმ სახლებზე, რომლებიც იქნება აღდგენილი ან დამთავრებული ხელშეკრულებით, აღნაგობის უფლებით.

§ 2. ბინის ქირა გამოიანგარიშება, მხოლოდ საცხოვრებელ ვარგისი ფართობის მიხედვით (სამზარეულო, წინა მისაღები ოთახი. დერეფანი, საბანაო ოთახი და სხვ. ანგარიშში არ მიიღება).

§ 3. ბინის ქირის განაკვეთი განსაკუთრებით წესდება თვითეულ კვადრატულ მეტრზე თვეში.

§ 4. მუშა-მოსამსახურეებთათვის სატარიფო განაკვეთის მიხედვით იხდიან თვითეულ კვადრატულ მეტრზე:

რომლებიც ღებულობენ

20 მანეთამდე ჩათვლით 5 კაპ.

20-დან	30	„ 8 კაპ.
30 „	40	„ 11 „
40 „	50	„ 14 „
50 „	60	„ 17 „
60 „	70	„ 20 „
70 „	80	„ 22 „
80 „	90	„ 26 „
90 „	100	„ 28 „
100 „	110	„ 32 „
110 „	125	„ 35 „
125 „	150	„ 38 „

შენიშვნა 1: იმ პირთათვის, რომლებიც იღებენ თვეში 150 მანეთზე მეტს, საბინაო ქირის განაკვეთი წესდება შემდეგი რაოდენობით. ყოველ 25 მანეთზე 275 მანეთამდის ემატება 4 კაპ. ზევით—5 კაპ.

შენიშვნა 2: ბინის ქირის გამოთვლისას არ მიიღება ანგარიშში მუშა-მოსამსახურეთა ზედმეტი და ნარდი სამუშაოს გასამრჯელო და არც იმ პირთა სპეციური დატვირთვა, რომლებიც შრომის ხელს ღებულობენ პასუხისმგებელ მუშაკთა ტარიფის მიხედვით.

შენიშვნა 3: ის პირნი, რომლებიც ღებულობენ პერსონალურ ან სპეციალურ განაკვეთს, ან მუშაობენ შეთავსებით რამდენიმე დაწესებულებაში, ან გარეშე ხელფასისა სამსახურიდან აქვთ შემოსავალი თავისუფალი პროფესიიდან (§ 13 შენიშვნა), ისევე ის პირნი, რომლებიც დამატებით [illegible] მტკიცე განაკვეთისა ღებულობენ [illegible] ზღვრულ მუდმივ დატვირთვას, ტანტიემა, კომისიო და პროცენტულ ანარიცხს, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურენი, ბინის ქირას იხდიან მთელი თვიური ხელფასის რაოდენობის მიხედვით. მხოლოდ მათ გასათანაბრებლად ბინის ქირის გადახდის მხრივ იმებთან, რომლებიც აღნიშნულია § 4 პირველ შენიშვნაში, საერთო თვიური შემოსავლიდან ხოიბა ჩამოკლება შემდეგი რაოდენობით: რომლებიც ღებულობენ 100 მანეთამდე სარგებლობენ ჩამოკლებით 15 პროც. რაოდენობით, 100—125-მდე—20 პროც. რაოდენობით, 125—150 მანეთამდე—25 პროც. 150 მანეთს ზევით 30 პროც. რაოდენობის.

შენიშვნა 4: ამ მუხლში მოთვლილი პირები მოვალენი არიან თავის დროზე წარუდგინონ სახლის მმართველობას [illegible] ცნობები მათი სამუშაო ხელფასის რაოდენობის შესახებ.

§ 5. უმუშევარნი, რომლებიც პროფკავშირის წევრებად ირიცხებიან ან სოციალური დაზღვევის უფლება, იხდიან [illegible] კაპ. კვადრ. მეტრზე.

§ 6. მარტოხელი მუშა, დღიური, ბინაზე მომუშავე პირები, სამი ინსტრუმენტებზე დამკვრელები, კერძოდ მასწავლებლები და სხ. პროფკავშირის ან შეწევნის და ხელოსნების საზოგად. წევრები, რომლებსაც არა აქვთ მუდმივი სამუშაო, ქირას იხდიან სათანადო კვალიფიკაციის მუშების კავშირთა ან შინამრეწველობის და ხელოსნ. საზოგადოების წევრების თანაბრად უკანასკნელთა ცნობების მიხედვით.

§ 7. მარტოხელი მუშა, დღიური, ბინაზე მომუშავე პირები, სამი ინსტრუმენტებზე, დამკვრელები, კერძო მასწავლებლები და სხ. პროფკავშირის ან რეწველთა და ხელოსნების საზოგადოება წევრები, ქირას იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ და არა უმეტეს 54 კაპეიკისა.

§ 8. სახარეწაო და შრომის არტელების წევრები, რომლებიც ღებულობენ მხოლოდ განსაზღვრულ სამუშაო ხელფასს ქირას იხდიან, როგორც პირნი, რომლებიც მისდევენ დაქირავებულ შრომას, მთელფასის რაოდენობის მიხედვით.

§ 9. შინამრეწველები და ხელოსნები, შინამრეწველთა და ხელოსანთა საზოგადოების წევრები, ან წევრობის უფლების მქონენი:

ა) რომლებიც არ სარგებლობენ დაქირავებულ შრომით, ან ჰყავთ მხოლოდ ერთი მუშა, ქირას იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ [illegible] არა უმეტეს 54 კაპეიკისა კვადრატულ მეტრზე.

ბ) რომლებიც სარგებლობენ დაქირავებული შრომით უმეტეს ერთი მუშისა, ქირას იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 23 და არა უმეტეს 86 კაპეიკისა კვადრატულ მეტრზე.

გ) სახარეწაო და შრომის არტელების წევრები, რომლებსაც არა აქვს მტკიცედ განსაზღვრული სამუშაო ხელფასი, ქირას იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 20 და არა უმეტეს 54 კაპეიკისა კვადრატულ მეტრზე.

§ 10. შინამრეწველები და ხელოსნები, რომლებსაც შინამრეწველთა და ხელოსანთა საზოგადოების წევრების უფლება არა აქვთ და რომლებიც სარგებლობენ დაქირავებული შრომით, უმეტეს ერთი მუშისა, ქირას იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 86 კაპ. და არა უმეტეს ორი მანეთისა.

§ 11. ა) პირნი, რომლებიც სოციალურ უზრუნველყოფაზე ირიცხებიან და არსებობის სხვა წყარო არ მოეპოვებათ;

ბ) წითელ არმიელის ოჯახი, რომელიც მის სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მის კმაყოფაზე ირიცხებოდა და, რომელსაც ამჟამად არა აქვს საკუთარი შემოსავლის წყარო;

გ) მოსწავლენი, რომლებსაც სახელმწიფო სტიპენდია ეძლევა, აგრეთვე რომლებსაც სტიპენდია არ ეძლევა მაგრამ სწავლის ფულისაგან განთავისუფლებული არიან, ქირას იხდიან 5 კაპ. კვ. მეტრზე.

შენიშვნა: პენსიონერები, რომლებიც თვიური პენსია 20 მანეთს აღემატება, ქირას იხდიან ამ დებულების § 4 თანახმად.

§ 12. მოსწავლენი, რომლებიც მშობლების ან ვინმეს კმაყოფაზე საზრდოობენ, მაგრამ ცალკე სცხოვრობენ და არც სწავლის ფულიდან არიან განთავისუფლებული კვადრატულ მეტრზე იხდიან 20 კ.

შენიშვნა: 1: მოსწავლენი, რომელნიც მსახურობენ სადმე დაქირავებით, ბინის ქირას იხდიან ამ დებულების § 4 თანახმად.

შენიშვნა 2: მოსწავლის გასამრჯელო დღიური სამუშაოდან ან გაკვეთილებიდან (რეპეტიტორობა და სხ.) ბინის ქირის რაოდენობის განსაზღვრისას ანგარიშში არ მიიღება.

§ 13. თავისუფალი პროფესიის პირები (როგორიცაა: ექიმები, ინჟენრები, დამცველთა კოლეგიის წევრები და სხ.), რამდენათაც ისინი არ ექვემდებარებიან ამ დებულების § 4 და 13-ის, ქირას იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 29 კაპეიკისა, და არა უმეტეს ორი მანეთისა, თითოეულ კვ. მეტრზე.

შენიშვნა 1: თავისუფალი პროფესიის პირი შეიძლება მიეკუთვნოს გადამხდელთა კატეგორიას § 4-ით მხოლოდ იმ შემთხვევაში უკეთუ მისი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მარტოოდენ დაქირავებული შრომა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც თავისუფალი პროფესიის პირს გარდა სახელმწიფო სამსახურისა აქვს გარეშე საშოვარი, მაგრამ სამსახურის ხელფასი და გარეშე საშოვარის შეერთების საშემოსავლო გადასახადს იხდის არა უმაღლეს მეცხრე ხარისხისა.

შენიშვნა 2: ლიტერატორები, მხატვარნი და მეცნიერნი ბინის ქირას იხდიან ამ დებულების § 4 თანახმად, ხოლო არა ნაკლებ 26 კაპ.

§ 14. ის პირნი, რომლებიც უშრომო შემოსავლით სცხოვრობენ, იხდიან: პირველი ხარისხის პატენტის ამომრჩევი—30 კაპ., ხოლო დანარჩენები სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ ორი მანეთისა.

შენიშვნა 1: უშრომო შემოსავლად ითვლება: შემოსავალი სავაჭრო-სამრეწველო და წამოწყებებში მონაწილეობიდან; ვაჭრობის მონარდობის მიღებიდან; სამაკლერო, საბირჟო, საკომისიო ოპერაციებიდან; ქონების კომერციული მიზნით (ე. ი. მოგების მიღების მიზნით) საიჯარო სარგებლობაში გაცემიდან; ფასიან ქაღალდების დივიდენდის მიღებიდან (სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების 13 მუხლი).

შენიშვნა 2: ამ პარაგრაფში ჩამოთვლილნი პირნი მოვალენი არიან წარუდგინონ სახლის მმართველობას დედანი პატენტი, ასლით. ამასთან დედანი უბრუნდება გადამხდელს, ხოლო ასლი რჩება სახლის მმართველობის საქმეში.

§ 15. 1) ნახევრად სარდაფის სადგომის, რომლის იატაკი ნიადაგზე დაბლაა მეტით, ვიდრე 3/4 არშ., 2) ოთახის, რომელიც მოკლებულია გარე განათებას, 3) ჩარდახის სადგომის ქირას § 4-13 ჩამოთვლილი პირნი იხდიან დაწესებულ ტარიფზე 50% ნაკლებს. იმ ნახევრად სარდაფის სადგომის ქირას, რომლის იატაკი ნიადაგზე დაბლაა ნაკლებ, ვიდრე 3/4 არშ. ზემოხსენებული პირები იხდიან ნორმალურ ტარიფზე 25%-ით ნაკლებს.

იმ გასასვლელ ოთახებზე, რომლებზე მსვლელობა აქვს დამქირავებლისათვის გარეშე მცხოვრებლებს, ზემომოყვანილი კატეგორიის პირნი იხდიან ძირითად ქირას 50%-ს.

§ 16. ბინის ქირის რაოდენობა 4-13 პარაგრაფებში ჩამოთვლილი პირთათვის იმ სახლმფლობელობებში, რომლებიც ქ. თბილისის განაპირას მდებარეობენ მცირდება 1/3-ით.

შენიშვნა: ქ. თბილისის ცენტრად და განაპირად დაყოფა იხილეთ ამ დებულების დანართში.

§ 17. ბინის ქირის რაოდენობა 4-13 პარაგრაფებში ჩამოთვლილი პირთათვის იმ სახლებში, სადაც არ არის წყალსადენი და კანალიზაცია, მცირდება 20%-ით, ხოლო სახლმფლობელობაში წყალსადენით, მაგრამ უკანალიზაციოთ 10 პროცენტით.

§ 18. დამქირავებელი იხდის ქირას ზემომოყვანილი ტარიფის მიხედვით საცხოვრებელ ფართობზე, რომელიც უჭირავს მას ან მის კმაყოფაზე რიცხულ პირებს თითეულ სულზე 20 კვ. არშ. (10, 12 კვ. მეტრის) ფარგლებში. ზედმეტი ფართობისათვის თითეულ სულზე დაწესებულია 20 კვ. არშინის (10, 12 კვ. მეტრისა) ზევით, დამქირავებელი იხდის 25%-ით მეტს სახლთმმართველობის სასარგებლოდ.

შენიშვნა: ზედმეტი ფართობი, რომელიც უჭირავს მოსამსახურეთა ზოგიერთ კატეგორიებს, თანახმად ს. ს. ც. ა. -კ.-სა და ს. ს. რ. სახკომსაბჭოს 1923 წ. 26 სექტემბერს დეკრეტის მეცხრე მუხლის შენიშვნისა, 30 კვ. არშინის (15,17 კვ. მეტრი) ფარგლებში ქირას იხდის ძირითადი ფართობის ნორმის მიხედვით.

§ 19. ბინის ქირის რაოდენობა ოთახებზე ან ოთახების ჯგუფებზე, რომელიც უჭირავს ერთ ოჯახს, წესდება ოჯახის იმ წევრის მიხედვით, რომელიც იბეგრება ბინის ქირის უმაღლესი განაკვეთით.

შენიშვნა 1: ოჯახი, რომლის რამდენიმე წევრი მუშაობს, მოვალეა წარუდგინოს სახლის მმართველობას ცნობა თვითეული მომუშავის ხელფასის შესახებ.

შენიშვნა 2: ხელზე მოსამსახურის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდის ხსენებული მოსამსახურის დამქირავებელი საკუთარი განაკვეთის მიხედვით.

§ 20. უკეთუ ერთ ოთახში სცხოვრობს რამდენიმე პირი (საცხოვრებელი ფართობის დაკავების უფლებით) არა ერთი ოჯახისა, თვითეულს მათგანს მიეკუთვნება დასახელებული ოთახის თანაბარი ნაწილი და უნდა გადაიხადოს ამ ნაწილის ქირა თავისი განაკვეთის მიხედვით.

§ 21. ამ დებულებით დაწესებულ ბინის ქირის ნორმაში არ შედის კომუნალური სამსახურის საფასური (წყალი, განათება, კანალიზაცია), რომელიც ხდება დამქირავებელს ამისათვის მიღებულ ცალკე წესით.

§ 22 სადგომის ქირა 4-13 პარაგრაფებში ჩამოთვლილ პირთ შეაქვთ არა უგვიანეს გადახდის თვის მომდევნო (თვის) 15-ისა, ხოლო დანარჩენებს არა უგვიანეს მიმდინარე გადახდის თვის 15-ისა.

§ 23. ბინის ქირის გადაუხდელობას 4-13 პარაგრაფებში ჩამოთვლილი პირთა მხრივ ორი თვის განმავლობაში და დანარჩენ მოქალაქეთა მხრივ ერთი თვის განმავლობაში,—თან დევს მათ მიერ დაკავებულ სადგომებიდან გამოსახლება სასამართლოს წესით.

შენიშვნა: ბინის ქირის ვადაზე გადაუხდელობა (§ 23) მუშა-მოსამსახურეთა მხრივ, სამუშაო ხელფასის, დახმარების და სხვა დროზე მიუღებლობის მიზეზით, რამდენათაც ეს გარემოება სათანადოთ იქნება დადასტურებული, არ იწვევს ბინებიდან გამოსახლებას.

§ 24. საცხოვრებელ სადგომის დაქირავების შესახებ ამ დებულების ძალაში შესვლამდე დადებული წერილობითი ხელშეკრულება შეიძლება გადასინჯულ იქნას, მხარეთა მოთხოვნით, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ბინის ქირის რაოდენობას, მის შესათანხმებლად იმ ცვლილებებთან, რომლებიც ამ დებულებიდან გამომდინარეობენ.

§ 25. უკეთუ დამქირავებელსა და სახლის მმართველობას შორის არ იქნება მიღწეული შეთანხმება ისეთ შემთხვევებში, როდესაც თანახმად ამა დებულებისა, ბინის ქირის რაოდენობა უნდა იქნეს განსაზღვრული შეთანხმებით, აგრეთვე იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ დებულების, ბინის ქირის რაოდენობას აწესებს სახალხო სასამართლო ამ დებულებისა და დამქირავებლის შინაური მდგომარეობის მიხედვით.

§ 26. ესე დებულება ძალაში შედის 1926 წელს 1-ლ ოქტომბრიდან.

დებულება საიჯარო ქირის შესახებ იმ სადგომებზე, რომლებიც დაკავებულია დაწესებულებების მიერ

დაწესდეს საიჯარო ქირა სადგომებზე, რომლებიც დაკავებულია დაწესებულებების მიერ კანცელარიისა და სხვა გვარი საჭიროებისათვის, გარეშე სავაჭრო-სამრეწველო ხასიათისა, შემდეგი რაოდენობით:

§ 1. დაწესებულებები, რომლებიც ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტზე ირიცხებიან, თვითეულ კვადრატულ მეტრზე იხდიან თვეში 50 კაპ.

§ 2. სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე წარმოებენ აგრეთვე კერძო დაწესებულებები და საზოგადოებანი, რომლებიც კომერციულ მიზნებს არ ისახავენ ქირას იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 50 კაპ. და არა უმეტეს 1 მანეთისა თვითეულ კვ. მეტრზე.

შენიშვნა: სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე, მაგრამ მისდევენ არა მოგებას, არამედ სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებას, ქირას იხდიან იმ დაწესებულებებთან თანაბრად, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე ირიცხებიან.

§ 3. პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები ქირას იხდიან იმ სახელმწიფო დაწესებულებებთან თანაბრათ, რომლებიც სახელმწიფო მომარაგებაზე ირიცხებიან, ხოლო კოოპერატიული ორგანიზაციები იმ სახელმწიფო დაწესებულებებთან თანაბრად, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე წარმოებენ.

§ 4. სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის დაწესებულებები დაკავებულ სადგომის ქირას იხდიან თითოეულ კვადრატულ მეტრზე 35 კაპ. ანგარიშით.

§ 5. ქირა ზემოაღნიშნულ განაკვეთით წესდება მხოლოდ იმ ფართობზე, რომელიც დაკავებულია ს. ს. ც. ა. კ. და სახ. კომ. საბჭოს 1923 წლის 26—9 დეკრეტის მეცხრე მუხლით განსაზღვრულ ნორმის ფარგლებში. დაწესებულების მიერ ნორმის გარეშე ზედმეტად დაკავებული ფართობი, ქირას იხდის ორკეცად.

§ 6. ეს დებულება გულისხმობს ქირის გადახდას იმ სადგომებზე, რომლებშიაც მოთავსებულია დაწესებულებები და არა წამოწყებები, ამასთან იმ შემთხვევაში, როდესაც დასახელებულ დაწესებულებებს, სადგომი დაკავებული აქვს არა სავაჭრო-სამრეწველო მიზნით; ამიტომ დებულება არ ვრცელდება იმ სადგომებზე, რომლებიც დაკავებული აქვთ ტრესტ-სინდიკატს და სხვა სამრეწველო წამოწყებებს, რომლებიც მოქმედებენ კომერციულ საფუძველზე, მოგების მიღების მიზნით. დასახელებული წამოწყებები ქირას იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით.

§ 7. ესე დებულება ძალაში შედის 1926 წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

ნაშე დგას დიდი ამოცანის ბაზრის შექმნისა. ამ მხრივ [illegible] წლის მანძილზე გაკეთდა ბევრი, მაგრამ სხვადასხვა პუნქტებში [illegible]იებისა და კიოსკების გახსნასთან [illegible] საჭიროა ფართო მკითხველთა მასში დაინტერესება წიგნით. საჭიროა [illegible]ის ახალგაზრდობას აღეძრას წიგნის [illegible]. ამ საქმისათვის სასარგებლო იქნება სოფლებში და დაბებში ბიბლიოთეკო ჯგუფების მოწყობა, როგორც შეიტანენ წიგნს ყოველ მიყრუებულ კუთხეში. წიგნმა ცინცხლივით უნდა შეანთოს ჩვენს ქვეყნის ყველა კუთხე, მაგრამ ამისათვის საჭიროა ვინმეს ხელში ეს ცინცხლი. ამ საქმის [illegible] უნდა დაეკისროს სოფლის მასწავლებლობას. კოოპერატივის მუშაკებს განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობას. სასურველია აგრეთვე ყოველ სოფლის სკოლაში მოეწყოს ისეთი ბიბლიოთეკა, რომელსაც საშუალება ექნება იწეროს სახელგამის ყველა გამოცემა ამ ბიბლიოთეკისათვის შეიქნება განსაკუთრებული ფონდი, მაშინ ადვილებელი იქნება სავალდებულოდ ეს მათთვის წიგნების შეძენა. ეს თავის თავად იქნება დიდი მნიშვნელობის ფაქტორი.

წიგნის გავრცელების [illegible]სთან დაკავშირებულია წიგნის ფასის საკითხიც. იაფი წიგნი—სხვა [illegible]ებასთან ერთად—უფრო ვრცელდება მეორე მხრით, უფრო გავრცელებული წიგნი, უფრო იაფია. ორივე მხრის საჭირო მუშაობა, რომ ქართული წიგნის აუდიტორია გაფართოვდეს. ახლო მომავალში წიგნის გაიაფების საქმეს ალბათ დიდ სამსახურს გაუწევს ქართული შრიფტის რეფორმა, რომელიც იძლევა სტამბისა და ქაღალდის ხარჯების ეკონომიას ერთ მესამედით. საქართველოში ქაღალდის ქარხნის გახსნა ხელს შეუწყობს აგრეთვე წიგნის გაიაფებას.

ყველა ეს იმედები, რომელთა განხორციელება უეჭველია, საკმაო საფუძველს იძლევა, რომ ველოდეთ სახელმწიფო გამომცემლობის სასურველ განვითარებას. ქართული მწერლობის დღესასწაული იქნება ის დღე, როცა სახელგამი შესძლებს აიყვანოს ქართული წიგნის ტირაჟი ათი ათასამდე. ეს შექმნის ქართველი მწერლობისათვის სრულიად ახალ პირობებს, როცა მწერალი იგრძნობს ათი ათას მკითხველთან რეალურ კავშირს; როცა ის დაინახავს. რომ ყოველი მისი წიგნი უცბად გადადის ხალხში, მასში შეუძლებელია არ გაიღვიძოს ღრმა ფესვების გრძნობამ და არ იფეთქოს მასსებთან ურთიერთობის პათოსმა. ეს კი ხელს შეუწყობს შემოქმედებითი განდგომისა და კარჩაკეტილობის პსიქოლოგიის საბოლოოდ დაძლევას.

დიდი საქმე აქვს გასაკეთებელი საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას და ამ მუშაობაში მასთან იქნება მთელი ქართული მწერლობა და ყოველი შეგნებული ქართველი თავისი ცოდნით გამოცდილებით და შემოქმედებით.

ს. აბაშელი.

დიდი კულტურული საქმე

(სახელგამის მუშაობის გამო)

ჯერ კიდევ 1920 წლის დაწყისში მწერალთა კავშირმა აღძრა საკითხი სახელმწიფო გამომცემლობის არსებობის შესახებ. ამისათვის არჩეული განსაკუთრებული კომისია, რომელიც თავის დროზე დაიმუშავა წესდება ორგანიზაციის პროექტი შეადგ[illegible]. მაგრამ ამ საქმის რეალიზაცია [illegible] ლოდ 1921 წლის შემდეგ [illegible] დესაც საქართველოში [illegible] საბჭოთა წესწყობილება. ქართული მწერლობა მიმართულების განურჩევლად [illegible] დის აღტაცებით შეხვდა [illegible] გამომცემლობის დაარსების [illegible] ეს მწერალთა კავშირის [illegible] არა ერთხელ იქნა აღნიშნული.

პირველ ყოვლისა სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობას ის უშლიდა ხელს, რომ მას არ ქონდა იმ თავიდანვე მატერიალური ბაზა. მიზეზი იყო აგრეთვე მომუშავეთა გამოუცდელობა, რის გამოც ვერ იქნა რაციონალურად გამოყენებული ის მცირე რესურსებიც კი, რომელიც იმ დროს სახელგამს ქონდა. გარდა ამისა არ იყო სისტემა თვით საგამომცემლო გეგმაში. ამას ემატებოდა მკითხველთა მასის სრული ანარქია. ამ დროს გამოცემის საქმე მიუხედავათ ცენტრალური გამომცემლობის შექმნისა ერთად არ იყო თავმოყრილი და თითქმის ყოველი უწყება თავის ორგანოს სცემდა.

დღეს ასეთი არა ნორმალური მდგომარეობა უკვე აღარ არსებობს, თანდათან ხდება გამომცემლობის ცენტრალიზაცია და ბოლო ეღება უწყებათა ცალკე გამოცემების ვაკხანალიას. საგამომცემლო საქმეში გეგმიანობის შეტანამ გამოიწვია ერთგვარი შინაგანი ეკონომია, რომელიც მალე დაეტყო სახელგამს. მკითხველი საზოგადოებაც თანდათან გამოერკვა და თავის ელფერს იღებს. რაც ხელს უწყობს მკითხველთა წრეების მტკიცე კადრების შექმნას.

ყველაფერი ეს გულისხმობს საქმის გამოსწორებას და დღეს ჩვენ მოწმე ვართ, რომ სახელგამი თითქმის აუდის მკითხველი მასის მოთხოვნილებას, ხოლო გამოცემათა ტირაჟი თანდათან იზრდება. დღეს ყველა ხედავს თუ როგორ შეიცვალა მდგომარეობა: თითქმის ყოველ დღე ახალი წიგნი გამოდის მაღალის ტირაჟით და საგრძნობლად გაუმჯობესებული გარეგნული მხრით.

უეჭველია, კიდევ ბევრია გასაკეთებელი გამომცემლობის საქმეში, ამას ერთი თაობის მუშაობაც ვერ აუვა. მაგრამ, თუ ასეთის ინტენსივობით წავიდა გამომცემლობის გაჯანსაღება, ჩვენ მალე დიდ შედეგებს მივიღებთ და ქართული კულტურის საქმე უფრო მტკიცე საფუძველზე დადგება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს, როცა თავდება სახელგამის საოპერაციო წელი და ერთგვარი ჯამი უკეთდება მუშაობას,—**საქართველოში არ დარჩება არც ერთი კაცი, რომ არ აღიაროს მართლაც დიდი კულტურული საქმის გაკეთება, რომ არ სთქვას, რომ ქართულ წიგნს მართლა ქვითკირის საფუძველი დასდებია.** და თუ ასეთი ტემპით წავიდა სახლგამის მომავალი მუშაობა და სახელმწიფომ მას მზრუნველობა არ მოაკლო ერთის მხრივ. ხოლო მეორეს მხრივ საქმეში ჩაბმული და გამოყენებული იქნა ქართული კულტურისა და მწერლობის ძალები,—თუ თანდათან ქართულმა წიგნმა გზა გაიკვლია მშრომელი ხალხის ფართო მასებისაკენ,—მაშინ მართლაც დაიწყება ქართული წიგნის ისტორიაში ახალი ეპოქა. **ამ ეპოქის დასაწყისს ჩვენ უკვე ვხედავთ და განვიცდით.**

და თუ ყოველივე ამას კიდევ საზოგადოებრივი მზრუნველობაც დაემატება, მზრუნველობა წიგნით და მწერლობით დაინტერესებულ მასებისა—სრული გამარჯვება ამ ფრონტზე უზრუნველყოფილია.

უპარტიო მასამაც, რომელიც არ არის უშუალოდ ჩაბმული სახელმწიფო სააღმშენებლო მუშაობაში, თავის საკუთარ საქმედ უნდა მიიჩნიოს ქართული წიგნის საქმეც. რომ ამით წელი გაუმაგროს ქართულ კულტურას და მონაწილეობა მიიღოს მის აღორძინებასა და წინსვლაში.

ტიციან ტაბიძე.

საფრანგეთის რკინისგზელთა დელეგაცია თბილისში

ზაჰესში

გუშინ, დილის 10 საათზე საფრანგეთის რკინისგზის და ადგილობრივ ტრანსპორტის მუშათა დელეგაცია გაემგზავრა ზაჰესში. დელეგატებმა დაათვალიერეს მუშაობის ადგილი, სადგურის შენობა, არხი, არხის სათავე და სხ. სადგურის ტეხნიკურ საკითხებზე დელეგატებს პასუხს აძლევდა ინჟ. **ხერხეულიძე.** მან განუცხადა დელეგატებს, რომ სადგური ნოემბერში ამუშავდება, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს წარმოებას მოახდინოს რკ. გზის ელექტროფიკაცია. დელეგატები ესაუბრენ ზაჰესში მომუშავე მუშებს მათი ცხოვრების და მუშაობის პირობების შესახებ.

დელეგატები კმაყოფილი დარჩენ მუშების პასუხით.

ამხ. შალვა ელიავასთან

დღის 1-ლ საათზე დელეგაცია ესტუმრა საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **შალვა ელიავას.** ამხ. ელიავამ გააცნო დელეგატებს საქართველოს წარსული, როგორც მეფის რეჟიმის, ისე მენშევიკურ ბატონობის დროს. ამხ. ელიავამ ფართოდ გააცნო დელეგატებს ის „დამოუკიდებლობა“, რომელიც მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მენშევიკების ბატონობის დროს.

მან ფართოდ გააცნო დელეგატებს ამ „დამოუკიდებლობის“ ისტორია და ის გარემოება, თუ როგორ უცქეროდენ ქართველი მენშევიკები ეროვნულ საკითხს.

შემდეგ ამხ. ელიავამ გააცნო დელეგატებს საქართველოს მეურნეობის მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ და ფართოდ დაუხასიათა სტუმრებს ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს საქართველოსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

დელეგატებმა მრავალი შეკითხვები მისცეს ამხ. ელიავას საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურის, საბჭოების ფუნქციების და სხვ. შესახებ. აქ მათ 3 საათი დაჰყვეს, რის შემდეგ საქ. ცაკის პრეზიდიუმის წევრთა თანხლებით გაემგზავრენ გლეხთა ცენტრალურ სახლში.

გლეხთა სახლში

დელეგატებმა დაათვალიერეს გლეხთა ცენტრალური სახლი და აღტაცებაში მოვიდენ იმის გამო, რომ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება მუდმივ ზრუნავს გლეხობაზე, როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

გლეხთა სახლში დელეგატები ესაუბრენ ჩამოსულ გლეხებს **თამაზაშვილს და გოგავას.** პირველმა გადასცა დელეგატებს ის გარემოება, რომ წელს მოსავალი გაფუჭდა, და ამის გამო ჩამოსულა სათხოვნელად მთავრობასთან დახმარებისათვის. საქართველოს ცაკს აღუთქვამს მათთვის 27 ვაგონი ფქვილის მიწოდება.

დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. **დეგრანჟმა** უპასუხა გლეხებს, რომ **საბჭოთა ხელისუფლება ერთად-ერთი დამცველია მუშურ-გლეხურ ინტერესებისა.**

ჭლექის დისპანსერში

გლეხთა სახლის დათვალიერების შემდეგ დელეგაციამ ინახულა ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. რკ.-გზ. ტუბერკულიოზის დისპანსერი.

აქ მათ დიდხანს ესაუბრა ექიმი **დავთიანი,** რომელმაც გააცნო დელეგატებს დისპანსერის ყოველდღიური მუშაობის და მისი ორგანიზაციის საქმე.

დელეგატები აღტაცებული მოდიოდენ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებით და მისი საქმიანობით.

ისინი ესაუბრენ დისპანსერის თანამშრომლებს და გაუზიარეს მათ თავისი მოსაზრებები საბჭოთა საქართველოზე. მათვე მიაწოდეს თანამშრომლებს ცნობები დისპანსერების მდგომარეობის შესახებ საფრანგეთში.

საღამოს 8 საათზე დელეგაციის ნაწილმა ინახულა მე-2 გამსახლში მყოფი ანტი-საბჭოთა პარტიების დაპატიმრებული წევრები, რომელთანაც ჰქონდათ საუბარი.

ღამის 12 საათზე დელეგაცია გაემგზავრა ლიბანის სანატორიუმის დასათვალიერებლად.

ტფ. აღმასკომის ბიუჯეტი

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე განხილულ იქნა საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი თბილისის და მისი მაზრის ბიუჯეტი 1926—27 წლისათვის.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ პრეზიდიუმმა დაამტკიცა თბილისის აღმასრულებელი, კომიტეტის ბიუჯეტი 17273867 მანეთის რაოდენობით.

ვინაიდან ბიუჯეტი დეფიციტიანია და საჭიროა დოტაცია საერთო საკავშირო თანხებიდან, აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ბიუჯეტი დასამტკიცებლად წარუდგინოს უმაღლეს საკავშირო ორგანოებს.

დაფნის ფოთოლი

დაფნის კულტურას საქართველოში მისდევენ, უმთავრესად, სამეგრელოში. ამ კულტურას იქ დიდი ხნის ისტორია აქვს, იგი შეადგენდა სამეგრელოს გლეხობის ცხოვრების ერთ უმთავრეს წყაროს.

ომამდე სამეგრელოდან რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გაჰქონდათ 150.000 ფუთი დაფნის ფოთოლი. მისი ნორმალური ფასი უდრიდა 8 მანეთს ფუთზე.

საერთაშორისო და სამოქალაქო ომების შემდეგ ეკონომიური ცხოვრების დაკნინებამ გამოიწვია ამ ძვირფასი კულტურის ნაწარმოების ფასების დაცემა.

ამჟამად რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში (მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში და სხვაგან) დაფნის ფასი არის 6—7 მანეთი ფუთზე. მაგრამ ამავე დაფნის ფოთლის რკინისგზით გადასაზიდი ტარიფი ძლიერ გადიდებულია და უდრის 4 მანეთს ფუთზე.

სამეგრელოს გლეხობამ შუამდგომლობა აღძრა ამიერ - კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოს წინაშე, რათა სამეგრელოში დამზადებულ დაფნის ფოთოლისათვის გამონახული იქნეს სათანადო ბაზარი.

ამავე დროს სათანადო ორგანოების წინაშე აღძრულია შუამდგომლობა რკინისგზის ტარიფის შემცირების შესახებ.

პროვინციის ბაზარზე

თელავი

ბაზრის საერთო მდგომარეობა მოდუნებულია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოტანა შემცირდა, რამაც გამოიწვია ფასების გადიდება მათზე, გარდა სიმინდისა, რომლის ფასი შემცირდა 15 პროცენტით.

ბაზარზე ცოტა შემოდის აგრეთვე კარაქი, ყველი და მატყლი, რომელიც მეტად ძვირად ფასობს. ხორცის ფასები მტკიცეა.

ფართლეულობის ბაზარზე შემჩნეულია ბაზრის სუსტად დატვირთვა საქონლით; განსაკუთრებით საგრძნობია ეს ადგილობრივ კოოპერატივში. მეტად გაძვირდა სახურავის რკინეულობა, რომლის ფასი ავიდა 9 მანეთამდე ფუთი.

სიმინდის აკრეფა თითქმის ყველგან დამთავრდა; ირკვევა, რომ სიმინდის მოსავალი საშუალოზე უკეთესია. ყურძნის მოსავალი იმ ადგილებში, რომლებიც არ დაზარალებულა სეტყვისაგან, დამაკმაყოფილებელი იქნება.

სიღნაღი

ბაზრის მდგომარეობა მერყევია. შემცირდა ფართლეულობის შემოტანა, მოთხოვნილება კი, განსაკუთრებით სასეზონო ქსოვილებზე, თანდათან იზრდება. კოოპერაციას საქონელი მეტად მცირე რაოდენობით მოეპოვება, რის გამო ფართლეულობის ფასები თავისუფალ ბაზარზე თანდათან იზრდება.

ბაზარზე ბევრია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მიწოდება აღემატება მოთხოვნილებას. ხორცის ფასები კლებულობს.

უკანასკნელ ხანებში მაზრაში მოვიდა ძლიერი სეტყვა, რამაც ზოგიერთ ადგილებში გააფუჭა ბაღები.

წნორის-წყალი

ბაზარზე ბევრია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ფასები კლებულობს. დიდი მოთხოვნილებაა, უმთავრესად, ხორბალზე, ქერზე და ყურძენზე. თბილისიდან ჩამოვიდენ ვაჭრები, რომლებიც სცდილობენ მცირე ფასებში შეიძინონ ყურძენი.

მოთხოვნილება სამეურნეო საქონელზე თანდათან იზრდება. გლეხების მხრივ დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე, განსაკუთრებით ტრაქტორებზე.

გზები

ამ თვეში ბორჯომის რაიონში ადგილი ჰქონდა ხშირ წვიმებს. ამის გამო სრულებით გაფუჭდა ხე-ტყის ჩამოსაზიდი გზები.

გზების გაფუჭებით მოსალოდნელია ტყის მრეწველობის შეფერხება. ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს სატყეო ტრესტმა გამოითხოვა 17.000 მანეთი. ამ დღეებში განზრახულია შეკეთდეს გზა 34 ვერსის მანძილზე. თვითეული ვერსი გზის გაყვანა 500 მანეთი ჯდება.

საქართველოს სატყეო ტრესტი ახლო ხანში დაიწყებს ბორჯომის სატყეო რაიონში საექსპლოატაციო გზების შეკეთებას.

ბარიტი

სამთო-ქიმიურ ლაბორატორიაში საანალიზოთ ჩამოიტანეს სოფ. რცხილაეთში აღმოჩენილი (შორაპნის მაზრა) ბარიტის მადანის ნიმუშები.

ეს ნიმუშები საუკეთესო ღირსებისაა და ხარისხით სჯობია ლეჩხუმის ბარიტს, რომელიც პირველხარისხოვან მადნათ ითვლება საბჭოთა კავშირში.

სამთო-ქიმიურმა კომბინატმა დაიწყო შესაფერი მუშაობა მადნების რაოდენობის გამოსარკვევათ.

ნათესების მდგომარეობა

ამინდი. აღმოსავლეთ საქართველოში, გარდა რამდენიმე პატარა რაიონისა, აგვისტოს პირველ ნახევარში ნათესებისათვის ხელსაყრელი ამინდი იყო, მეორე ნახევარში კი უეცარი გარდატეხა მოხდა. კარგი დარი შეიცვალა ავდარით. ჩამოწვა ნისლი და ღრუბელი, ხშირად წვიმდა, აცივდა და ზოგან ადგილი ჰქონდა სეტყვას და პირველ ყინვასაც კი (ახალქალაქის მაზრა).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ აგვისტოში აღმოსავლეთ საქართველოს ბარში სწარმოებდა პურის ლეწვა, ხოლო სიმინდის დამწიფებისათვის ამ თვეს ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, უნდა ვსთქვათ, რომ აგვისტო არ იყო ხელსაყრელი სასოფლო მეურნეობისათვის.

სახ.-სამ. კულტურების მდგომარეობამ აგვისტოს ბოლო რიცხვებში ძალობრივად დაიწია, შედარებით ამავე თვის პირველ რიცხვებთან. ყველგან პურის მოსავალი იწევს 0.2-დან—0,7-დე. განსაკუთრებით დაზარალდა სიმინდი.

ბამბის მდგომარეობა წინა პერიოდთან შედარებით გაუარესდა 0,8-ით. ბამბას მოდებული აქვს ჩრორი. საშუალო მოსავალი 25—70 ფ.

თამბაქოს მოსავალმა მთელ რესპუბლიკაში დაიკლო 0,2-ით. აფხაზეთში სეტყვისაგან დაილუპა 13 დეს., ხოლო გაფუჭდა—6.

ვაზის მდგომარეობაც გაუარესდა, 0,1-ით. ვაზის მდგომარეობა ჯერ-ჯერობით საშუალოა—3.2. დაზიანებულია გუდაუთისა და ქუთაისის მაზრების ვაზი.

ხილეულობის მდგომარეობა საშუალოა. გაუარესდა მხოლოდ 0,3-ით. ხილის მთავარ რაიონებში უკვე დასრულდა საზაფხულო ხილის მოკრეფა. ძალიან მოისხა ქლიავმა. აჭარის ბაღებში მოდებულია მავნებლები. ჩაის პლანტაციები საშუალოა.

სახელმწ. დაწესებულებანი

საქართველოს სტატისტიკურმა ბიურომ დაასრულა სახელმწიფო დაწესებულებათა აღრიცხვა.

ამ აღრიცხვის მიხედვით საქართველოში მოქმედებს 4.535 სახელმწიფო დაწესებულება, მათ რიცხვიდან: სახელმწიფო ბიუჯეტზეა—1.704 დაწესებულება [illegible] თანამშრომლით, ადგილობრივ ბიუჯეტზე—2.189 დაწესებულება 12.393 თანამშრომლით და სამეურნეო ანგარიშზე—458 დაწესებულება 6.393 თანამშრომლით. საქართველოს ყველა დაწესებულებებში მსახურობს—38.602 თანამშრომელი

ყველაზე მსხვილ დაწესებულებებს საქართველოში წარმოადგენენ: განათლების სახალხო კომისარიატი (2.676 დაწესებულება 18.283 თანამშრომლით); შემდეგ ჯანსახკომი (446 დაწესებულება 5.210 თანამშრომლით) და ფოსტელსახკომი (142 დაწესებულება—1.920 თანამშრომლით).

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი უდრის 63 მან. 95 კაპ., ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში—41 მან. 97 კაპ. და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებში—89 მან. 07 კაპ.

სასოფლო ადგილებში მუშა-მოსამსახურის საშუალო თვიური ხელფასი უდრის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში—37 მან. 63 კაპ. თვეში. საშუალო სამუშაო ხელფასი საქართველოს საქალაქო დაწესებულებებში უდრის 67 მან. 76 კაპ.

წიგნის პალატა

განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულმა წიგნის ცენტრალურმა პალატამ შეიმუშავა ინსტრუქცია, რომლის ძალით ყველა სტამბა, ტიპო-ლიტოგრაფია, სტეკლოგრაფია, ნოტების საბეჭდავი და სხვა პოლიგრაფიული საწარმო, რაიც კი საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედობს, ვალდებულია საქართველოს წიგნის პალატას (თბილისი, ლენინის ქ. № 48) უსასყიდლოთ წარუდგინოს ბეჭდვითი ნაწარმოების სავალდებულო ცალები, ვიდრე ეს ნაწარმოები გამოვა და გამომცემელს გადაეცემა; წარმოდგენილი უნდა იქნეს ყოველგვარი ნაწარმოების სავალდებულო ცალები, განურჩევლად გამოცემის ენისა და სახეობისა (წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, აფიშები და სხვა).

ბეჭდვით ნაწარმოებთა სავალდებულო ცალებს წიგნის პალატას უდგენს ის პოლიგრაფიული საწარმო, სადაც დაიბეჭდება აღნიშნული ნაწარმოები, განურჩევლად იმისა, თუ სად დაიკეცება იგი.

არც ერთ პოლიგრაფიულ საწარმოს არ აქვს უფლება მისცეს გამომცემელს ან საწარმოდან გაიტანოს დაბეჭდილი ნაწარმოები, ვიდრე წიგნის პალატას არ გაეგზავნება ამ გამოცემის სავალდებულო ცალები.

პერიოდულ გამოცემათა სავალდებულო ცალები, აგრეთვე ისეთი ნაწარმოებნი, რომელთაც სასწრაფო ხასიათი აქვთ, წიგნის პალატას ეგზავნება ან წარედგინება გამოსვლის დღესვე, ან თუ უქმე დღეა,—მის მომდევნო დღეს.

ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიაზე გამოსულ გამოცემებზე, განურჩევლად მათი შინაარსისა, ფორმისა და ზომისა, ინსტრუქციის ძალით, აღნიშნული უნდა იქნეს: მთავარლიტის ან მისი ადგილობრივი ორგანოების №-ი, სტამბის სახელწოდება და მისამართი და ტირაჟი; გარდა ამისა პერიოდულ გამოცემებზე ტექსტის ბოლოს უნდა აღინიშნოს პასუხისმგებელ რედაქტორის გვარი.

ინსტრუქციით დადგენილ წესების დარღვევისათვის წიგნის პალატა პასუხისგებაში აძლევს დამნაშავეთ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საგზაო მშენებლობა

ოზურგეთი, 30 სექტ. დაიწყო სოფელ ახკანიდან ბახვის თემზე ქალაქ ოზურგეთამდე შარა-გზის გაყვანა.

სახალხო სახლი

ოზურგეთი, 30 სექტ. შემოქმედის სათემო აღმასკომს მიეცა თვითდაბეგვრის ნებართვა 3.298 მან. რაოდენობით სახალხო სახლისა და შვიდწლედისათვის საჭირო შენობის დასამთავრებლად.

წყალთა მეურნეობა

ოზურგეთი, 30 სექტ. გურიაში დაარსდა წყალთა მეურნეობის პირველი საზოგადოება. ამ დღეებში მოწვეული იქნება წყალთა მეურნეების ყრილობა წყლის გამოყენების საკითხის განსახილველად.

წყალში დამხრჩვალი

ფოთი, 30 სექტემბერი. ღია ზღვაში გადამრჩენებმა დაიჭირეს კაცის გვამი, რომელიც, მისი დოკუმენტების მიხედვით, აღმოჩნდა ა.-კ. რკინისგზათა მთავარ სახელოსნოების მონაგარიშე ლადოვი.

ცემენტის შემოზიდვა

ფოთი, 30 სექტ. მოვიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემი „პეტრ სტაროსტინ“-ი, რომელმაც ნოვოროსისკიდან ჩამოიტანა საქართველოსათვის საჭირო 933.683 კილოგრამი ცემენტი.

სარემონტო სახელოსნო

თელავი, 30 სექტ. წინანდალის გლეხკომი შეუდგა სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მანქანების შესაკეთებელ სარემონტო სახელოსნოს მოწყობას.

მოსავალის დაზიანება

თელავი, 30 სექტემბერი. წრეულს მთიან თუშეთში პურის მოსავალი გაფუჭდა, რადგან ჯერ კიდევ დამწიფებამდის დათოვა, ხოლო შემდეგ ყინვები დაიჭირა.

ყურძნის მოკრეფა

თელავი, 30 სექტემბერი. სახალხო მამულებში შეუდგენ ყურძნის მოკრეფას. მოსავალი საშუალოზე მეტია. ახალი ღვინო 140-დან 150 მანეთამდე ფასობს საპალნე (45 ვედრო).

აფხაზეთი

საკურორტო სეზონი

სოხუმი, 30 სექტემბერი. დაიწყეს ჩამოსვლა საკურორტო ავადმყოფებმა. ბაქოს სამთამადნო მუშათა კომიტეტმა მომავალ სეზონისათვის დაიკვეთა 30 საწოლი.

სას.-სამ. იარაღები

სოხუმი, 30 სექტ. აფხაზეთის სას.-სამეურნეო ბანკს გლეხებმა მომავალი წლისათვის დაუკვეთეს შემდეგი სასოფლო-სამეურნეო იარაღები: 700 გუთანი, სიმინდის 135 საცეხველი, სიმინდის 60 საფქვავი და, აგრეთვე, სეპარატორები, თივის საჭრელები და სხვ. იარაღები.

სურნელოვანის დამზადება

სოხუმი, 30 სექტ. საკავშირო ქიმიო-ფარმაცევტიული ინსტიტუტი იტყობინება, რომ ის იზიარებს აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებას სურნელოვან და სამკურნალო მცენარეულობისა და მთრიმლავი ნივთიერებების დამმუშავებელ ფაბრიკის აშენების შესახებ.

სოფლის „კეთილმყოფელი“

ქვაყუდეში არის საკრედიტო ეპოს განყოფილება, იქ ნოქრად მსახურობს სამსონ შანიძე, რომელიც კოოპერატივში კერძო ვაჭრობას აწარმოებს. ყიდულობს თამბაქოს, სიმინდს და სხ. მოსავლები, რა თქმა უნდა თავის ჯიბეში მიაქვს.

გლეხკორი იქაური.

ქუთაისის მაზრაში
ქვაყუდეა სოფელი
შანიძეა იქ სამსონ
სოფლის „კეთილ-მყოფელი“.
იგი თუმცა კულაკი,
და ძველია წურბელა,
მაგრამ „ეპოს“ სამსონმა
მაინც „ზორბად“ უშველა.
როცა ეპოს თაროზე
საქონელი აკლდება,
მუშტარი კი კვლავ ბლომად
აწყდება და აწყდება,
სამსონ,—რომ არ დაეცეს
სოფლის ეპოს ღირსება,
თვითონ ზიდავს საქონელს,
ისევ თითონ ირჯება.
ნოქრადაა ეპოში,
ყიდულობს და თან ყიდის,
ხან ბუბლიკებს, ხან კრენდელს
მუშტარია სიმინდის,
ხან თუთუნსაც შეიძენს,
(კონდრაბანდი ხილია)
არც სხვა რამეს იწუნებს,
კაკალი, თუ თხილია.
ვაჭრობს ასე სამსონი,
„მუყაითი“ კაცია.
კარგს სჭამს, კარგს სვამს, ტანზედაც
რიგიანად აცვია.
ან კი რა ენაღვლება?
„ეპო მისი გონია.
ჩუმპზეც წამოეზარდა
მოსათალი ქონია.
ქონს ავართმევთ შანიძეს
ქონს ავართმევთ სუკითა,
ჩქარა სტუმრად ეწვევა,
გოგიელა ტუკითა.

გოგიელა ტუკიანი

წერილები

მღვდელმთავარის მოგზაურობა

(წერილი ზემო იმერეთიდან)

ეპისკოპოსი ვარლამ მარგველელი, ზემო-იმერეთში მოგზაურობდა. მართალია მღვდელმთავარი მაცხოვარივით ვირზე არ იჯდა და მორწმუნენი მის ხედარს ფეხქვეშ ბზებსა და ტაბისამოსს არ უფენდენ, მაგრამ იმდენი პატივი მაინც ჰქონდა ეპისკოპოსს მოგზაურობის დროს, რომ შიმშილით კუჭი არ ეწვოდა და პირში ნერწყვი არ უშრებოდა. თვითონ დამშეული, გატყაული მღვდელ-დიაკვნები პირიდან უკანასკნელ ლუკმას იძრობდენ, რომ მღვდელმთავარის გული მოეგოთ და ქვეყნის სასირცხვოთ მწყურვალ - მშიერი არ გაეშვათ.

მალე ეპისკოპოსი ზესტაფონსაც მოუახლოვდა. მოულოდნელად ქალაქზე თავდასხმა მან არ ისურვა. იფიქრა, წინ-დაწინ გავაფრთხილებ ზესტაფონის მრევლს, რომ ჩემი კურთხეული ფეხი მათკენ მიიმართება, ხალხი მოემზადოს. სირცხვილი არ ჭამოს მოულოდნელ სტუმარის წინაშეო. ამ განზრახვით მღვდელმთავარმა ერთი კვირა უტრიალა ქალაქს ძირასავით. ბოლოს, პირ-ჯვარი გადისახა და პირდაპირ ზესტაფონისაკენ უქნა ხედარს პირი...

ბევრი იარა თუ ცოტა იარა მღვდელმთავარმა, მალე მისმა ხედარმა ყურები ზესტაფონის ეკლესიის გალავანში შეჰყო. მიიხედ - მოიხედა საპატიო სტუმარმა, არსად კაცის ჭაჭანება არ სჩანდა. გაბრაზდა ვარლამი, მაგრამ ნაწყენობა არ შეიმჩნია და თავის კრებულით იქვე გალავანში მოისვენა. ამასობაში საიდანღაც გაჩნდა გაფაცქნილი ნაზნაურალი იოსებ საყვარელიძე: „ამას რას ხედავს ჩემი თვალები, მღვდელმთავარი მობრძანებულა და ხალხი არსად სჩანს, რატომ ზარის რეკვა არ არისო?“ დობრილ-შობრეევით მივარდა ის ზესტაფონის ეკლესიის მღვდელს დეკანოზ ი. აბესაძეს.

მაგრამ აბესაძე. როგორც ეტყობოდა, მაინცა და მაინც ზეიმის გუნებაზე არ იყო. მღვდელმთავარს მის წინაშე ასეთი პატივისცემა არ დაუმსახურებია. საყვარელიძე არ ცხრებოდა. გავარდა, მაშინათვე ზარის დამრეკი იშოვნა, მაგრამ ზარას... ენა აღარ აღმოაჩნდა.

შეიქნა ენის ძებნა. აქეთ ეცხენ, იქით იცხენ, ენა არსად იყო. შემდეგ დეკანოზ აბესაძემ ულვაშებში ჩაიცინა და ვანაცხადა: „ენა მე მაქვს, მაგრამ ჭიპზე რომ გასქდეთ ვერ მოგართმევთო“. ბევრი ეცადნენ, ხან ეხვეწენ. ემუდარეს, შემდეგ კიდეც შეუკურთხეს (არა საცეცხლურით რასაკვირველია) დაემუქრენ კიდეც, მაგრამ აბაფერმა გასჭრა.

ეპისკოპოსი თავის კრებულით ისხდა და უცდიდა, აბა, როდის ახაპონდება ზარა, რომ ხალხი მოიდეს და ამ სირცხვილიდან როგორმე გამოვძვრეთ. აბესაძე კი თავისას არ იშლიდა. ენა მაინც არსად სჩანდა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ზესტაფონი მოიდორია ქვით და კლდის ნამტვრევებით. მღვდელმთავარის ერთგულნი არ დაიბნენ. ენა თუ არ იქნება, ქვა ხომ ყვირილას მოუტანია და არ წაულიაო. ადგენ დასცხეს ზარას რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ქვა. აქეთ - იქიდან დაიწყო ხალხმა დენა თითო-თითოდ. მორწმუნეებს მეტად ცნობისმოყვარეებმა დაიყარეს თავი გალავანში.

ბოლოს, ალბათ თვით ზარის მრისხანებსაც შერცხვათ. სად ეპისკოპოზის წირვა და სად ქვა-ზარაო. ძივარონენ ზარს, ჩამოხსნეს და ნიშნის მოგებით მიაძახეს დეკანოზ აბესაძეს: „ზრაწო შეხს საქმის. ტყავი შენ და ხორცი ჩვენ, ენა შენ და ზარა ჩვენო“...

ამისახა მოგზაურობას ეპისკოპოზი ვარლამი, მართოლა ვირზე რომ შემჯდარიყო ის არა სჯობდა?

მარგველი.

წერილებიდან

ს. ხევი (გურია)

თბილი წყარო. ჩვენს სოფელში გლეხმა შემთხვევით აღმოაჩინა თბილი წყარო. წყალი იმდენად ცხელია, რომ თბილისის გოგირდის აბანოების წყაროებს არ ჩამორჩება. წყაროსთან იპოვეს ძველი ნაშენების ნაშთი და რკინის მილი. სჩანს ერთ დროს ეს წყარო ცნობილი ყოფილა, მაგრამ შემდეგ დავიწყებას მისცემია.

ალო ელენაშვილი.

ს. ოფშკვითი (ქუთ. მ.)

„მე ვარ დეისაძე“. ამასწინად რკინის გზის 1-ლი დამცველი რაზმის მილიციელმა რაფიელ დეისაძემ „ვინტოვკით“ და „ნაგანით“ გადააქუხა მთელი სოფელი უთავბოლო სროლით. როცა ადგილობრივ კომუჯრედის მდივანი მივიდა დეისაძესთან სროლის მიზეზის გამოსარკვევად, დეისაძემ ამაყათ გადმოსძახა სახლიდან: „ახლოს არ მომეკარო, მე ვარ დეისაძე, ვინ ბედავს ჩემთან მოსვლასო“.

გამვლელი.

ს. დვაბზუ (გურია)

დავიწყებული არხი. უკვე ათეული წელია, რაც აქ დაიწყეს მდ. ჟუჟისგან არხების გამოყვანა, რომლითაც ისარგებლებდა სოფლები: ფატარი, დვაბზუ, სხვანი და ქალ. ოზურგეთი. ამ საქმის მომწყობელი კომისიები საოთხის ძილს მისცემიან უკვე დაწყებული მუშაობა ზიანდება და, თუ ასე გაგრძელდა, საქმე ხელახლა უნდა დავიწყოთ. ამ საქმეს ხელმძღვანელი ესაჭიროება.

დვაბზუელი გლეხი.

მუშათა ცხოვრება

შაბათს, 2 ოქტომბერს, შესდგება მუშკორთა მასიური ექსკურსია ვაკეში. ადგილობრივი მშენებლობის დასათვალიერებლად და გასაცნობად.

მუშკორები თავს იყრიან ყოფ. ზემელის აფთიაქის წინ ბაღში დღის 2-დან 3 საათამდე.

მუშკორთა ბიურო.

„კომუნისტი“-ს მუშკორებში

29 სექტემბერს რედაქციის ბინაზე შესდგა ჩვენი გაზეთის მუშკორთა მორიგი კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ექსკურსიის მოწყობა, 2) მუშკორთა მორიგეობა, 3) ბიუროს არჩევნები და სხ.

საკითხების ყოველმხრივ გაშუქების შემდეგ კრების მიერ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებები:

1. მუშაობა უბნებში მუშათა ყოფა-ცხოვრების, საამშენებლო და კეთილ-მოწყობის დარგში ქალ. საბჭოს და აღმასკომის მიღწევების და ნაკლების გაცნობისა, მუშკორთა და მუშათა მასას შორის უფრო მჭიდროდ დაახლოვების მიზნით, მოეწყოს სისტემატიური ექსკურსიები ქალაქის მუშათა უბნებში, რადგანაც ნაძალადევში ჩატარებულმა ექსკურსიამ სრულიად ნათელჰყო ასეთი სახის ექსკურსიების სარგებლობა მუშკორთა საქმიანობაში.

შემდეგი ექსკურსია მოეწყოს ვაკეში.

ექსკურსანტები თავს იყრიან 2 ოქტომბერს 2-დან 3 საათამდე ყ. ზემელის აფთიაქის პირდაპირ ბაღში.

2. „რკინის ფონდის“ შესახებ დადგენილ იქნა შემდეგი:

გაძლიერებულ იქნას მუშკორთა არსებული ფონდი 5% ანარიცხების სისტემატიურად აღებით და გაცემულ დახმარების დაბრუნებისათვის ზომების მიღებით;

3. შემოღებულ იქნეს რედაქციის ბინაზე საღამოობით მუშკორთა მორიგეობა 1 ოქტომბრიდან ყოველ დღე 5-დან 7 საათამდე.

მორიგე მუშკორი „მუშათა ცხოვრების“ განყოფილების ხელმძღვანელობით მორიგეობის დროს ღებულობს წერილებს, აძლევს განმარტებებს წერილების დაუბეჭდაობის ან მისი დაგვიანების მიზეზების შესახებ; აძლევს სათანადო რჩევა - დარიგებას კედლკორთა წევრებს და მათ ხელმძღვანელებს კედლის გაზეთების რედკოლეგიების საქმიანობის შესახებ და სხ.

აძლევს ახსნა - განმარტებას კედლის გაზეთების რედკოლეგიის წევრებს. რომელნიც მოვლენ სხვადასხვა საკითხების გამოსარკვევად კედლის გაზეთის გამოცემის შესახებ; აძლევს რჩევა - დარიგებას მუშკორთა ბიუროში მოსულ მუშებს სხვადასხვა საკითხებზე და სხვა.

4. კრება ადგენს აგრეთვე შემდეგ მორიგ სხდომაზე (6 ოქტომბერს) ჩატარდეს მუშკორთა ბიუროს გადარჩევა.

მუშკორი—ნიკოლაიშვილი.

[illegible] მუშათა კლუბი

(წერილი ლანჩხუთიდან)

15 სექტემბერი ლანჩხუთის პროფკავშირთა ისტორიაში ალბად მსხვილი ასოებით ჩაიწერება. ამ დღეს გაიხსნა შეერთებული ძალებით მოწყობილი პროფკავშირთა კლუბი. ეს კულტურული მიღწევა ადგილობრივ პირობებში იმდენად დიდია, რომ ის უსათუოდ ღირსია მკითხველის ყურადღების. ლანჩხუთი გურიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრთაგანია. აქ არსებულ რვამდე კავშირში (როგორიცაა: განათლ. მუშაკთა, საბჭ. და სავაჭრო დაწეს. მუშ., მედსანშრომის და სხ.) ირიცხება 140 კავშირის წევრი. აქ საკმაოდაა კულტურული ძალები, მაგრამ უკანასკნელნი დღემდე საკუთარი საკლუბოს უქონლობის გამო მცირედის გამონაკლისით, აფთიაქის წინ [illegible]. ყველას ქონდა შეგნებული, კლუბის საჭიროება. საჭიროება ისეთი კუთხის მოწყობის, სადაც ამხანაგებს შეეძლოთ თავისუფალ დროს მისცემოდენ ჯანსაღ გონივრულ დასვენებას.

საჭირბოროტო საკითხის მოგვარებას ლანჩხუთის პროფკავშირთა [illegible] შეუდგენ და დაამტკ[illegible], რომ მათში არსებობს ერთსულოვნება. ერთი თვის გაფაციცებული მუშაობის შემდეგ მართლაც მოხდა კლუბის გახსნა. ადგილობრივ კულტფონდების ხანგრძლივი ეკონომიით დაგროვებულ თანხებით შეძენილი იქნა საჭირო ინვენტარი, დაქირავებული და მოწყობილი იქნა შესაფერისი სახლი ქალაქის ცენტრალურ ადგილას. შეძენილი იქმა საჭირო გასართობები. როგორიცაა: ჭადრაკი, დომინო, ლოტო, ნარდი და სხ. და, რაც მთავარია მოწყობილი იქნა სამკითხველო ყველა ადგილობრივისა და ერთიც რუსეთის (მოსკოვის) გაზეთის გამოწერით.

ეხლა უკვე ძლიერის ელსინათლით გაჩაღებული კლუბი წარმოადგენს მშვენიერ სანახაობას, განსაკუთრებით საღამოს. ამ კლუბში შემსვლელი შესვლისთანავე იგრძნობს ერთნაირ სითბოს, რაც თავდებია იმისი, რომ ლანჩხ. პროფკავშირებისთვის გადიქცევა საყვარელ ადგილად.

გახსნისთანავე არჩეული იქნა კლუბის გამგეობა, რომელშიაც კლუბის სურვილის თანახმად შევიდენ ადგილკომთა თავმჯდომარეები და სარევიზიო კომისია.

აღსანიშნავია პროფკავშირთა გაერთიანებული კრების სურვილი იმის შესახებ, რომ ყველა გამოუკლებლივ უნდა ჩაეწეროს კლუბის წევრებად.

გამგეობას განზრახვა აქვს მართოს კლუბში სისტემატიური მოხსენებები და ლიტერატურული გასამართლებები.

ლომი.

ტყიბულის მაღაროებში

ტყიბულის მაღაროებში მსახურობს **ვილაც ონისიმე ჩიტიძე.** ეს ვაჟბატონი ძალიან უხეშად ეპყრობა მუშებს, მის თავგასულობას საზღვარი არა აქვს. მას მუშა ადამიანი კი არ გონია. მაგალითად, მივა მუშა რამე საქმეზე მასთან. პასუხს ვერ ეღირსება. თუ მისცა მუშამ რაიმე შეკითხვა, ის ირონიით და საზარელი დაცინვით გასცემს პასუხს.

დროა შეიგნოს ო. ჩიტიძემ, რომ მუშა საბჭოთა ხელისუფლების დროს სრულ-უფლებიანი მოქალაქე და მისი დაჩაგვრა არავის ეპატიება.

საჭიროა ეს უხეში მოხელე აილაგმოს.

ელეფთერ გიბრალტარელი.

მუშათა წერილებიდან

— **ზაფხული გავიდა და ბაღს კი არ ხსნიან.** ლენინის უბანში ლოტკინის ქუჩის მოედანზე აღმასკომმა გააშენა ახალი ბაღი.

ბაღი ლამაზად მოწყობილია; გაყვანილია წყალი მოფენილია ყვავილნარით და სხვა. მაგრამ, უკვე ზაფხული გავიდა და ბაღს კი არ ხსნიან!

აღმასკომო, ეხლა მაინც გაგვიხსენით ბაღი.

მუშკორი—პოკი.

— **გაგვიხსენით კოოპერატიული დუქანი.** თბილისის განაპირა უბანში, ვაკეში, არც ერთი კოოპერატიული დუქანი არ არის გახსნილი. ამის გამო მუშა - მოსამსახურენი დიდ ტანჯვაწვალებას განიცდიან. ისინი უვარდებიან ხელში წვრილ ვაჭრებს და ტყავი სძრებათ.

მუშკოოპის, გამგეობავ, აქ უნდა გახსნა ერთი კოოპერატიული დუქანი.

გერბერტი.

— **ალაგმეთ ხულიგნები.** ამ ბოლო დროს ქ. გორში ხულიგნების თარეშს საზღვარი არა აქვს. უკანასკნელნი შეურაცყოფას აყენებენ პატიოსან მცხოვრებლებს და მილიციელსაც ფიზიკურადაც უმასპინძლდებიან.

აქ არსებობს ვიღაც **ქერეჭაშვილის ჯგუფი,** რომელიც მოსვენებას არ აძლევს ადგილობრივ მცხოვრებლებს.

ქ. გორის მილიციავ, ალაგმე ხულიგნები.

მუშკორი—ხიკო.

— **მოუმატეთ მუშაკები.** ქ. გორის სახალხო სასამართლოს დავალებული აქვს აუარებელი საქმეები როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო, მიწის, საბინაო და სხვა. აქ კი მუშაობს მხოლოდ სამი კაცი. ამ მცირე შტატით სასამართლო ვერ ასწრებს საქმეების დროზე გარჩევას. ყოვლად შეუძლებელია სასამართლომ ამგვარ პირობებში ჯანსაღად და ნორმალურად იმუშაოს. ამიტომ საჭიროა საქმის სარგებლობისათვის აქ მომუშავეთა შტატის გადიდება.

დამცვ. კოლ. წევრი.

წითელ ჯარში

უვადო შვებულებაში დათხოვნილ მ.-გ. წითელდროშოვან არმიის უფროს შემადგენლობის მოწყობა

უვადო შვებულებაში დათხოვნილ მ.-გ. წითელ-დროშოვან არმიის უფროს შედგენილების სამუშაოზე მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსდა მთავრობის სპეციალური კომისია სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. **ს. ჟუღელის** თავმჯდომარეობით და შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლების შემადგენლობით: შრომის სახკომი ამხ. ა. მიქაძე, ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბ. ჭიჭინაძე, პროფსაბჭოდან ამხ. ა. ფანცხავა, 1-ლი ქართული დივიზიის უფროსი ამხ. მელაძე, 2-რე ქართული დივიზიის უფროსი ამხ. ალნიაშვილი, კავკასიის 1-ლი მსროლელი დივიზიის უფროსი ამხ. იანოვსკი, საქართველოს ტერსამმართველოს უფროსი ამხ. ჟლენტი და ს. კ. პ. ც. კ.-ის საორგანიზაციო განყოფილებიდან ამხ. მაჭკევიჩი.

ჩვენი საქმიანობა

(მე-5-ე ქართ. ლეგიონი)

მალე შესრულდება ერთი თვე, რაც ჩვენი ლეგიონი იმყოფება ბანაკად. ცვალებადელი წითელარმიელები ხალისიანად მუშაობენ სამხედრო დარგში და კარგად ითვისებენ ყოველივე საგანს. მეთაურებიც არ ზოგავენ ძალას და ღონეს, რომ არმიელები დაბრუნდნენ სახლში მომზადებულნი.

ყურადღება აქვს მიქცეული ლეგიონში აგრეთვე სკოლის გარეშე მუშაობას. გვაქვს ლენინის კარავები, ჩამოყალიბებულია სარედაქციო კოლეგიები.

ლეგიონში ხშირად კეთდება მოხსენებები ტერიტორიალურ სისტემის ირგვლივ, რათა ყოველი ცვალებადელი კარგათ იყვეს გარკვეული ჯარის ამ ახალ წყობაში.

აგრეთვე იმართება საუბარი მეთაურების მიერ ჩვენი ცხოვრების ავ-კარგზე.

ა—ლი.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს მესამე პლენუმისათვის

დღეს 1-ლ ოქტომბერს თბილისში იხსნება საქართველოს პროფსაბჭოს მესამე პლენუმი. დღის წესრიგში პირველ საკითხათ ასმულია კოოფსაბჭოს პრეზიდიუმის მოხსენება თავისი მუშაობის შესახებ უკანასკნელ ყრილობის შემდეგ, რომელიც შესდგა მიმდინარე წლის მარტში.

რა გაკეთდა?

დაკვრითი კამპანია, რომელიც ჩაატარა პროფსაბჭომ ყრილობიდან ეხლანდელ პლენუმამდე გასული წლის განმავლობაში—ეს არის.

ფაბქარხადგილკომების გადარჩევა

ამ ვადარჩევას შედეგად მოყვა ის, რომ თბილისის ქვედა უჯრედებში გაძლიერდა მუშათა ძირითადი ნაწილი და გაიზარდა ქალთა რიცხვი. უნდა აღინიშნოს. რომ ყველა მუშა-მოსამსახურეებიდან, რომლებიც არჩეული არიან ახალ ფაბქარადგილკომებში, 43,4 პროც. ჩაბმულია საკავშირო მუშაობაში პირველად.

სოფლად მუშაობა

პროფსაბჭომ შეისწავლა სოფლად მუშაობის ყველა დეტალები, რისთვისაც ჩატარებულია [illegible] პროფმუშაობის გამოკვლევა ადგილებზე. ამ გამოკვლევამ გამოააშკარავა მრავალი დეფექტები.

ყველა ამას პროფსაბჭომ თავის დროზე მიაქცია სერიოზული ყურადღება და ადგილებს მიეცა კონკრეტიული მითითება, თუ როგორ უნდა იქნას აღმოფხვრილი ეს დეფექტები.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი დროის განმავლობაში საგრძნობლად გაძლიერდა მუშაობა მოჯამაგირეთა შორის.

ფინანსები

ცალკე კავშირის და კავშირთშორისო ორგანიზაციების ფინანსიური მუშაობა თითქმის მოწესრიგებულია. პროფსაბჭომ მოახდინა ყველა კავშირების ფინანსიური მდგომარეობის გამოკვლევა.

ძირითად მიღწევად ფინანსიურ დარგში უნდა ჩაითვალოს ხარჯთაღრიცხვაზე გადასვლა. ძირითადი დეფექტია—საწევრო გადასახადის თავის დროზე არ შეტანა, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება. ამ დეფექტის აღმოფხვრის მიზნით. ამჟამად შემოღებული იქნება საჯარო ფინანსიური ანგარიში და გამოქვეყნებული იქნება იმ წევრთა სია, რომელთაც დროზე არ შეაქვთ საწევრო გადასახადი.

სარევიზიო კომისიების მუშაობა გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაცხოველდა.

კოლექტიური ხელშეკრულებები

კოლექტიური ხელშეკრულებების დადება ხდებოდა პროფსაბჭოს დირექტივების თანახმად.

ამიტომ კოლექტიური ხელშეკრულებების უმეტესობის ვადა მექანიკურად გაგრძელებული იქნა 1-ლ ოქტომბრამდე.

ზოგიერთ ჩამორჩენილ წარმოებებში გადიდებული იქნა პირველი განაკვეთის ჯამაგირი. ასე, მაგალითად, ტყიბულის ქვა-ნახშირის მრეწველობაში 11 მანეთის მაგივრად ახალი ხელშეკრულებით დაწესებულია 12 მან. და 50 კაპ. აგურის ქარხნებში 14 მანეთის მაგივრად დაწესებულია 17 მანეთი. მბეჭდავებს გაუდიდდათ ხელფასი 7 პროცენტით.

ხელფასის დავალიანება

ხელფასის დროზე არ მიცემას ადგილი ჰქონდა მრავალჯერ. განსაკუთრებით შემჩნეულია ეს მოსამსახურეების მიმართ, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან. ერთ დროს დავალიანებამ მაზრებში მიაღწია 152.000 მან.

ამჟამად დავალიანების დიდი ნაწილი გასტუმრებულია.

დახმარება ინგლისის მემაღაროებს

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფსაბჭოს მუშაობა. რომელიც ჩაატარა მან ინგლისის გაფიცულ მუშებისათვის. დახმარების აღმოჩენის დარგში.

გაფიცვის პირველ დღეებიდანვე დაწყებული კამპანია შეუსუსტებლად ტარდება ეხლაც. ამას გარდა პროფსაბჭომ და ზოგიერთმა კავშირებმა გადადევს განსაზღვრული თანხები საგაფიცვო ფონდში. ამასთანავე ჩატარებული იქნა კამპანია გაფიცულ მუშების სასარგებლოდ ხელფასის ერთი პროცენტის გადიდების შესახებ.

დღევანდლამდე პროფსაბჭოში შემოვიდა 70.000 მეტი მანეთი [illegible] უკვე გადაიგზავნა 67.200 მანეთის ისეთი [illegible]

[illegible]

აღწერა

გეგმის შემოწმება

15 ოქტომბერს კეთილმოწყობის განყოფილება დაამთავრებს ქალაქის გეგმის შემოწმება-განხილვას.

დაუნომრავი სახლები

აღწერის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომისია 1 ნოემბრამდე, მთელ ქალაქში დაამთავრებს დაუნომრავ სახლების დანომვრას.

ქალაქის დაყოფა

აღწერის ჩატარების გასაადვილებლად, მთელი თბილისი დაიყოფა რაიონებათ. თვითეულ რაიონებში დაინიშნება აღმწერთა შტატი თავიანთი ხელმძღვანელებით.

ბინების და ოთახების

დანომვრა დამთავრდება 3 ოქტომბერს, რის შემდეგ დაიწყება დანომრილ სახლების შემოწმება.

მეცხვარეობა

საკითხი საქართველოს მეცხვარეთათვის საზამთრო საძოვრების მიცემის შესახებ მეტად მტკივნეული საკითხია. ამ საკითხის საბოლოო მოწესრიგებაზეა დამოკიდებული საქართველოს მეცხვარეობის ბედი საერთოდ.

ყიზლიარის ოლქის საზამთრო საძოვრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთელი დუშეთის მაზრის მეცხვარეთათვის, რომელთაც ჰყავთ 250.000-დე ცხვარი.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი მეცხვარეების მტკიცე მდგომარეობა ყიზლიარის საზამთრო საძოვრებზე შერყეა იმით, რომ საქართველოს მეცხვარეების მიერ დაკავებული სივრცე თანდათან შემცირდა, რაც, ალბათ, აიხსნება თვით დაღესტანის რესპუბლიკის ცხვრების რაოდენობის გადიდებით.

ამის გამო საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ დაღესტანის რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ხამურსკის მიმართა შემდეგი დეპეშით: „ქართველ მეცხვარეებს, რომლებიც აქამდი სარგებლობდნენ საზამთრო საძოვრებით ყიზლიარის ოლქში, წელს თქვენმა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა აღარ მისცა წინანდელი საძოვრები. ამ განკარგულებამ მათ მოულოდნელათ მოუსწრო. ახლა მეცხვარეებმა აღარ იციან, საით წავიდნენ, ცხვარს აუცილებელი დაღუპვა მოელის. ამის გამო მიმდინარე წელში გთხოვთ გადაარჩინოთ მეცხვარეები სრული დაღუპვისაგან."

ამ დეპეშაზე ამხ. ხამურსკიმ დეპეშითვე გამოგზავნა შემდეგი პასუხი: „საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს—ამხ. ფ. მახარაძეს. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შარშან გაცემულ საძოვრებთან შედარებით, თქვენი წლიური თანხმობით, საძოვრის სივრცე გადიდებულია 155.000 დესეტინამდე. მე წინადადება მივეცი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უარი უთხრას სხვებს და ქართველ მეცხვარეებს მისცეს კიდევ 50.000 დესეტინა. მიღებული იქნება ყველა ზომები საქართველოს მეცხვარეების მდგომარეობის შესამსუბუქებლად".

ამ პასუხიდან სჩანს, რომ დაღესტანის რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სურვილი აქვს დაეხმაროს დუშეთის მაზრის მეცხვარეობას, რომელიც ამ კუთხის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგია.

ბრძოლა ჭლექთან

ფრანგ მეცნიერმა კალმეტამ შეიმუშავა ჭლექთან ბრძოლის ახალი თეორია.

კალმეტა ამტკიცებს, რომ სათანადო ვაქცინის აცრით შესაძლებელია ჭლექით დაავადებულ მშობლების ბავშვთა დაცვა, ამ სენისგან. მეცნიერმა ახალ თეორიის დასამტკიცებლათ აწარმოვა სათანადო ცდები ლაბორატორიებში და დადებითი შედეგი მიიღო.

კალმეტას ცდები გადმოტანილ იქნა რუსეთშიაც; მუშაობა სამეცნიერო ლაბორატორულ პირობებში სამაგალითო შედეგებს იძლევა.

ჭლექთან ბრძოლის ამ ახალი თეორიის შესახებ საკითხი დაისვა, სხვათა შორის, ეპიდემიოლოგების, ბაქტერიოლოგების და სანიტარულ ექიმების მე-1ე საკავშირო ყრილობაზე, სადაც აღინიშნა, რომ ჭლექის წინააღმდეგ აცრას დიდი მომავალი აქვს; აგრეთვე გამოითქვა სურვილი, რომ ამ საკითხის ირგვლივ ლაბორატორული მუშაობა განგრძელდეს.

აგური

თბილისის აგურხანებმა, რიცხვით 7-2, 1925-26 სამეურნეო წელში დაამზადეს დაახლოებით 18 მილიონი ცალი აგური, ე. ი. 20%-ით გადააჭარბეს საწარმოო პროგრამას. 1924-25 სამეურნეო წელში დამზადებულ იქნა სულ 8 მილიონი ცალი აგური.

მუშების სამუშაო ხელფასი განუწყვეტლივ მატულობს, მისი დღიური რაოდენობა უდრის 3 მან. 50 კაპ. 1925 წელში სამუშაო ხელფასი უდრიდა 2 მ. 40 კაპ.

თბილისის აგურხანები აგურს აწვდიან თითქმის მთელ ამიერ-კავკასიას. 1926-27 სამეურნეო წელში გამოშვებული იქნება არა ნაკლებ 23 მილიონი ცალი აგურისა.

ს. მ. უ. საბჭოში

აჭარისტანის მრეწველობა

ს. მ. უ. საბჭომ დაამტკიცა აჭარისტანის სავაჭრო-სამრეწველო სამმართველოს მიერ წარმოდგენილი 1926—27 საოპერაციო წლის სამრეწველო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალურ ხარჯებს 923.650 მანეთის რაოდენობით.

ელექტრო-ქიმიური მრეწველობა

ს. მ. უ. საბჭომ შეუდგა საქართველოში ელექტრო-ქიმიური მრეწველობის შესაქმნელათ შესაფერი პროგრამის შემუშავებას.

პროგრამის შეიმუშავებს ს. მ. უ. ს. ტეხნიკური განყოფილება. ამავე დროს დაევალა საზღვარგარეთ გაგზავნილ სახელმწ. უნივერსიტეტის დოცენტ გ. ნიკოლაძეს გაეცნოს იქ ქიმიური მრეწველობის საქმეს.

მტკვრის ნაპირები

თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიამ განიხილა მტკვრის ნაპირების გამაგრების პროექტები. სულ წარმოდგენილი იყო 3 ვარიანტი. საგეგმო კომისიამ მოიწონა 1 ვარიანტი, რომლის მიხედვით ოთხკუთხე საჟენიან კედლის ამოყვანა ჯდება 800 მან. პირველ რიგში გამაგრებული იქნება მტკვრის მარჯვენა ნაპირი ვერის ხიდიდან ქვევით, ინჟინრის ქუჩამდე. შემდეგ შეუდგებიან მტკვრის მარჯვენა ნაპირის გამაგრებას ახლად გაყვანილ გზატკეცილის გასწვრივ, ისე რომ, მტკვარში შეჭრილი თავისუფალი ადგილი საკმაოდ გაფართოვდეს, ვინაიდან იქ განზრახულია ბაღის გაშენება. წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ნაპირების გასამაგრებლად პირველ ხანებში გადაიდება 800.000 მან.

სახალხო მამულები

საქართველოს სახალხო მამულების საბჭოთა მეურნეობაში თავმოყრილია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები: მემინდვრეობა ტეხნიკური კულტურებით, მესაქონლეობა, მეხილეობა და მევენახეობა-მეღვინეობა.

ყველა საბჭოთა მეურნეობებს ესაჭიროება განსაზღვრული თანხები მეურნეობის განსავითარებლად. ტრესტი ფიქრობს, რომ პირველ რიგში გაძლიერებული უნდა იქნეს მევენახეობა-მეღვინეობა, რადგან მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც ტრესტის მეურნეობაში, ისე საქართველოს ეკონომიკაში საერთოდ. სწორედ ამიტომ განზრახული ღონისძიებები ინდუსტრიალიზაციის დარგში უპირველეს ყოვლისა გატარებული იქნება მევენახეობა-მეღვინეობის დარგში.

როგორც ვიცით, სახალხო მამულების ტრესტი გარდა საკუთარი ბაღების მოსავლის გადამუშავებისა, აწარმოებს გლეხების ნედლი მასალის გადამუშავებასაც; მაგალითად, 1926 წლის განმავლობაში ტრესტის მიერ გლეხების ნედლი მასალისაგან დამზადებულ იქნა 212.000 ვედრო ღვინო და 1.200.000 გრ. სპირტი.

1927 წელში განზრახულ დამზადებას შეაფერხებს ზოგიერთი წარმოებების და მოწყობილობის ნაკლებობა.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად, საქართველოს საგეგმო კომისიის აზრით, 1926—27 წელში საჭირო იქნება ტრესტისათვის 228.865 მანეთის მიცემა გრძელვადიანი კრედიტის სახით.

განზრახულია ღვინის ქარხნის და სარდაფის აგება კარდანახის მამულში და კონიაკის ქარხნის აგება ნაფარეულის მამულში.

ღვინის ქარხნის და სარდაფის აგება 40.000 ვედრო ღვინის ტარის შეძენასთან ერთად დაჯდება 180.745 მანეთი, კონიაკის ქარხნის აგება და მოწყობა კი რკინის კასრების შეძენასთან ერთად დაჯდება 48.120 მან., სულ კი—228.865 მანეთი.

მეურნეობა აფხაზეთში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავმოყრილია ყოფ. მსხვილი კერძო მეურნეობების დიდი რაოდენობა; ამჟამად ეს მეურნეობანი გადაკეთებულია საბჭოთა მეურნეობებად და გაერთიანებულია აფხაზეთის სახალხო მამულების ტრესტში.

აქამდი საბჭოთა მეურნეობანი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში იყო, მაგრამ მას არ ჰქონდა საკმაო თანხები და მათი აღდგენის პერიოდი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

საბჭოთა მეურნეობა „ილიჩს" და „ზუგრიპშს" უპირველეს ყოვლისა ესაჭიროება ვენახების აღდგენა, რომლებიც თითქმის განადგურებულია, ამიტომ განზრახულია 1926—27 წელში ჩაყრილი იქნეს 3 დესეტინა ახალი ვაზები, 3 დესეტინა ამერიკული ვაზის სანერგე. ყველა ამისათვის საჭიროა 7.800 მანეთი.

საბჭოთა მეურნეობა „მესამე ინტერნაციონალი" საკმაოდ მოწყობილი მეურნეობაა. მას ესაჭიროება ჯიშიანი საქონელი რადგან მამულის ძირითადი ამოცანაა—არა მარტო კარგი ღირსების პროდუქტების მიწოდება გაგრისათვის, არამედ ჯიშიანი საქონლის მიწოდება მთელი მოსახლეობისათვის.

განზრახულია შეძენილი იქნეს 10 ჯიშიანი და 20 საწველი ძროხა, რაც დაჯდება 14.000 მანეთი.

საბჭოთა მეურნეობა „დრანდში" მომავალ წელში ჩაყრილი იქნება ხეხილის სანერგე, რადგან ეს მამული მეხილეობის რაიონში იმყოფება.

სულ 1926—27 წელში აფხაზეთის საბჭოთა მეურნეობებზე განზრახულია დაიხარჯოს 39400 მანეთი.

ექსპორტი

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ და სხვადასხვა სამეურნეო დაწესებულებებმა ბათომის და ფოთის ნავთსადგურების საშუალებით საზღვარგარეთ ამა თვის პირველ ნახევარში გაიტანეს შემდეგი საქონელი: ნავთის პროდუქტები — 51.798.359 კილოგრამი, ხალიჩები — 13.485 კილ., გამხმარი აბრეშუმის პარკი — 67.474 კილ., ფრიზონი — 18.429 კილ., თევზის წებო — 2.959 კილ., კაკლის ხიჭი — 3.585 კილ., მარგანეცი — 830.256 კილ; ნახევარ თვეში საერთოდ გატანილი იქნა 52.734.547 კი-

სასამართლო

რკინისგზელთა საქმე

30 სექტემბრის სხდომა

მოწმეთა დაკითხვა

გუშინ დილის სხდომაზე დაკითხულ იქნა მოწმე ქავთარაძე (მოლარე).

მოწმე უამბობს სასამართლოს, თუ როგორი წესით აწარმოებდენ სადგურის მოლარეები საშემოსავლო ნაწილში წარდგენილი საბუთების შედგენას.

მოწმე კარაპეტოვა (მენიხრე) იუწყება სასამართლოს, რომ ბრალდებულ ამაშუკელსა და თოფურიას შორის კარგი განწყობილება არსებობდა.

ბრალდებულმა თოფურიამ სასამართლოს პროცესზე განაცხადა, რომ ბრალდებული ამაშუკელი ეხმარებოდა მის სალაროს ანგარიშების შესწორებაში. მოწმე ამ ფაქტს ადასტურებს.

ამის შემდეგ დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეები, რომელთა ჩვენებას არავითარი ახალი გარემოება არ შეუტანია საქმეში.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

ყაჩაღების საქმე

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. თ. ბოცვაძის თავმჯდომარეობით და პროკურორის თანაშემწის ლდვდარიანის მონაწილეობით ქ. ფოთში გაარჩია აკაკი ქარდავას, ევგენი პანჭკორიას და დოროთე ბაბულუას საქმე.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდებათ შეიარაღებული თავდასხმა და ძარცვა.

ქარდავას და ბაბულუას თავდასხმისა და კაცის მოკვლისათვის ოლქის სასამართლოს მიერ წინეთ მისჯილი ჰქონდა გადასახლებაში დაპატიმრება. განთავისუფლების შემდეგ მათ კვლავ განაგრძეს გლეხების ოჯახების აწიოკება და ძარცვა.

ქარდავამ და ბაბულუამ პანჭკორიას დახმარებით რედუტ-კალეს შარა გზაზე ამა წლის 14 მაისს, გაძარცვეს 40 კაცამდე.

სასამართლომ ქარდავას და პანჭკორიას, როგორც თავდამსხმელების ხელმძღვანელებს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, ხოლო ბაბულუას კი ორი წლით დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით.

ქრონიკა

სპარსელი პრინცების ჩამოსვლა

გუშინ საღამოს პარიზიდან თბილისში ჩამოვიდა სპარსეთში მიმავალი პრინცი ბ. ზაურ-ოლ-სულთანი, თავისი მხლებლებით და ოჯახით.

[illegible] დათვალიერების შემდეგ ისინი პირდაპირ მიემგზავრებიან სპარსეთში.

ამერიკელი გეოლოგები თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ამერიკელი გეოლოგები—დოქტორი გარდერი, ინჟინერი ბიუკენენი, მიიერსი და ედვინი.

დღეს ამერიკელი სტუმრები ესტუმრებიან დაინტერესებულ დაწესებულებებს.

მიწსახკომის ხარჯთ-აღრიცხვა

ა.-კ. ფინსახკომის მიერ მიღებულია საქართველოს ს. ს. რ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის 1926—27 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა 1.338 ათასი მან. რაოდენობით. ამ თანხაში არ შედის საქონლის ჭირთან და კალიასთან საბრძოლველად გადადებული თანხები ამ უკანასკნელ საჭიროებათათვის ა.-კ. რესპუბლიკებისათვის საერთოდ გადადებულია 1.250 ათასი მან.

თბ. აღმასკომში

— მიმოსვლის გასაადვილებლად განზრახულია ვერის დაღმართზე არ გაატარონ ურმები.

— ახალ საბიუჯეტო წლიდან ლომბარდში დასაგირავებელ ნივთებზე განზრახულია პროცენტების დაკლება.

— ქუჩების გასანათებლად მომავალ წელში დაიხარჯება 50.000 მან.

— ტრამვაის მუშათა სახლის ასაგებათ სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. ქვედა სართულების კედლები უკვე ამოყვანილია.

— სახალხო ჯანმრთელობა. ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა მაზრაში ექიმების აღრიცხვას და უექიმოთ დარჩენილ თემებში—ექიმების დაგზავნას.

— კანალიზაცია. ახლო ხანში შეუდგებიან ნაძალადევში კანალიზაციის ქსელის გაფართოებას.

— დაზღვევა მაზრაში ამჟამად მიმდინარეობს ნათესების და საქონლის დაზღვევის კამპანია.

— გადასახადი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა თბ. მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს.

— ხიდების შეკეთება. მომავალ წელში მაზრაში შეუდგებიან ყველა სასოფლო და სამაზრო ხიდების საფუძვლიან შეკეთებას.

სახალხო განათლება

— ნებადართველი წიგნები. განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა განათლების განყოფილებებს, აცნობონ სკოლის გამგეებს, რომ განათლების კომისარიატის მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელო და დამხმარე წიგნების გარდა სხვა ნივთების ხმარება სკოლაში სასტიკათ აკრძალულია.

— „ახალ სკოლისაკენ". გამოვიდა განათლების კომისარიატის პედაგოგიურ ჟურნალის „ახალ სკოლისაკენ" № 8. ჟურნალი ყოველთვიურია.

სტენოგრაფიის კურსები. განათლების კომისარიატის ნებართვით, კეცხოველის ქ. № 12 გაიხსნა სტენოგრაფიის კურსები. სწარმოებს ჩაწერა.

— პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პირველ კურსზე წელს მიღებული იქნება არა უმეტეს 150 კაცისა.

— რკინის-გზის მეოთხე სკოლაში. თბილისის რკინის-გზის მეოთხე სკოლაში დაიწყო მეცადინეობა.

სამეურნეო დაწესებულებებში

— საქონელზე ფასების დასაკლებად ამჟამად მუშაობს განსაკუთრებული კომისია ამხ. მამიორახელაშვილის თავმჯდომარეობით.

— ბრინჯი. ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ შინავაჭრობის კომისარიატს დაავალა ა.-კავკასიისათვის საზღვარგარეთ შეიძინოს 50 ვაგონი ბრინჯი.

— ბათომში გაუქმდა საფეიქრო სინდიკატის განყოფილება. ფართლეულობა ბათომის კოოპერატიულ სავაჭროებს სინდიკატიდან უშუალოდ გაეგზავნებათ თბილისის განყოფილებიდან.

ჩაი

— ქარხანა. საზ-ბა „საქართველოს ჩაი" მომავალ წელში დაამთავრებს ჩაქვში ჩაის ქარხნის მოწყობას.

— უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში ჩაის მეურნეობა წლიურად მოგვცემს 5 მილიონ გირვანქა გამხმარ ჩაის.

— ჩაის მეურნეობა. საგეგმო კომისიის ცნობით, ჩაის პლანტაციებს საქართველოში უჭირავს 1600 დესეტინა მიწა.

სხვადასხვა

—ტელეგრაფისტების კურსები. ფ.-ტ. კომისარიატი თბილისში ხსნის ტელეგრაფის ულენტო აპარატზე (სმენით) მომუშავეთა კურსებს.

— მეტრიული სისტემა. მთელ ამიერ-კავკასიაში შემოღებული იქნება დღეიდან.

— ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ნ. ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნი, „ცენტრო სოიუზი"-ს ინსტრუქტორ-კონსულტანტის ს. დნეპროვსკის წიგნი „როგორ უნდა შესდგეს სამუშაო გეგმა მომხმარებელთა კოოპერატივში".

შემთხვევები

— თავის ჩამოხრჩობა. 29 სექტ. ყიზლიარის ქ. № 12 თავი ჩამოიხრჩო მინადორა კუპრაშვილმა. მიზეზი გამოურკვეველია.

— ჯიბგირობა. 29 სექტ. ელექტრონის სამმართველოში ლეონ გულიაშვილს ამოაცალეს საათი.

— ორთაჭალის ბაღში გაქურდეს ვეჩესლავ ჩირეპანოვი.

— ამავე დღეს ფოთის ქ., № 6, გაქურდეს იაკობ ლაფერაშვილის ბინა.

— სახლში არ ყოფნის დროს გაქურდეს სტეფანე ანდრონოვის ბინა. წაიღეს 100 მ. ნივთები.

— ქურდობა. 29 სექტ. რეუტოვის ქ. № 20 გაქურდეს გიორგი ხუჭუას ბინა. წაღებულია 100 მანეთის ნივთები.

— 28 სექტ. ტატიანის ქ. № 2 გაქურდეს გალაქტიონ ხუციბერიძის ბინა. წაიღეს 260 მანეთის ნივთები.

—ამავე დღეს კალოუბნის ქ., № 14, გაქურდეს ანგელინა აბიათაიოვის ბინა.

დაშავება

გუშინ, საღამოს 10 საათზე პლეხანოვის ქუჩაზე ეტლის ქვეშ მოყვა ხედა ავეტისოვი და მძიმედ დაშავდა.

დაშავებული გადაიგზავნა საავადმყოფოში.

მეეტლე თედორე ბუდაღოვი დაპატიმრებულია.

ხანძარი

გუშინ, ღამის 11 საათზე მოქ. ქეშიშოვის სახლს (კალინინის ქ. № 29) საკვამლე მილის გაუწმენდაობის გამო გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილ იქნა ცეცხლის მქრობელი რაზმის მიერ.

ზარალი გამოურკვეველია.

ხელოვნება

სახალხო თეატრი

კომისიამ ინჟ. შახბუდაგოვის მეთაურობით და პროფესორების: გრანევსკის, კოლგინის და თულაშვილის, არქიტექტორ კალაშნიკოვის და ინჟ. ზაროზოვის შემადგენლობით განიხილა სახალხო თეატრის აგების პროექტი:

თეატრის აშენება განზრახულია ნაძალადევში, პლეხანოვის კლუბის პირდაპირ; იგი დაიტევს 2.500 მაყურებელს.

პროექტის განხილვის დროს, პროფ. კოლგინმა კომისიას წაუყენა წინადადება, რომლის თანახმად თეატრის ფასადი მიპყრობილი იქნება სამხრეთისაკენ და აშენდება პლეხანოვის კლუბის ბაღის პირდაპირ.

კოლგინის წინადადება კომისიამ მისაღებად ჩასთვალა, რადგან თეატრის აშენება არ მოითხოვს ძველი შენობების აღებას.

თეატრის საყურებელი დარბაზი მოეწყობა ისე, რომ ლოჟები გარეთ არ იქნებიან გამოწეული.

მხატვრული კომპოზიცია თეატრისა საერთოდ ხელსაყრელად არის შედგენილი და სავსებით ამჟღავნებს ქართულ სტილს.

კომისიის გამოანგარიშებით, თეატრის აშენება ცენტრალური გათბობის მოწყობით, დაჯდება 840 ათასი მანეთი. ამაში არ შედის შენობის შინამოწყობილობა და განათება.

ხელოვნების ქრონიკა

— თამარ წერეთლის მეორე და გამოსათხოვარი კონცერტი გაიმართება დღეს ოპერის თეატრში.

— „ხანუმა". დღეიდან სამ კინოში ერთად „აპოლო", „არფასტო" და „სოლეიში" წავა ახალი სურათი „ხანუმა". დადგმა რეჟ. წუწუნავასი.

— ვანო ნანიაშვილის ცეკვის სტუდია. ახლო ხანში, თბილისში გაიხსნება მოცეკვავე ნანიაშვილის ქართული ცეკვის სტუდია.

— საღამო. ამ დღეებში კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება სიმონ ჩიქოვანის ლიტერატურული საღამო.

— კუკიის სახელმწიფო მუსიკალურ ტეხნიკუმში მისაღები გამოცდები დაიწყება 2 ოქტომბერს.

— „სიცოცხლე სიხარულია". დიმ. არაყიშვილის ახალი ოპერა „სიცოცხლე სიხარულია" დაიდგმება მომავალ სეზონში.

— „ლატავრა". ზ. ფალიაშვილმა დაამთავრა ახალი ოპერა „ლატავრა".

— კონცერტები და წარმოდგენები მოზიდისათვის. მიმდინარე საზაფხულო სეზონში ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში დაიდგა 68 საღამო-კონცერტი და წარმოდგენა.

— დეკორაციები. მხატვარი შიმბი — [illegible] შეუდგა ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ: კლუბში ახალ დეკორაციების ხატვას საზამთრო სეზონისთვის.

კინო

„აბრეკ-ზაური"

„გოსკინოს" ნაწარმოები, რეჟ. მიხინი, ოპერატორი კუზნეცოვი.

რუსეთის კინო-ორგანიზაციების სურათები ჩვენამდე ძალიან დაგვიანებით აღწევს, ზოგიერთ ფილმებს კი სრულებით არ უხაზავს თბილისის ეკრანი.

უკანასკნელ ხანებში ეს ნაკლი თითქმის გამოსწორდა. ამ ერთი თვის განმავლობაში თბილისში ნაჩვენები იქნა სამი საბჭოთა სურათი: „მემანქანე უხტომსკი", „სიკვდილის ნავთსადგური" და „აბრეკ-ზაური".

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ეს უკანასკნელი ფილმი.

სურათს საფუძვლად უდევს კავკასიელ მთიელების ბრძოლა რუსეთის თვითმპყრობელობის აგენტების წინააღმდეგ; ეს ბრძოლა სურათში მოცემულია ინდივიდუალური გმირობის სახით.

ზაურ-ბეგი ვერ ითმენს თავისი ძმის შეურაცყოფას, რისთვისაც კლავს რუს ოფიცერს—აპოლონოვს. ზაურს დაუწყებენ დევნას და ის იძულებულია მთებს შეაფაროს თავი. აქედან იწყება მისი ფირალათ გავარდნა.

ზაურ-ბეგი, არსენ ოძელაშვილივით, ართმევს მდიდრებს და ეხმარება ღარიბებს. თვითმპყრობელობა ვერ ითმენს მის თარეშს და გადაწყვეტავს ზაურ-ბეგის აულის აწიოკებას.

ზაურ-ბეგი ხედავს, თუ რა უბედურება უნდა დაატყდეს თავზე მის მოძმეებს და გადაწყვეტავს დანებდეს ყაზახებს, იმ პირობით, თუ მას არ დახვრეტენ. მაგრამ როდესაც დაინახავს, რომ მას პირობა არ შეუსრულეს და სახრჩობელა მოუმზადეს, ძმათ შეფიცულ მეგობრებთან ერთად მოახერხებს ციხიდან გაქცევას და ისევ მთებს შეაფარებს თავს, რომ იქიდან იძიოს შური.

როგორც მკითხველი დაინახავს, სცენარი მეტად მარტივია. მიუხედავათ იმისა, რომ „აბრეკ-ზაურ"-ში ბევრია ყალბი ადგილები, სურათი მაინც იტაცებს მაყურებელს. რაც უმთავრესად ბეხტეევის ნიჭიერ თამაშს უნდა მიეწეროს.

მის თამაშში იგრძნობა უშუალო გრძნობა და გულწრფელობა, რომ მაყურებელს არ შეუძლია სიმპატიით არ გაიმსჭვალოს ამ გმირ პროტესტანტის მიმართ.

დანარჩენ შემსრულებლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თაყაიშვილი ([illegible]) და დამსახურებული მსახიობი ვალერიან გუნია (იზმაილ).

3.

ფეხბურთი

მოსკოვი—თბილისი

გუშინ „რუსკაბელ"-ის წინააღმდეგ სათამაშოთ გამოვიდა თბილისის მეორე ნაკრები გუნდი.

აღსანიშნავია, რომ თბილისმა ამ შემთხვევაში ვერ ისარგებლა ყველა იმ მოთამაშეებით, რომლებიც ამჟამად თბილისში არიან. ნაკრებ გუნდს აკლდა გოგილი, გალპერინი და ვაჩნაძე, რომლებიც შესცვალეს სათადარიგო მოთამაშეებმა.

მიუხედავად ამისა, შეჯიბრი მაინც მეტად საინტერესო გამოდგა.

თამაშის დაწყებისთანავე ბრძოლის ინიციატივას ხელთ იგდებენ თბილისელები და რამდენიმე წუთის განმავლობაში არ შორდებიან მოპირდაპირის ჭიშკარს.

ჩქარი მოსკოველები თავდაცვიდან შეტევაზე გადადიან, მაგრამ თბილისის დამცველთა შემადგენლობა გასაქანს არ აძლევს მათ ფორვარდებს; განსაკუთრებით თავგამოდებით იბრძვის ანიკინი, რომელიც იშვიათად ლამაზი და გაბედული თამაშის წყალობით მოსკოველების საუკეთესო მოთამაშეებს—მარცხენა გარე-მარბის და მარცხენა ინსაიტს ჩვეულებრივ ვერ აძლევს თბილისელების ფრონტის გარღვევას მარცხენა მხარიდან.

გუნდების თანასწორი ბრძოლა გრძელდება თითქმის ტაიმის ბოლომდე. ბოლოს თბილისელებმა ლამაზი მომენტი შექმნეს მოსკოვის ჭიშკართან და სოლტანმა მოხერხებული დარტყმით პირველი ბურთი მოაქცია სტუმრების ბადეში.

თბილისელებმა შესძლეს მიღწეული შედეგების შენარჩუნება და, ამრიგად, თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 1:0 თბილისის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში თბილისმა რატომღაც შეიცვალა თამაშის ტემპი, რითაც ისარგებლეს მოსკოველებმა. რომელთა ფორვარდებმა ჯიუტი იერიშები მიიტანეს თბილისის ჭიშკარზე; ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს მოსკოვი აქვითებს ანგარიშს.

შემდეგში ძალთა განწყობილება ისევ გათანაბრდა. ბურთი ღებულობს ხან ერთი გუნდის მხარეზე, ხან მეორისა.

ტაიმის დამთავრებამდე გუნდები ახერხებენ კიდევ თითო ბურთის გატანას და, ამრიგად, შეჯიბრი თავდება 2:2.

თბილისის მხრიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ანიკინის [illegible] მოხერხებული თამაში.

დღეს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება უკანასკნელი შეჯიბრი მოსკოველ სტუმრებთან.

„როსკაბელ"-ის წინააღმდეგ სათამაშოდ გამოდის ლენინის რაიონის გუნდი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საორგ.-განმანაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა დღეს, 1 ოქტომბერს, დილით 9 საათზე გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საორგ.-განმანაწ. განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან:

სორიევი ივანეს ტიგრანის ძე, ჩუმინიშვილი ალექსანდრე, გაბისონიანცი ივანე, ოჰანესოვი სერგო, არუთინოვი გიორგი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტ. [illegible] განყოფილების [illegible] მეთოდიური [illegible] სხდომა შედგება შაბათს, 2 ოქტომბერს, დილით 9 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპ. განყოფილებაში.

ორშაბათს, 4 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში მოწვეულია ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭოს პლენუმი.

გულდათუთქული და თავზარდაცემული მშობლებია როსტომის-ძე და სოფიო ტარიელის ასული, დები ნადო, ზოია და სულიკო, ბებია ნინო დიმიტრის ასული, ბიძაშვილი ირაკლი ანტიოს-ძე ცოლშვილით, ქავთარაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი, უეცრადდაკარგული

ქეთინო ქავთარაძის

გამოსვენება დანიშნულია 1 ოქტომბერს, საღამოს [illegible] საათზე, საკუთარი ბინიდან, ტატიანის ქ. № 11, თბილისის რკინისგზის სადგურზე ქ. ქუთაისში წასასვენებლად.

გულდათუთქული და თავზარდაცემული ბებია მელა ტარიელის ასული, ბიძა თედო ტარიელის-ძე, ბიცოლა ანა გიორგის ასული, ბიძაშვილები ნორა, ბუხუ, ბადუ და ჩიტუნა გძელიძეები უწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარი საყვარელი

ქეთინო ქავთარაძის

უეცრად დაკარგვას.

მე-9-ე შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო და ამავე სკოლის ყოფილი მე-9 I ჯგ. მოწაფეობა იუწყება, რომ ოთხშაბათს, დილით უეცრივ გარდაიცვალა საყვარელი მოწაფე და მეგობართათვის დაუვიწყარი ამხანაგი

ქეთინო ქავთარაძე

გამოსვენება მოხდება პარასკევს, დილის 10 საათ. ს. მთავარ საავადმყოფოდან სახლში, საიდანაც ცხედარს გაასვენებენ [illegible] საათზე რკ. გზ. სადგურზე ქუთაისში დასასაფლავებლ. 3909

გულდათუთქული მშობლები მარო იოსების ასულ-ონაშვილისა, დიმიტრი მიხეილის-ძე გონაშვილი შვილებით: მიშო, აშა, პლატონი და თინა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფასი შვილის

ივერიკოს

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ბ. 1835

ნიკოლოზ (კოლია) ნიკოლოზისძე წულუკიძე აუწყებს მეგობრებს და ნათესავებს ძვირფასი მეუღლის

ლიდია გრიგოლის ას. [illegible]

გარდაცვალებას. გამოსვენება ქალ. 1 საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცისა) შაბათს, 2 ოქტომბერს, ნაშუადღევს 3 ნახ. ს.

3891 2—1

გაუბედურებული მეუღლე იუსტინე გერასიძეს ასული შვილები; შოთა, ჟორჟი და ლილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა ნაცნობთ, რომ 3 ოქტომბერს ჯურუყვეთის ეკლესიაზე (გურია) დახდილი იქნება წლის პანაშვიდი დაუვიწყარი, გურიის სკოლეინსტრუქტორის

ანდრო დოზორჯანიძის

მოსახსენებლად. 3907

დღეს და ყოველდღე
კინო-თეატრებში
აპოლო-სოლეი-არფასტო
ზამთრის სეზონის გახსნის გამო, მიდის
საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათი
ხანუმა
რეჟისორი ა. რ. წუწუნავა
ოპერატორი ს. პ. ზაბოზლაევი
სურათის ჩვენების დროს უკრავს
სიმებიანი ორკესტრი და საზანდარი
სალარო ღიაა დღის 5 ს. და 30 წ.-დან

უმთავრეს როლებში: საქართველოს სახალხო მსახიობი ნატო? ჩერქეზიშვილი, დამსახურებული მსახიობი—ტასო აბაშიძე, მარა ბოლქვაძე, ციცილია წუწუნავა, სოფიო ყოზეფი, ინა ნაზარლი, ქეთ. ჩელაშვილი, ი. კორსუნსკაია. დამსახურებული მსახიობი ვალერიან გუნია, კოტე მიქაბერიძე, მიხ. ჭიაურელი. ლადო კავსაძე. ტრაპაიძე.
ეპიზოდიურ როლებში: ე. ჩარსკაია, ბ. ბელი, ა. ბიხოვა, ვიშნევსკაია, ე. ვოლსკაია, მ. ციციანოვა, ლეონოვა, კუშენკო, გარინა, კრუგლიკ, დიევსკი, კრუჩინინი, დემიანენკო, ვიანი, თაყაიშვილი, ზავრიევი, ძია უენია, ქარცივაძე და სერგეევ!
1834

აპოლო
არფასტო
სოლეი
დღეს და ყოველდღე საქ. სახკინმრეწვის
ახალი სურათი
ხანუმა
რეჟისორი—ა. რ. წუწუნავა
ოპერატორი—ს. პ. ზაბოზლაევი.
მთავარ როლებში: ე. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, თ. ბოლქვაძე, ც. წუწუნავა ა. ს. ყოზეფი, ნ. ნაზარაშვილი, ქ. ჩელაშვილი, ი. კორსუნსკაია, ვ. გუნია. კ. მიქაბერიძე, მ. ჭიაურელი, ლ. კავსაძე და ი. ტრაპაიძე,
სიმებიანი ორკესტრი და საზანდარი. სალარო ღიაა დღის 5 საათ. და 30 წ. 1833 0—16.

სახელმწიფო ოპერა
პარასკევს, 1 ოქტომბერს
გაიმართება თამარა წერეთლის
გამოსათხოვარი კონცერტი
მუსორგსკის კვარტეტის, მოსკოვის 4 ფულის ბალეტის და ცნობილ პიანისტ—კომპოზიტორის ბ. ა. პროზოროვსკის მონაწილეობით.
ბ. 1829 —1

ს. მ. უ. ს.
საქსახ'-პ'რტის ლუდის
ქარხანა № 6
ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან
გადავიდა
ქ. თბილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის განკარგულებაში და მომავალში დასახელებულ იქნება:
თბილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის 1-ლი ლუდის ქარხანა
ლუდის ქარხანა უშვებს ლუდს უმაღლესი ხარისხისას.
ფასი 1 ვედრა (20 ბოთლი) 5 მანეთი.
სახ. და კოოპ. ორგანიზაციებს 20 კაპ. შეღავათი ვედროზე.
ქარხანაშივე მზადდება და იყიდება ყველასათვის
ყინული 1 ფუთი 50 კაპ.
დირექცია.
კამოს ქ. 68 ტელეფონი № 16—92. 1835

ბ. ლანჩიას
„ფინანსიური გამოანგარიშების სახელმძღვანელო"
ინჟ. შ. კაკაბაძის რედაქციით
იყიდება წიგნის მაღაზიებში და მთავარ საწყობში (თბ. ინდუსტრიალურ ტეხნიკუმი, კალოს ქ. № 70). 3906

სასწორები
მიკროსკოპები
ტეოდოლიტები
ანალიტიური, სიმძიმეები, ნიველირები, კიპრეგელები, არითმომეტრები და სხ. ხელსაწყოები იყიდება. ყიდულობს ძლიერი შემავნის პრესს და [illegible] დაზგას. ავლაბარი, [illegible], 22 ვარდისფერი მოედნიდან ნარიყალამდე დილის 8 ნახ. საათამდე და დღის 5 საათ.-მდე. 3858 3—1

კვირას, ოქტომბრის 3-ს, ქ. თბილისში მოწვეულია გაზეთ
„ახალი სოფელი"-ს
გლეხკორების მეორე ყრილობა
დღის წესრიგი
1. საერთაშორისო მდგომარეობა მომხ. ამხ. შალვა ელიავა
2, გლეხკორთა მოძრაობის ძირითადი ამოცანები მომხ. ამხ. გ. მუშიშვილი
3. პროკურატურა და გლეხკორები მომხ. ამხ. ი. ვარძიელი
4. კედლის გაზეთი და მისი მნიშვნელობა მომხ. ამხ. იმედაძე
5. „ახალი სოფელი"-ს რედაქციის მოხსენება
6. მიმდინარე საკითხები
ყრილობას დაესწრებიან ის გლეხკორები, რომლებიც მიიღებენ რედაქციისაგან მოსაწვევ ბარათს და სამგზავრო ფულს.
ყრილობა გაიხსნება გლეხთა სასახლეში, დღის 12 საათზე. ბ. 1837 3—1

„ზაკავტოპრომტორგი"
აცხადებს, 5 ოქტომბერს დილის 10 საათზე გარაჟის შენობაში, ლენინის ქ. № 85
საჯარო ვაჭრობას
იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ზამთრის განმავლობაში იკისრონ საფოსტო ტვირთისა და კორესპონდენციის ცხენებით გადატანა სადგ. მლეთიდან კაკავაძედე და უკან.
ცნობები და პირობების მიღება შეიძლება იქვე. 1802

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 4 ოქტომბერს 1926 წ. დღის 10 საათზე სოფ. სოღანლუღსა საჯარო ვაჭრობით გაყიდის ამხ „ელდაშლიკის" მოძრავ ქონებას: თეფშებს, საპონს და სხვ. შეფასებულს 140 მანეთად, აშოტ ისაევერდოვის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 31 აგვისტოს 1926 წ. თარიღით, № 2207 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3902

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ ის 5 ოქტომბერს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 7 პუშკინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის დასახირებულთა ნადი „წითელ-კახეთის" და სხვ. მოძრავ ქონებას: მაგიდები, ვენური სკამები, ფრაკე და ფიგურის ჰურველი, სხვადასხვა ტკბილი სასმელები და სხვ. შეფასებულს 660 მანეთად, სახალხო კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 8 ივლისის 1926 წ. თარიღით, № 2902 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3903

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49.
73574 ტელეფ. № 4—82

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 548ტ5 —1

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5—დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიოროს ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—9

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59, ბ. ღ.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—2

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა ავადმყოფ. და უწევს აგრეთვე საექიმო დახმარებას დილის 9—12 ს. საღამოს 4—6 საათამდე ლენინის ქ. № 35 3824 13—

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა თბილისში
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფების მიღებას საღამოს 5 საათიდან 8 ს-მდე კვირა დღის გარდა. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7). 3755 13—1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და ბავშვთა სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე. მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 121

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ 343 25—1

ექიმი
ლ. ა. სარალიძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს [illegible] ქ. ([illegible]) № 37. 25—

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. [illegible] ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღე. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის № 10. 25—1

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში 20 სექტემბრიდან 20 ოქტ.-მდე ქ. სიღნაღში. 3768 2—

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „საქვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზ. № [illegible] (ყოფ. მიხეილის პროსპ.) ტელ. 3—63.

ექიმი
მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფებს ქალების სნეულება და სამშობიარო (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა თვალის საავადმყოფოს ზემოთ [illegible] დღისით 1—2. საღამოზე 4—6 საათამდე.
3896 25—1

დაკარგა პირადობის მოწმობა, მოწმობა რკ. გზის დამზღვევ სალაროდან 565. ოლღა ადამიას სახელზე, ჩ. გ. 3901

დაიკარგა სახლის წიგნაკი ხრეპტოვის ქ. № 449, მორჩილაძეს სახ. ჩ. გ. 3900

დაიკარგა პირადობის მოწმობა და შეწევნ ხელოსანთა საზოგადოების წიგნაკი მიხა გლახსამეოვის სახელზე, ჩ. გ. 3898

დაიკარგა 9 მარტს 1923 წ. № 223 ბინი მოწმობა უფროს ნატარიუსის ანნა გრიგორი და ნიკოლოზ [illegible] სახელზე, ჩ. გ. 3897

დაიკარგა პირადობის მოწმობა მაფურის სახელზე, ჩ. გ. 3895

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № პეტრე ივანეძე ჩხენკელის სახელზე, ჩ. გ. 3893

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ნინო მოწონელიძეს სახელზე, 3892

დაიკარგა პირადობის მოწმობა და მომუშავე მშრომელი საზოგადოების „აბუგის" მანდატი. [illegible] გუგუნავას ჩ. გ. 3894

დაიკარგა კაპიტი № 15 5 [illegible] გოზალოვის სახელზე, ჩ. გ. 3903

დაიკარგა სახალხო კვების კავშირის წიგნაკი № 3182 იპოლიტე [illegible] ნეფარიძის სახელზე, ჩ. გ. 3905

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 3103 [illegible] კანდელაკის სახელზე, ჩ. გ. 3908

დაიკარგა მატრიკული № 1772 [illegible] ჭედლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3904

დაიკარგა [illegible] № 212 დავით კობახიძის სახელზე, ჩ. გ. 3911

დაიკარგა პასპორტი იანა იანოვისა ბერიძის სახელზე, ჩ. გ. 3910

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68